გაეროს განვითარების პროგრამისა და საქართველოს პარლამენტის პროექტი "საქართველოს პარლამენტის საქმიანობის ეფექტიანობისა და ტრანსპარენტობის გაუმჯობესება"

საქართველოს პარლამენტი
PARLIAMENT OF GEORGIA

## სამაგიდო წიგნი

# განმარტებითი ლექსიკონი საჯარო მოსამსახურეთათვის

UNDP

CIMS CONSULTING

საჯარო მოსამსახურის ბიბლიოთეკის
სერია "მოხელე და კანონმდებლობა"

მოამზადა და გამოსცა გაეროს განვითარების პროგრამის პროექტმა
"საქართველოს პარლამენტის საქმიანობის ეფექტიანობისა და
ტრანსპარენტობის გაუმჯობესება"
UNDP/GEO/00036279

სერიის მომზადების სხვადასხვა სტადიაზე მონაწილეობდა
ავტორთა კოლექტივი - გაეროს განვითარების პროგრამის ექსპერტები:
პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი კახა დემეტრაშვილი,
პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ვაჟა გურგენიძე,
პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ნოდარ ხადური,
მანანა სალუქვაძე, ნოდარ ნაფეტვარიძე, დავით გოგიჩაიშვილი,
ზაზა ჩაგანავა, მიხეილ გვარჯალაძე, დავით ჯაიანი

თბილისი, 0179, თაქთაქიშვილის ქ. 11, ოფისი 2
გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის ოფისი
ტელ.: 253166, 253167, 253203
E-mail: ncteam@cims.ge
Internet: www.undp.org.ge; www.parliament.ge; www.cims.ge
© 2007 წლის მაისი

# წინასიტყვაობა

*"საჯარო მოსამსახურის ბიბლიოთეკის" სერია* გამოდის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ დემოკრატიული მმართველობის, სახელმწიფო მართვის, მენეჯმენტისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების სფეროში საქართველოს პარლამენტის, მთავრობისა და ხელისუფლების სხვა დაწესებულებებისთვის განხორციელებული პროექტების ეგიდით. ასეთი ბროშურების გამოცემის ინიციატორი და განმახორციელებელია ეროვნულ ექსპერტ-კონსულტანტთა ჯგუფი (UNDP Georgia - NCTeam), რომელმაც, ამ პუბლიკაციათა შორის, 1998-2006 წლებში მოამზადა და გამოსცა:

- 🕮 ინფორმაციისა და მართვის სისტემა. პრაქტიკული სახელმძღვანელო (სამი გამოცემა)
- 🕮 სახელმწიფო მართვის სრულყოფის საკითხები: მეთოდოლოგიური მიდგომები და რეკომენდაციები. მეთოდური სახელმძღვანელო (ორი გამოცემა)
- 🕮 პერსონალის მართვა: მეთოდოლოგიური მიდგომები და პრაქტიკული რეკომენდაციები
- 🕮 პერსონალის მართვა. მეთოდურ-პრაქტიკული სახელმძღვანელო
- 🕮 მოხელის სამაგიდო ლექსიკონი
- 🕮 თანამედროვე ფინანსური ლექსიკონი (ორი გამოცემა)

*"საჯარო მოსამსახურის ბიბლიოთეკის" სერიით "რჩევები მოხელეთათვის"* გამოიცა ქვემოთ ჩამოთვლილი ბროშურები მენეჯმენტის, ახალი ტექნოლოგიების, პერსონალის მართვისა და ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნების შემდეგ აქტუალურ საკითხზე:

- თანამშრომელთა მართვა
- საუბრის წარმართვა

- ლიდერობის მიღწევა
- საჯარო გამოსვლების მომზადება და ჩატარება
- საქმიანი ეტიკეტი
- საქმიანი მიმოწერა
- დროის მართვა
- თვითმენეჯმენტი
- ინტერნეტი დამწყებთათვის
- ინტერნეტის პრაქტიკული გამოყენება
- კონფლიქტების მართვა
- საქმისწარმოება საჯარო დაწესებულებებში

*"საჯარო მოსამსახურის ბიბლიოთეკის"* ახალი *სერიით "დამხმარე სახელმძღვანელო მოხელეთათვის",* 2005-2006 წლის განმავლობაში გამოიცა შემდეგი მეთოდური და პრაქტიკული სახელმძღვანელოები, ლექციათა კურსები და ბროშურები:

- პერსონალური კომპიუტერი დამწყებთათვის
- საზოგადოებასთან ურთიერთობა
- მენეჯმენტი
- ელექტრონული მთავრობა
- საქმისწარმოება საჯარო დაწესებულებებში
- საერთაშორისო სამართალი
- ევროინტეგრაცია და საქართველო
- მოქალაქეებთან კომუნიკაციის პრინციპები
- საქმისწარმოება. საუწყებო არქივი
- ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები. საერთაშორისო სტანდარტები
- ფინანსთა სამინისტროს საკონკურსო საატესტაციო კომისია: ტესტები
- აღრიცხვა და გადასახადები
- ფინანსური კონტროლის საფუძვლები
- საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კონტროლი საჯარო სექტორში
- ფინანსური მენეჯმენტი
- ეფექტიანობის აუდიტის დანერგვის პრობლემები საქართველოში

- ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი და სხვ.

2004-2006 წლებში დაიწყო ახალი გამოცემათა სერიის მომზადება და დაბეჭვდა – *"საჯარო მოსამსახურის ბიბლიოთეკის" სერია "მოხელე და კანონმდებლობა"*, ეს, სამაგიდო წიგნის ფორმატის, კრებულები სპეციალიზებულია შემდეგი სახელმწიფო სტრუქტურების რეალურ და პრაგმატულ მოთხოვნათა შესაბამისად: საქართველოს პარლამენტი, კონტროლის პალატა, ფინანსთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო და ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოები; ეს კრებულებია:

- საქართველოს საგადასახადო კოდექსი
- ბიუჯეტის შემოსულობების აღრიცხვა (ორი გამოცემა)
- ნავთობპროდუქტების მიწოდების აღრიცხვის და დაბეგვრის კონტროლის ღონისძიებები
- ნორმატიული აქტების კრებული საწარმოთა სახელმწიფო რეგისტრაცია და სამეწარმეო რეესტრის წარმოება
- ინსტრუქცია საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღებისა და ხარჯების გაწევის წესის შესახებ
- ინსტრუქცია სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღებისა და ხარჯების გაწევის წესის შესახებ
- საქართველოს კანონი სტატისტიკის შესახებ
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი
- საკანონმდებლო პროცესი
- საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი (სამი გამოცემა)
- საქართველოს კანონთა ნუსხა

- საქართველოს კონსტიტუცია. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია. საქართველოს კონსტიტუციური კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ
- განმარტებითი ლექსიკონი საჯარო მოსამსახურეთათვის
- სამაგიდო წიგნი-კრებული:
  - ნორმატიული აქტების კრებული პარლამენტის წევრთა და აპარატის მოხელეთათვის (სამი გამოცემა)
  - ნორმატიული აქტების კრებული სამოქალაქო რეესტრის მოხელეთათვის
  - ნორმატიული აქტების კრებული ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა მოხელეთათვის (ორი გამოცემა)
  - ნორმატიული აქტების კრებული კონტროლის პალატის მოხელეთათვის (სამი გამოცემა)
  - ნორმატიული აქტების კრებული ფინანსთა სამინისტროს სისტემის მოხელეთათვის: ნაწილი I (ორი გამოცემა)
  - ნორმატიული აქტების კრებული ფინანსთა სამინისტროს სისტემის მოხელეთათვის: ნაწილი II (ორი გამოცემა)
  - საგადასახადო კანონმდებლობის ნორმატიული აქტების კრებული (ორი გამოცემა)
  - საქართველოს საგადასახადო კოდექსი. საქართველოს საბაჟო კოდექსი. საქართველოს კანონი საბაჟო ტარიფის შესახებ
  - კოდექსთა კრებული: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი

განმარტებითი ლექსიკონი ბუნებრივია, სათანადო დახმარებას გაუწევს ხელისუფლების დანარჩენი შტოების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც მეტნაკლები ინტერესი ან შეხება აქვს ამ სფეროსთან.
გაეროს განვითარების პროგრამის ეროვნულ ექსპერტ-კონსულტანტთა გუნდს განზრახული აქვს მომავალშიც გააგრძელოს ანალოგიური (მეთოდოლოგიური, მეთოდური, დიდაქტიკური, სახელმძღვანელო, პრაქტიკული, საინსტრუქციო, საცნობარო, ლექსიკოგრაფიული და სხვა სახის) პუბლიკაციები როგორც სახელმწიფო (დემოკრატიული) მმართველობის, ისე ზოგადად, მართვის აქტუალურ საკითხებზე.

# ა

**ადმინისტრაციული სამართალდარღვევა (გადაცდომა)** – სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. *(საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხ. 10)*

**ადმინისტრაციული სახდელი** – ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომა, რომელიც გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის აღსაზრდელად კანონების დაცვის, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე როგორც თვით სამართალდამრღვევის, ისე სხვა პირთა მიერ ახალი სამართალდარღვევების ჩადენის აცილების მიზნით. *(საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხ. 23)*

**აქცია** – ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში. *(საქართველოს კანონი*

*"მეწარმეთა შესახებ", მუხ. 51)*

**აუდიტორული შემოწმება** – აუდიტორული საქმიანობის ერთ-ერთი სახე, რომელსაც ახორციელებენ აუდიტორები და აუდიტური ფირმები სამეურნეო სუბიექტის სამეწარმეო საქმიანობის, საჯარო ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების, დაბეგვრისა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისა და საწესდებო მოთხოვნების უტყუარობის, სისრულის, მოქმედ კანონმდებლობასთან და ნორმატივებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. *(საქართველოს კანონი "აუდიტორული საქმიანობის შესახებ", მუხ. 2)*

**აუდიტორი** – ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ გაცემული აუდიტორის საკვალიფიკაციო სერტიფიკატი. იგი აუდიტორულ საქმიანობას ეწევა ინდივიდუალურად ლიცენზიის საფუძველზე და/ან აუდიტური ფირმის მეშვეობით. *(საქართველოს კანონი "აუდიტორული საქმიანობის შესახებ", მუხ. 4)*

**აუდიტური ფირმა** – საწარმო, რომელსაც აქვს საქართველოს ტერიტორიაზე აუდიტორული საქმიანობის ლიცენზია და რომლის ერთადერთი საწესდებო მიზანია აუდიტორული საქმიანობა. აუდიტური ფირმას და მის ფილიალს აუდიტორული საქმიანობის უფლება ეძლევა მხოლოდ მაშინ, თუ მათში სულ ცოტა ერთი აუდიტორი მაინც მუშაობს. *(საქართველოს კანონი "აუდიტორული საქმიანობის შესახებ", მუხ. 5)*

**აუდიტორული დასკვნა** – აუდიტორის მიერ სათანადო წესით შედგენილი, ხელმოწერით და ბეჭდვით დამოწმებული ოფიციალური საბუთი, რომელშიც წარმოდგენილია დასკვნა სამეურნეო სუბიექტის ანგარიშგების უტყუარობის, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ბულალტრული აღრიცხვის სისრულის და მოქმედ კანონმდელობლობასთან და დადგენილ ნორმატივთან მისი შესაბამისობის შესახებ. *(საქართველოს კანონი "აუდიტორული საქმიანობის შესახებ", მუხ. 6)*

**ავტოსატრანსპორტო საშუალება** – ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება ან სატრანსპორტო საშუალებათა შეწყვილებული კომბინაცია, რომელიც გამოიყენება გზაზე ტვირთის გადასაზიდად და მგზავრთა გადასაყვანად. *(საქართველოს კანონი "საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ", მუხ. 1)*

**ავტოსატრანსპორტო გადაყვანა/გადაზიდვა** – საავტომობილო გზაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებით მგზავრთა გადაყვანა/ტვირთის გადაზიდვა. *(საქართველოს კანონი "საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ", მუხ. 1)*

**არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება** – იურიდიული პირი, რომელიც არ წარმოადგენს კომერციულ ბანკს და უფლებამოსილია მიიღოს დეპოზიტები და მათი გამოყენებით თავისი სახელით აწარმოოს კანონმდებლობით განსაზღვრული საბანკო საქმიანობის ნაწილი, გარდა საქართველოს ფა-

სიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ ლიცენზირებული პირისა. *(საქართველოს ორგანული კანონი "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", მუხ. 75)*

არამატერიალური ქონებრივი სიკეთე – ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს, ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირებს რაიმე. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 152)*

აღნაგობა – მიწის ნაკვეთი შეიძლება სხვა პირს გადაეცეს ვადიან სარგებლობაში ისე, რომ მას ჰქონდეს ამ ნაკვეთზე ან მის ქვეშ რაიმე ნაგებობის აღმართვის უფლება, ასევე ამ უფლების გასხვისების, მემკვიდრეობით გადაცემის, თხოვების, გაქირავების უფლება. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 233)*

არბიტრაჟი (კერძო) – პირებს შორის წამოჭრილი სამოქალაქო დავა მათივე შეთანხმებით შეიძლება განსახილველად გადაეცეს მუდმივმოქმედ ან ამ დავისათვის საგანგებოდ შექმნილ დროებით კერძო არბიტრაჟს. შეთანხმება არბიტრაჟის განსახილველად დავის გადაცემის შესახებ (საარბიტრაჟო შეთანხმება) იდება წერილობით. *(საქართველოს კანონი "კერძო არბიტრაჟის შესახებ", მუხ. 1)*

არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური – საზოგადოებრივად სასარგებლო

სამოქალაქო სამსახური, რომელიც ცვლის სამხედრო სამსახურს და ემყარება სამხედრო ვალდებულების სამხედრო სამსახურის ფორმით მოხდაზე უარის თქმის დასაბუთებას სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების საფუძველზე. *(საქართველოს კანონი "არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ", მუხ. 3)*

**ანგარიშსწორება (საბანკო)** – ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად საკრედიტო დაწესებულება ვალდებულია თავისი კლიენტის საანგარიშსწორებო ანგარიშიდან აწარმოოს გადახდები ანგარიშზე არსებული თანხების ფარგლებში და შემოსული თანხები ჩარიცხოს ანგარიშში. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 859)*

**ანაბარი** – ფულადი თანხის შეტანა საკრედიტო დაწესებულებაში, რომლის დროსაც საკრედიტო დაწესებულება მოიპოვებს მასზე საკუთრების უფლებას და ვალდებულია ვადის დადგომისას იმავე ვალუტაში დააბრუნოს მიღებული თანხა. თუ ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ ფულადი თანხა შეიძლება ნებისმიერ დროს იქნეს უკან გამოთხოვილი. ანაბრებს შესაბამისად უნდა დაერიცხოს პროცენტები. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 874)*

**ამხანაგობა** – ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსა-

ზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად. ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს წერილობით ან ზეპირად. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 930, 931)*

ალიმენტი - მშობლები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე შრომისუუნარო შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ. არასრულწლოვანი ან სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილებისათვის გადასახდელი ალიმენტების ოდენობას განსაზღვრავენ მშობლები ურთიერთშეთანხმებით. თუ მშობლები ვერ შეთანხმდნენ ალიმენტის ოდენობაზე, მაშინ დავას გადაწყვეტს სასამართლო. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 1212, 1213, 1214)*

ანულირება - საერთაშორისო ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის ფორმა, რომელიც ნიშნავს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტას მეორე მონაწილე მხარის მიერ მისი არსებითად დარღვევის შემთხვევაში ან საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმების შესაბამისად. იგივეა: გაუქმება. *(საქართველოს კანონი "საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ", მუხ. 3)*

აპელაცია _ სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო

სასამართლოში. *(საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ. 364)*

**აპოსტილით დამოწმება** – „უცხოეთის ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციის მოთხოვნის გაუქმების შესახებ“ ჰააგის 1961 წლის 5 ოქტომბრის კონვენციის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, სათანადო უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს მიერ საბუთზე არსებული ხელმოწერის ნამდვილობის, ხელმომწერი პირის უფლებამოსილების, ბეჭდის ან შტამპის ავთენტიკურობის სახელმწიფოებრივი დადასტურება. *(საქართველოს კანონი “სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ”, მუხ. 3)*

**ადვოკატის საქმიანობა** – ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემა იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, წინასწარი დაკავების, მოკვლევისა და გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადება და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევა, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას. ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და

პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. *(საქართველოს კანონი "ადვოკატთა შესახებ", მუხ. 1, 2)*

**აზარტული თამაში** – თამაში, რომლის შედეგია ფულის, საკუთრების, საკუთრების უფლების წაგება ან მოგება, რაც დამოკიდებულია შემთხვევითობაზე. *(საქართველოს კანონი "მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ", მუხ. 3)*

**არადისკრიმინაციულობა** – გარემოებათა იდენტურობის შემთხვევაში განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღების აკრძალვა და თანაბარი მოპყრობის ვალდებულება. *(საქართველოს კანონი "სიტყვისა და გამოხატვის შესახებ", მუხ. 1)*

**აზრი** – შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს. *(საქართველოს კანონი "სიტყვისა და გამოხატვის შესახებ", მუხ. 1)*

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა** – ტერიტორიული ერთეული, რომელიც საქართველოს განუყოფელი ნაწილია და ახორციელებს "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონით განსაზღვრულ და დადგენილი წესით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს. აჭარის ა.რ.-ში სახელმწიფო

ხელისუფლება ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი პრინციპების საფუძველზე. აჭარის ა.რ.-ში დასაშვებია მხოლოდ ზემოაღნიშნული კანონით გათვალისწინებული ხელისუფლების ორგანოების შექმნა. *(საქართველოს კონსტიტუციური კანონი "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ", მუხ. 2)*

**აბიტურიენტი** – სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და სწავლის გაგრძელებას აპირებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. *(საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", მუხ. 2)*

**აკადემიური ხარისხი** – ხარისხი, რომელიც მიენიჭება პიროვნებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაბამისი უმაღლესი განათლების საფეხურის დამთავრებისას. *(საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", მუხ. 2)*

**აკადემიური წოდება** – წოდება (საპატიო დოქტორი, ემერიტუსი), რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ენიჭება უცხო ქვეყნის მეცნიერს ან საზოგადო მოღვაწეს განსაკუთრებული დამსახურებისთვის ან საქართველოს მოქალაქეს აკადემიურ მოღვაწეობაში პროფესიული აღიარებისათვის. *(საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", მუხ. 2)*

**აკრედიტაცია** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსის (სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატის გაცემის უფლების) დადგენის პროცედურა. ამ პროცედურას ახორციელებს სახელმწიფო საკრედიტაციო სამსახური სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (ინსტიტუციური აკრედიტაცია) ან/და საგანმანათლებლო პროგრამის (პროგრამული აკრედიტაცია) შესაბამისობის დადგენით. *(საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", მუხ. 2)*

**ასისტენტ-პროფესორი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა, რომელზეც შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელიც არის დოქტორი ან დოქტორანტი და უძღვება ლაბორატორიულ, სასემინარო ან პრაქტიკულ მეცადინეობებს. *(საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", მუხ. 2)*

**ასოცირებული პროფესორი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა. ასოცირებული პროფესორი მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. *(საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", მუხ. 2)*

**აკადემიური საბჭო** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი წარმომადგე-

ნლობითი ორგანო. *(საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", მუხ. 2)*

**ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონება** – ქონება, რომელსაც თვითმმართველ ერთეულს საკუთრებაში გადასცემს სახელმწიფო, ან რომელსაც თვითმმართველი ერთეული შექმნის ან შეიძენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. თვითმმართველ ერთეულს საკუთრებაში გადაეცემა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე შემდეგი სახის ძირითადი ქონება: გზები, ხიდები, გვირაბები, ქუჩები, მიწისქვეშა გადასასვლელები, ტროტუარები, შუქნიშნები, გარე განათების კონსტრუქციები, მოედნები, სკვერები, ბულვარები, შადრევნები, პარკები, მწვანე ნარგავები და ნაპირსამაგრი ნაგებობები. *(საქართველოს კანონი "ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ", მუხ. 2)* იხ. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული

**არაკონკურენტული გარემო** – სასაქონლო ბაზრები, სადაც შესაძლებელია კონკურენციის არსებობა, მაგრამ იგი შეზღუდული ან/და აკრძალულია სახელმწიფო ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოს მიერ. *(საქართველოს კანონი "თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ", მუხ. 2)*

**ადმინისტრაციული ერთეული** – თვითმმართველი ერთეულის ნაწილი, სადაც იქმნება ადგილობრივი თვითმმა-

რთველობის ტერიტორიული ორგანო. ადმინისტრაციული ერთეულებია: დასახლება (სოფელი, დაბა, ქალაქი), დასახლებათა გაერთიანება (თემი) და დასახლების ნაწილი (უბანი). *(საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", მუხ. 1)*

**ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი** – პირი, რომელსაც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შედეგად მიადგა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი და რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ მიჩნეულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად. *(საქართველოს კანონი "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ", მუხ. 3)* იხ. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

**ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი** – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შემოსულობების, მათი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით გასაწევი გადასახდელების ძირითადი საფინანსო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) მიერ. *(საქართველოს კანონი "ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის*

*შესახებ", მუხ. 2)* იხ. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული

**არჩევნები** – საარჩევნო პროცესი, რომლის დანიშნულება და შედეგია საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირთა არჩევა საყოველთაო არჩევნებით. *(საქართველოს ორგანული კანონი _ საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხ. 3)*

**არჩევნების მეორე ტური** – კენჭისყრა, რომელიც იმართება ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და ვადებში, როდესაც არჩევნების პირველ ტურში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა. იხ. არჩევნები *(საქართველოს ორგანული კანონი _ საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხ. 3)*

**ადმინისტრაციული ორგანო** – ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი" (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერის სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. *(საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 2)*

**ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი** – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი. *(საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 2)*

**ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი** – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები. *(საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 2)*

**ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი** – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს. *(საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 2)*

**ადმინისტრაციული საჩივარი** – დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვე-

მდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. *(საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 2)*

**ადმინისტრაციული წარმოება** – ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის, აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით. *(საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 2)*

**აეროდრომი** – მიწის ან წყლის ზედაპირის გარკვეული ფართობი (მასზე განლაგებული შენობებით, ნაგებობებითა და მოწყობილობებით), რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ განკუთვნილია საჰაერო ხომალდების მიღების, მოძრაობისა და გაშვებისათვის. *(საქართველოს საჰაერო კოდექსი, მუხ. 1)*

**აეროპორტი** – საავიაციო საწარმო, რომელიც ახორციელებს საჰაერო გადაყვანაგადაზიდვებს, საჰაერო ხომალდების მოძრაობას და ამ მიზნით აქვს აეროდრომი, აეროვაგზალი არგეთვე სხვა მიწისზედა ნაგე-

ბობები, მოწყობილობები და ჰყავს მომსახურე პერსონალი.

**საერთაშორისო აეროპორტი** – აეროპორტი, რომელიც ახორციელებს საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების მომსახურებას და უზრუნველყოფილია საბაჟო, სასაზღვრო და სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლით. *(საქართველოს საჰაერო კოდექსი, მუხ. 1)*

**აპელაცია** – საჩივარი, რომლითაც მხარეებსა და მესამე პირებს უფლება აქვთ სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში. *(საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ. 364)*

**აცილება** – გარემოება, როდესაც მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს, ან მას ამა თუ იმ მხარესთან საერთო უფლებები ან ვალდებულებები აკავშირებს, ამ საქმის ადრინდელ განხილვაში მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად ან სასამართლო სხდომის მდივნად, მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია ან პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში. *(საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ. 31)*

**არაპირდაპირი გადასახადი** – გადასახადი (დღგ, აქციზი და სხვა), რომელიც დგინდება მიწოდებული საქონლის ან/და გაწეული მომსახურების ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის მომხმარებელი ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის ან/და მომსახურების შეძენისას. არაპირდაპირი გადასახადის ბიუჯეტში გადახდის ვალდებულება ეკისრება საქონლის მიმწოდებელს ან/და მომსახურების გამწევს, რომელიც ამ კოდექსის მიზნებისათვის იწოდება გადასახადის გადამხდელად. *(საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 12) იხ. გადასახადი*

**აღიარებული ზედმეტად გადახდილი თანხა** – ცალკეული გადასახადების ან/და სანქციების მიხედვით ზედმეტად გადახდილი თანხა, რომელიც გამოვლენილია საგადასახადო ორგანოს მიერ, დადასტურებულია საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის საფუძველზე, დადასტურებულია ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილებით, წარმოშობილია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე. *(საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 12)*

**აღიარებული საგადასახადო ვალდებულება** – გადასახადი ან/და სანქცია, რომელიც წარმოშობილია გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციის საფუძველზე,

„საგადასახადო მოთხოვნის“ საფუძველზე, რომელსაც გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი ეთანხმება ან რომლის გასაჩივრების ვადა გასულია; სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე. *(საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 12)*

**არამატერიალური აქტივი** – ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, რომელსაც პირი იყენებს საქონლის წარმოების, საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის, სხვისთვის იჯარით გადაცემის ან/და ადმინისტრაციული მიზნებისათვის. არამატერიალურ აქტივს მიეკუთვნება საავტორო უფლება, პატენტი, სავაჭრო ნიშანი, გუდვილი, კომპიუტერული პროგრამა, ლიცენზია, იჯარის უფლება, ფრანჩაიზი, საბადოების დამუშავების უფლება, იმპორტისა და ექსპორტის სპეციალური უფლებები.

**მატერიალური აქტივი** – აქტივი, რომელიც არ არის არამატერიალური აქტივი. *(საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 12)*

**არაერთგზისი დანაშაული** – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენას. ამ კოდექსის სხვადასხვა მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგზის დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდე-

ქსის შესაბამის მუხლში. დანაშაული არაერთგზის ჩადენილად არ ჩაითვლება, თუ კანონით დადგენილი წესით პირი წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის გათავისუფლებული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ანდა თუ მას წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა. *(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 15)* იხ. დანაშაული

**აუცილებელი მოგერიება** – მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას ხელმყოფის დაზიანება თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად. აუცილებელი მოგერიების უფლება პირს აქვს იმის მიუხედავად, შეუძლია თუ არა მას თავიდან აიცილოს ხელყოფა ან საშველად მოუხმოს სხვას. ხელმყოფის დაზიანება მართლსაწინააღმდეგო ხელყოფით წართმეული ქონების ან სხვა სამართლებრივი სიკეთის დასაბრუნებლად მართლზომიერია იმ შემთხვევაშიც, თუ ეს მოხდა უშუალოდ ხელმყოფის ხელში ამ სიკეთის გადასვლისთანავე და თუ მისი დაუყოვნებლივ უკან დაბრუნება ჯერ კიდევ შეიძლებოდა. აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ნიშნავს მომგერიებლის მიერ თავდაცვის აშკარა შეუსაბამობას მასზე თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან. *(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 28)*

**აქციზი** – დასაბეგრი ოპერაციებია: მწარმოებლის მიერ საქართველოში წარმოებული

აქციზური საქონლის მიწოდება ან/და საწარმოს საწყობიდან სარეალიზაციოდ გატანა; მწარმოებლის მიერ დამკვეთის ნედლეულით საქართველოში წარმოებული აქციზური საქონლის გადაცემა დამკვეთისათვის; საკუთარი წარმოების აქციზური საქონლის გამოყენება არააქციზური საქონლის წარმოებისათვის; აქციზური საქონლის ექსპორტი; ბუნებრივი აიროვანი კონდენსატის ან/და ბუნებრივი აირის მიწოდება ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის. *(საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 255)* იხ. გადასახადი

**ამსრულებლის ექსცესი** – ამსრულებლის მიერ ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას, რომელსაც არ მოიცავდა სხვა თანაამსრულებლის ან თანამონაწილის განზრახვა. ამსრულებლის ექსცესისათვის სხვა თანაამსრულებელს ან თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. *(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 26)*

**ასიგნება** – ფისკალური წლის განმავლობაში საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული მიზნებისათვის დამტკიცებული მოცულობის ფარგლებში ხარჯის გაწევის უფლებამოსილება, რომელიც გათვალისწინებულია ბიუჯეტით. ასიგნების გარეშე ხარჯის გაწევა და ვალდებულების აღება დაუშვებელია. *(საქართველოს კანონი "საბიუჯეტო სისტემის შესახებ", მუხ. 12)*

**აღკვეთის ღონისძიება** – ღონისძიება, რომელიც გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოს, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, ხელი არ შეეშალოს სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება. ბრალდებულს არ შეიძლება შეეფარდოს წინასწარი პატიმრობა ან აღკვეთის სხვა ღონისძიება, თუ უფრო ნაკლებად შემზღუდავი აღკვეთის ღონისძიება უზრუნველყოფს ამ ნაწილით გათვალისწინებულ მიზნებს. აღკვეთის ღონისძიების სახეებია: ბრალდებულის დაპატიმრება, გირაო, პირადი თავდებობა, აგრეთვე არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა და სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა. *(საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 151, 152)*

**ახლად აღმოჩენილი გარემოებები** – ფაქტობრივი გარემოებანი, რომლებითაც შეპირობებულია უკანონო ან დაუსაბუთებელი სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვა. *(საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 593)*

**ახლად გამოვლენილი გარემოებები** – სამართლებრივი გარემოებანი, რომლებითაც შეპირობებულია უკანონო ან დაუსაბუთებელი სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვა. *(საქართველოს სისხლის სამართლის სა-*

*პროცესო კოდექსი, მუხ. 594)*

**ადგილწარმოშობის დასახელება** – გეოგრაფიული ადგილის, რაიონის, რეგიონის, გამონაკლის შემთხვევაში, ქვეყნის (შემდგომში- გეოგრაფიული ადგილი) თანამედროვე ან ისტორიული სახელი გამოყენებული იმ საქონლის მოსანიშნად: რომელიც წარმოშობილია ამ გეოგრაფიული ადგილიდან, რომლის განსაკუთრებული ხარისხი და თვისებები მთლიანად ან ძირითადად განპირობებულია მხოლოდ ამ გეოგრაფიული ადგილის ბუნებრივი გარემოთი და ადამიანის ფაქტორით და რომლის წარმოება, ნედლეულის დამზადება და დამუშავება ხდება ამ გეოგრაფიული ადგილის საზღვრებში. *(საქართველოს კანონი "საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ", მუხ. 3)*

**არქიტექტურული საქმიანობა** – არქიტექტორის შემოქმედებითი მოღვაწეობა, რომლის ამოცანაა ქალაქთმშენებლობითი ობიექტის, გარემოს ფორმირების, შენობის, ნაგებობის, ინტერიერის პროექტის შედგენა, მასში სივრცობრივ-გეგმარებითი, მხატვრული და ფუნქციური საკითხების გადაწყვეტა, საინჟინრო-ტექნიკური, ტექნოლოგიური და სხვა ნაწილების დამუშავების ხელმძღვანელობა, დაპროექტების პროცესის ერთიანი ციკლის ორგანიზება, საავტორო ზედამხედველობის განხორციელება და მშენებლობის გაძღოლა. *(საქართველოს კანონი "არქიტექტურული საქმიანობის შესახებ", მუხ. 2)*

**ავტოკეფალია** – ადგილობრივი ეკლესიის სრული თვითმმართველობა; მმართველი ორგანოების არჩევისა და დანიშვნის, ასევე საეკლესიო ცხოვრების წარმართვის (წმინდა მირონის კურთხევა, კანონიკური განჩინებების გამოცემა და სხვა) დამოუკიდებლობა. *(საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება, ტერმინთა განმარტებანი)*

**ადგილობრივი მოსაკრებელი** – აუცილებელი გადასახდელი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, რომელსაც ფიზიკური და იურიდიული პირები იხდიან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ განსაზღვრული ვადით ან უამისოდ, კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების ან/და სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გარკვეული მომსახურების გაწევისათვის. *(საქართველოს კანონი "ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ", მუხ. 1)* _ იხ. აგრეთვე "მოსაკრებელი"

**ადგილობრივი თვითმმართველობა** – საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოაწესრიგონ და მართონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები საკუთარი პასუხისმგებლობით და ადგილობრივი მოსახლე-

ობის ინტერესების შესაბამისად. *(საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", მუხ. 1)*

**ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო** – ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების მიზნით, ამ კანონით დადგენილი წესით შექმნილი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი (საკრებულო) და აღმასრულებელი (გამგეობა/მერია) ორგანოები. *(საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", მუხ. 1)*

**აქცეპტი** - გადამხდელის ხელმოწერა იმის თაობაზე, რომ მან ჩეკი მიიღო გასანაღდებლად დადგენილ ვადაში და თანახმაა გაანაღდოს *(საქართველოს კანონი "ჩეკის შესახებ", ზოგადი განმარტებები)*

**ავალი** – საჩეკო თავდებობა *(საქართველოს კანონი "ჩეკის შესახებ", ზოგადი განმარტებები)*

**აკადემიური სტიპენდია, სახელმწიფო** – მეცნიერის ყოველთვიური ფულადი უზრუნველყოფა "სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით. *(საქართველოს კანონი "სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ", მუხ. 4)*

# ბ

**ბე** – ფულადი თანხა, რომელსაც ხელშეკრულების ერთი მხარე აძლევს მეორე მხარეს და ამით დასტურდება ხელშეკრულების დადების ფაქტი. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 421)*

**ბინადრობის მოწმობა** – დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საქართველოში მცხოვრები უცხოელის მოქალაქეობას, მის ვინაობას და საცხოვრებელ ადგილს საქართველოს ტერიტორიაზე. *(საქართველოს კანონი "საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ", მუხ. 12)*

**ბიუჯეტი** – საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი ხელისუფლების შემოსულობების, აგრეთვე მათი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით გასაწევი გადასახდელების ნუსხა, რომლებიც დამტკიცებულია ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი დონეების მიერ.

**სახელმწიფო ბიუჯეტი** – საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების შემოსულობების, აგრეთვე მისი ფუნქციებისა და ვალდებულებების

შესრულების მიზნით გასაწევი გადასახდელების ნუსხა.

**ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტები** – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი, რომლებიც მოიცავს ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ავტონომიური რესპუბლიკების შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს, მათ შემოსულობებსა და გადასახდელებს.

**ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი** – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შემოსულობების, მათი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით გასაწევი გადასახდელების ნუსხა, რომელსაც ამტკიცებს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო (საკრებულო). *(საქართველოს კანონი "საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ", მუხ. 3)*

**ბიუჯეტის შემოსულობები** – ბიუჯეტის ანგარიშებზე მისაღები ყველა სახის ფულადი სახსრების ერთობლიობა. *(საქართველოს კანონი "საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ", მუხ. 3)* იხ. ბიუჯეტი

**ბიუჯეტის პროფიციტი** – დადებითი სხვაობა ერთი მხრივ, ბიუჯეტის შემოსავლებსა და ფულად გრანტებს და, მეორე მხრივ, ხარჯებსა და დაკრედიტებას შორის. *(საქართველოს კანონი "საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ", მუხ. 15)*

**ბიუჯეტის დეფიციტი** – უარყოფითი სხვაობა ერთი მხრივ, ბიუჯეტის შემოსავლებსა და ფულად გრანტებს და, მეორე მხრივ, ხარჯებსა და დაკრედიტებას შორის. *(საქართველოს კანონი "საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ", მუხ. 15)*

**ბაკალავრიატი** – უმაღლესი აკადემიური განათლების პირველი საფეხური – სასწავლო პროგრამების ერთობლიობა, რომელიც ძირითადად ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობების თეორიული საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის ან მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.

**ბაკალავრი** – მფლობელი იმ უმაღლესი აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის პირველი საფეხურის – ბაკალავრიატისთვის დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად ენიჭება. *(საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", მუხ. 2)*

**ბირთვული ავარია** – მაიონებელი გამოსხივების წყაროს მართვის ან წყაროზე კონტროლის დაკარგვა, გამოწვეული მისი გაუმართაობით, მუშაკის არასწორი მოქმედებით, სტიქიური უბედურებით ან სხვა მიზეზებით, რომლებსაც შეეძლო გამოეწვია ან რომლებმაც გამოიწვია მოსახლეობის დასხივება დადგენილ ნორმებზე მეტად ან გარემოს რადიაქტიური დაბინძურება; აგრეთვე ბირთვული მასალების, რადიაქტიური ნივთიერებებისა და რადი-

აქტიური ნარჩენების უკონტროლო გაბნევა გარემოში, რის შედეგადაც გარემოს რადიაციული ფონის დონემ შეიძლება გადააჭარბოს ან უკვე გადააჭარბა წლიურ დოზურ ზღვარს. *(საქართველოს კანონი "ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ" მუხ. 4)*

**ბასს** – იხ. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები

**ბანდა** – მყარი შეიარაღებული ჯგუფი, რომლის მიზანია პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმის მოწყობა. *(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 224)*

**ბრალდების მხარე** – პროკურორი, აგრეთვე დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე და მათი წარმომადგენლები. *(საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 44)*

**ბრალდებული** – სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირი. *(საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 44)*

**ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები, ბასს** – ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომისიის მიერ დამტკიცებული და საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილებით სამოქმედოდ შემოღებული სტანდარტები. *(საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 12)*

# გ

**გაკოტრებაუნარიანობა (გაკოტრებადობა)** – მდგომარეობა, როდესაც შესაძლებელია გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა პირის ქონებაზე ან ქონების განცალკევებულ მასაზე. გაკოტრების საქმის წარმოება შეიძლება გაიხსნას მოვალის – ნებისმიერი ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირის, აგრეთვე არარეგისტრირებული კავშირის ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებული ამხანაგობის ქონებაზე. სახელმწიფო, მისი ადმინისტრაციული ერთეული და საჯარო სამართლის იურიდიული პირი გაკოტრებას არ ექვემდებარებიან. *(საქართველოს კანონი "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ", მუხ. 2)*

**გრანტი** – გრანტის გამცემის (დონორის) მიერ გრანტის მიმღებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატურალური ფორმით, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური და სოციალური პროექტების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისათვის. გრანტად არ ითვლება სამეწარმეო და პოლიტიკური მიზნების მისაღწევად გაცემული სახსრები. *(საქართველოს კანონი "გრანტების შესახებ", მუხ. 2)*

**განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიცია** - ინვესტორი, რომელიც გეგმავს, განახორციელოს ინვესტიცია, რომლის საერთო რაოდენობა აღემატება 8 მილიონ ლარს ან რომელიც ფუნქციონალური და სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, უფლებამოსილია, საქართველოს მთავრობისაგან მოითხოვოს თავის მიერ განსახორციელებელი ინვესტიციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის სტატუსის მინიჭება. *(საქართველოს კანონი "ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ", მუხ. 9)* იხ. ინვესტიცია

**გარიგება** - ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 50)*

**პირობითი გარიგება** - გარიგება, როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ანდა გარიგების შეწყვეტა - ამ მოვლენის დადგომისთანავე. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 90)*

**გარიგების კონვერსია** - თუ ბათილი გარიგება აკმაყოფილებს სხვა გარიგებისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს, გამოიყენება ეს უკანასკნელი, თუკი გარიგების ბათილობის შეტყობისას მხარეებს სურთ მისი ნამდვილობა. *(საქართველოს*

*სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 60)*

გირავნობა – მოვალის ან მესამე პირის მოძრავი ნივთი ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის გადაცემაც სხვა პირთათვის დასაშვებია, შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ფულადი ისე არაფულადი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად ისე, რომ კრედიტორი იძენს უფლებას, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა დაგირავებული ქონების ხარჯზე მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 254)*

გარანტია (მოვალისა) – როცა მოვალე კისრულობს რაიმე უპირობო მოქმედების ან ისეთი მოქმედების შესრულებას, რომელიც სცილდება ხელშეკრულების საგანს. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 424)*

გარანტია (საბანკო) – როდესაც ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 879)*

გაცვლა – ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად მხარეებს ეკისრებათ ქონებაზე საკუთრების

უფლების ურთიერთგადაცემა. გაცვლის ხელშეკრულების ყოველი მხარე ითვლება იმ ქონების გამყიდველად, რასაც ცვლის, და იმის მყიდველად, რასაც სანაცვლოდ იღებს. თუ გასაცვლე-ლი ქონება არატოლფასოვანია, მხარეთა შეთანხმებით ქონების ნაწილი შეიძლება ანაზღაურდეს ფულით. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 521, 522)*

**გარემოსდაცვითი ნებართვა** – საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, მისი რეგიონალური და ადგილობრივი ორგანოებისა და აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროების წერილობითი გადაწყვეტილება. *(საქართველოს კანონი "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ", მუხ. 3)*

**გარემოს დაცვა** – ადმინისტრაციულ, სამეურნეო, ტექნოლოგიურ, პოლიტიკურსამართლებრივ და საზოგადოებრივ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოში არსებული ბუნებრივი წონასწორობის შენარჩუნებას და აღდგენას. *(საქართველოს კანონი "გარემოს დაცვის შესახებ", მუხ. 4)*

**გამოხატვის საგანი** – თემა ან საკითხი, რომლის შესახებაც მიმდინარეობს მსჯელობა და ამა თუ იმ თვალსაზრისის გამოხატვა. *(საქართველოს კანონი "სიტყვისა და გამოხატვის შესახებ", მუხ. 1)*

**გამგეობა** – ადგილობრივი თვითმმართველობის

აღმასრულებელი ორგანო. *(საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", მუხ. 19)* იხ. მერია

**გამოთანაბრებითი ტრანსფერი** – ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა განხორციელების უზრუნველსაყოფად ადგილობრივი თვითმმართველი ერ-თეულის ბიუჯეტისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ კანონით განსაზღვრული ფორმულით, ფინანსური დახმარების სახით გამოყოფილი სახსრები, რომელთა გამოყენების მიმართულებებს დამოუკიდებლად განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო. *(საქართველოს კანონი "ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ", მუხ. 2)*

**განმეორებითი კენჭისყრა** – კენჭისყრა, რომელიც განმეორებით იმართება იმ საარჩევნო უბანში (უბნებში), რომელშიც (რომლებშიც) ბათილად იქნა ცნობილი კენჭისყრის შედეგი, ან მთელ მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში პარტიული სიების მიხედვით, როდესაც მანდატი არც ერთ პარტიას/საარჩევნო ბლოკს არ მიეკუთვნა. *(საქართველოს ორგანული კანონი _ საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხ. 3)*

**განცხადება** – უფლების მოპოვებაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით დაინტერესებული მხარის მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით შეტანილი წერილობითი მო-

თხოვნა. *(საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 2)*

**გემი** – ყველა სახეობის მცურავი ობიექტი, მათ შორის არაწყალწყვის გემები და ჰიდროთვითმფრინავები, რომლებიც გამოიყენება ან შეიძლება გამოყენებულ იქნეს წყალზე გადაადგილების საშუალებად, კერძოდ: მგზავრთა გადასაყვანად, ტვირთის, ბარგის გადასაზიდად, ფოსტის გადასატანად, თევზისა და სხვა საზღვაო რეწვის, სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად, ზღვაში მყოფი, ხიფათში ჩავარდნილი ადამიანებისა და გემების გადასარჩენად, გემებისა და სხვა მცურავი ობიექტების ბუქსირებისათვის, ჰიდროტექნიკური სამუშაოების ჩასატარებლად და ზღვაში ჩაძირული ქონების ამოსაღებად, საგანგებო სამსახურის გასაწევად (საპორტო დაცვა, სანიტარიულ-საკარანტინო სამსახური, ზღვის დაცვა დაბინძურებისაგან და ა.შ.), სამეცნიერო, სასწავლო და კულტურული მიზნებისათვის, სპორტული ღონისძიებებისათვისა და სხვა მიზნებისათვის. *(საქართველოს საზღვაო კოდექსი, მუხ. 12)*

**გადასახადი** – საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივ ბიუჯეტებში სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე. *(საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 6)*

**გადასახადების ადმინისტრირება** – გადასახადების გამოანგარიშებასთან, გადახდასთან და დეკლარირებასთან, საგადასახადო კონტროლთან, აგრეთვე გადასახადის გადამხდელთა/საგადასახადო აგენტთა აღრიცხვასთან, ინფორმირებასთან და საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ფორმების, მეთოდებისა და წესების ერთობლიობა, რომლებსაც საგადასახადო ორგანოები ახორციელებენ საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების პროცესში. *(საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 12)*

**გადასახადის გადამხდელი** – პირი, რომელსაც აქვს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადის გადახდის ვალდებულება. *(საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 38)*

**გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა** – გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის წარდგენილი მოთხოვნა, რომლის შესრულებაც სავალდებულოა ამ კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. *(საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 81)*

**გასვლითი საგადასახადო შემოწმება** – გადასახადის გადამხდელის საქმიანობის ადგილზე გადასახადის გამოანგარიშებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის სრული ან შერჩევით შემოწმება. გასვლითი

საგადასახადო შემოწმება შეიძლება მოიცავდეს გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების საგადასახადო კონტროლის პროცედურებსაც. *(საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 113)*

**განზრახი დანაშაული** – ქმედება, რომელიც ჩადენილია პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით.

**პირდაპირი განზრახვა** – თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას.

**არაპირდაპირი განზრახვა** – თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომა. *(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 9)* იხ. დანაშაული

**გაუფრთხილებლობითი დანაშაული** - ქმედება, რომელიც ჩადენილია თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით.

**თვითიმედოვნება** – თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა.

**დაუდევრობა** – თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდეც. *(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 10)* იხ. დანაშაული

**გენოციდი** – ქმედება, ჩადენილი შეთანხმებული გეგმის განსახორციელებლად რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ანდა რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობად, რაც გამოიხატა ასეთი ჯგუფის წევრთა მკვლელობით, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით, მათთვის ცხოვრების მძიმე პირობის განზრახ შექმნით, შობადობის ძალით შემცირებით ან ბავშვის იძულებით გადაცემით ერთი ეთნიკური ჯგუფიდან მეორეში. *(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 407)*

**გადაზღვევა** – ოპერაცია ორ სადაზღვევო კომპანიას შორის, რომლის დროსაც დაზღვევის (გადაზღვევის) ხელშეკრულებით ერთ-ერთი მხარე თავის თავზე იღებს რისკის ნაწილს სადაზღვევო პრემიის გადახდის სანაცვლოდ. *(საქართველოს კანონი "დაზღვევის შესახებ", მუხ. 2)* იხ. დაზღვევა

**განსასჯელი** – ბრალდებული, რომლის მიმართ საბრალდებო დასკვნის შედგენის შემდეგ საქმე არსებითად განსახილველად ან სა-

პროცესო შეთანხმების
დადების შემდეგ დასა-
მტკიცებლად ჩაბარდა
სასამართლოს განსჯა-
დობის მიხედვით. *(სა-
ქართველოს სისხლის
სამართლის საპრო-
ცესო კოდექსი, მუხ.
44)*

გერბი სახელმწიფო (სა-
ქართველოსი) – ჰე-
რალდიკური ფარი, რო-
მლის მეწამულ ველზე
გამოსახულია ოქროს
ჯვრის ბუნიანი ვე-
რცხლის შუბოსანი, ვე-
რცხლის გველეშაპის
განმგმირავი, ვერცხლის
ცხენზე ამხედრებული,
ოქროს შარავანდედი-
ანი ვერცხლის მხე-
დარი – წმინდა გიორგი.
ფარი დაგვირგვინებუ-
ლია ივერიული (ქა-
რთული) გვირგვინით.
ფარისმტვირთველი
ორი ოქროს ლომი ვა-
ზის სტილიზებული
ორნამენტის საფუძვე-
ლზე დგას. საფუძვე-
ლზე გადმოფენილია
ვერცხლ-მეწამული სა-
დევიზე ბაფთა (ავერსი
– ვერცხლი, რევერსი
– მეწამული). ბაფთის
ვერცხლის ველზე სე-
ვადისფერი ქართული
მხედრული ანბანით წა-
რწერილია დევიზი:
„ძალა ერთობაშია“. ბა-
ფთაზე, სადევიზე წა-
რწერის თავსა და ბო-
ლოში, გამოსახულია
მეწამული ჰერალდი-
კური ჯვრები. სახე-
ლმწიფო ორგანოები და
თანამდებობის პირები,
რომელთა სამართლე-
ბრივ აქტებზე, ბლანკე-
ბზე, ბეჭდებსა და შტა-
მპებზე სრული სახით
გამოისახება სახელ-
მწიფო გერბი, არიან:
საქართველოს კონსტი-
ტუციით გათვალისწი-
ნებული უმაღლესი სა-
ხელმწიფო ორგანოები
და თანამდებობის პი-
რები, საქართველოს
ცენტრალური საარჩე-
ვნო კომისია, საქა-
რთველოს დიპლომატი-
ური წარმომადგენლო-

ბები და საკონსულო დაწესებულებები, საზღვარგარეთ საქართველოს სხვა ოფიციალური წარმომადგენლობები, საქართველოს პრეზიდენტის დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, საქართველოს სახელმწიფო სასაზღვრო საკონტროლოგამშვები პუნქტები, სამხედრო ნაწილები, საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები და საქართველოს საერთო სასამართლოები. სახელმწიფო გერბი სრული სახით გამოისახება: საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადებისას, საქართველოს ფულის ნიშნებზე (ბანკნოტებსა და მონეტებზე) და უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემულ სამგზავრო და პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებზე.

მცირე სახელმწიფო გერბი – ჰერალდიკურ ფარს. ფარის მეწამულ ველზე გამოსახულია ოქროს ჯვრით დაბოლოებული ვერცხლის შუბით ვერცხლის გველეშაპის განმგმირავი ვერცხლის მხედარი – წმინდა გიორგი ოქროს შარავანდედით. ფარზე ივერიული (ქართული) გვირგვინია. მცირე სახელმწიფო გერბი გამოისახება საქართველოს პრეზიდენტის შტანდარტზე. სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირები, რომელთა სამართლებრივ აქტებზე, ბლანკებზე, ბეჭდებსა და შტამპებზე გამოისახება მცირე სახელმწიფო გერბი, არიან: აღმა-

სრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების ტერიტორიული ორგანოები და ადმინისტრაციული ორგანოები, მათ შორის, რომლებზედაც დელეგირებულია სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის უფლებამოსილება. სამხედრო ხომალდებზე და სხვა მცურავ საშუალებებზე გამოისახება მხოლოდ მცირე სახელმწიფო გერბი. *(საქართველოს ორგანული კანონი "სახელმწიფო გერბის შესახებ", მუხ. 3)*

**გეოგრაფიული აღნიშვნა** – სახელი ან სხვა რაიმე სიმბოლო, რომელიც მიუთითებს გეოგრაფიულ ადგილზე და გამოყენებულია იმ საქონლის მოსანიშნად რომელიც წარმოშობილია ამ გეოგრაფიული ადგილიდან, რომლის სპეციფიკური ხარისხი, რეპუტაცია ან სხვა მახასიათებლები დაკავშირებულია ამ გეოგრაფიულ ადგილთან და რომლის წარმოება ან ნედლეულის დამზადება ან დამუშავება ხდება ამ გეოგრაფიული ადგილის საზღვრებში. *(საქართველოს კანონი "საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ", მუხ. 3)*

**განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონა** – დედაქალაქის, ავტონომიური რესპუბლიკების დედაქალაქების, საკურორტო და სარეკრეაციო ზონების ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორიების ის ნაწილი, რომლებიც განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით. *(საქართველოს კანონი "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე*

*სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ", მუხ. 2)*

**გამოსაცდელი ვადა** – შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით, მხარეთა შეთანხმებით, კანდიდატთან შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ დაიდოს შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით არა უმეტეს 6 თვისა. შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით შეიძლება დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით, სხვა შემთხვევაში ასეთი ხელშეკრულება ჩაითვლება შრომით ხელშეკრულებად. *(საქართველოს სანიტარული კოდექსი, მუხ. 9)*

* * *

# დ

**დეზერტირობა** – სამხედრო ან სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოსამსახურის მიერ სამხედრო ნაწილის ან სხვა ადგილის თვითნებურად დატოვება სამხედრო ან სამხედრო სარეზერვო სამსახურისთვის თავის არიდების მიზნით ანდა ამავე მიზნით სამსახურში გამოუცხადებლობა. *(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 389)*

**დეპოზიტი** – კომერციულ ბანკში ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებაში პირის მიერ შეტანილი ანაბარი ან გადახდის სხვა საშუალებები. *(საქართველოს ორგანული კანონი "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", მუხ. 75)*

**დეპონირებული თანხა** – საბანკო-საკრედიტო დაწესებულებაში ფულადი თანხის და სხვა სახეობის ფასეულობათა შესანახად ჩაბარება. *(საქართველოს ორგანული კანონი "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", მუხ. 75)*

**დისკონტი** – თამასუქის განაღდება, პროცენტი, რომელსაც უკავებენ თამასუქის განაღდებისას. *(საქართველოს ორგანული კანონი "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", მუხ. 75)*

**დენომინაცია** – ქვეყანაში ფულის მიმოქცევის მოწესრიგების, აღრიცხვისა და ანგარიშსწორების გაადვილების მიზნით ეროვნული ფულის ერთეულის გა-

მსხვილება დაწესებული თანაფარდობის მიხედვით, ძველი ფულის ნიშნების ახალზე გადაცვლის მეშვეობით. *(საქართველოს ორგანული კანონი "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", მუხ. 75)*

**დაცული ტერიტორია** – ბიოლოგიური მრავალფეროვნების, ბუნებრივი რესურსებისა და ბუნებრივ გარემოში ჩართული კულტურული ფენომენების შესანარჩუნებლად განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სახმელეთო ტერიტორია და (ან) აკვატორია,რომლის დაცვა და მართვა ხორციელდება გრძელვადიან და მყარ სამართლებრივ საფუძველზე. დაცული ტერიტორიების საერთაშორისო ქსელი - ბიოსთფერული რეზერვატების, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნების და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვის, დაკვირვების, ზრუნვისა და ფინანსური ხელშეწყობის სტატუსის მქონე დაცული ტერიტორიების ქსელები. *(საქართველოს კანონი "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ", გამოყენებული ტერმინები)*

**დაზღვევა** – ურთიერთობა, რომელიც მყარდება ფიზიკური და იურიდიული პირების პირადი და ქონებრივი ინტერესების დასაცავად სადაზღვევო შენატანებით (სადაზღვევო პრემიით) ფორმირებული ფულადი ფონდებისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროების ხარჯზე, გარკვეული გარემოებების (სადაზღვევო შემთხვევების) დადგომისას. *(საქართველოს კანონი "დაზღვევის შესახებ", მუხ. 2)*

**დიპლომატიური წარმომადგენლობა** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფი, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობებისას წარმოადგენს საქართველოს. *(საქართველოს კანონი "დიპლომატიური სამსახურის შესახებ", მუხ. 2)*

**დავალება** – ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 709)*

**დელიქტი** – პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 992)*

**დეპოზიტარი** – სახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაცია ან მისი მთავარი აღმასრულებელი თანამდებობის პირი, რომელიც ინახავს საერთაშორისო ხელშეკრულების დედანს და ასრულებს ამასთან დაკავშირებულ საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს. *(საქართველოს კანონი "საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ", მუხ. 3)*

**დენონსაცია** – საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების ცალმხრი-

ვად შეწყვეტის ფორმა, რომელიც ნიშნავს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტას ხელშეკრულების დებულებების შესაბამისად. *(საქართველოს კანონი "საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ", მუხ. 3)*

**დაუსაბუთებელი ქონება** – ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომლის კანონიერი საშუალებებით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტები თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს ან ახლო ნათესავს არ გააჩნია ან იგი შეძენილია უკანონო ქონების განხვისების შედეგად მიღებული ფულადი სახსრებით. *(საქართველოს კანონი "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ", მუხ. 3)*

**დამხმარე მოსამსახურე** – ტექნიკური მუშაკი, რომელიც შრომითი ხელშეკრულებით მიიღება დაწესებულების შტატით გათვალისწინებულ დამხმარე მოსამსახურის თანამდებობაზე. *(საქართველოს კანონი "საჯარო სამსახურის შესახებ", მუხ. 7)*

**დონორი** – ცოცხალი ადამიანი ან გარდაცვლილი, რომლისგანაც იღებენ ორგანოს, ორგანოთა ნაწილს, ქსოვილს სხვა ადამიანისათვის გადანერგვის ან სხვა ადამიანის მკურნალობის მიზნით. *(საქართველოს კანონი "ჯანმრთელობის შესახებ", მუხ. 3)*

**დისკონტი** – სხვაობა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის ნომინალურ ღირებულებასა და მისი შესყიდვის ფასს შორის, რომელიც ნომინალურ ღირებულებაზე

ნაკლებია. *(საქართველოს კანონი "სახელმწიფო ვალის შესახებ",. მუხ. 1)*

**დიდი პალატა (საქართველოს უზენაესი სასამართლოსი)** – საკასაციო ინსტანციის სასამართლო, რომელიც საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილავს განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებს, თუ იგი თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას ან საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის ან დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას). დიდი პალატა შედგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, პალატების თავმჯდომარეებისა და პლენუმის მიერ უზენაესი სასამართლოს პალატების შემადგენლობიდან 2 წლის ვადით არჩეული არანაკლებ 12 მოსამართლისაგან. დიდი პალატა საქმეებს განიხილავს 9 მოსამართლის შემადგენლობით. *(საქართველოს ორგანული კანონი "საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ". მუხ. 9, 10)* - იხ. აგრეთვე "საქართველოს უზენაესი სასამართლო"

**დილერი** – შუამავალი (იურიდიული ან ფიზიკური პირი), რომელიც სასაქონლო ბირჟაზე მოქმედებს თავისი სახელითა და თავისი ხარჯით. *(საქართველოს კანონი "სასაქონლო ბირჟებისა და საბირჟო ვაჭრობის შესახებ", მუხ. 2)*

**დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო** – სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სფეროს რეგულირების მიზნით შექმნილი, სპეციალური უფლებაუნარიანობის მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც არ გააჩნია სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო, დამოუკიდებელია სახელმწიფო ორგანოებისაგან და მოქმედებს ამ კანონითა და შესაბამისი კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში. *(საქართველოს კანონი "დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ", მუხ. 3)*

**დიპლომი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული აკადემიური ხარისხის ან/და მიღებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

**დიპლომის დანართი** – დოკუმენტი, რომელსაც გასცემს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება დიპლომთან ერთად სტუდენტის მიერ მიღებული განათლების შინაარსისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული სტატუსის დასადასტურებლად. *(საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", მუხ. 2)*

**დიპლომირებული სპეციალისტი** – მფლობელი იმ უმაღლესი აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს ენიჭება ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამისათვის დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად, ან მრავალსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ისეთი

პირველი საფეხურის პროგრამისათვის დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად, რომელიც ითვალისწინებს პირის მომზადებას პრაქტიკული ხასიათის საქმიანობისათვის. *(საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", მუხ. 2)*

დისერტაცია – სამეცნიერო ნაშრომი, რომელსაც დოქტორანტი იცავს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. *(საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", მუხ. 2)*

დოქტორანტურა – უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხური, სასწავლო პროგრამების და სამეცნიერო კვლევების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით. *(საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", მუხ. 2)*

დოქტორანტი – პირი, რომელიც სწავლობს დოქტორანტურაში. *(საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", მუხ. 2)*

დოქტორი – მფლობელი იმ უმაღლესი აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს დოქტორანტურისათვის დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისებისა და დისერტაციის დაცვის შედეგად ენიჭება. *(საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", მუხ. 2)*

დაბა – არანაკლებ 3000 მოსახლისაგან შემდგარი დასახლება, რომლის ტერიტორიაზედაც არსებობს სამრეწველო საწარმოები, კომუნა-

ლური მეურნეობა, სამკურნალო და სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ქსელი, რითაც იგი ასრულებს ადგილობრივი ეკონომიკურ-კულტურული ცენტრის ფუნქციებს, ამასთანავე, არ გააჩნია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის საკმარისი მიწის სავარგულები. დაბის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, რომლის მოსახლეთა რიცხვი 3000-ზე ნაკლებია, თუ იგი არის თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრი. *(საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", მუხ. 1)*

დელეგირებული უფლებამოსილება – სახელმწიფო მმართველობის ორგანოს უფლებამოსილება, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით, კანონის თანახმად ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე განსახორციელებლად გადაეცემა თვითმმართველ ერთეულს. *(საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", მუხ. 1)*

დისტრიბუტორი – პირი (მათ შორის, რეალიზატორი), რომელიც მოქმედებს თავისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში პროდუქციით უზრუნველყოფის ქსელში და რომლის საქმიანობას შეუძლია გავლენა მოახდინოს ბაზარზე გატანილი პროდუქციის უვნებლობის მახასიათებლებზე. *(საქართველოს კანონი "სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ", მუხ. 3)*

**დისკრეციული უფლებამოსილება** – უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. *(საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 2)*

**დანაშაული** – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. *(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 7)*

**დანაშაულის კატეგორიები** – თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადის მიხედვით დანაშაული სამი კატეგორიისაა:

ნაკლებად მძიმე – ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას.

მძიმე – განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას, აგრეთვე გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა

ხუთ წელზე მეტი ვადით.

**განსაკუთრებით მძიმე** – ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა. *(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 11)* იხ. დანაშაული

**დანაშაულის მცდელობა** – განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. *(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 19)* იხ. დანაშაული

**დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ** – ნებისმიერი ქმედება, ჩადენილი სამოქალაქო მოსახლეობაზე ან პირებზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის ფარგლებში, რაც გამოიხატა მკვლელობით, ადამიანთა მასობრივი განადგურებით, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით, დეპორტაციით, თავისუფლების უკანონო აღკვეთით, წამებით, გაუპატიურებით, სქესობრივ მორჩილებაში ყოლით, პროსტიტუციის იძულებით, იძულებით ორსულობით, ძალადობითი სტერილიზაციით, პირთა ჯგუფის დევნით პოლიტიკური, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, სქესობრივი ან სხვა ნიშნის საფუძველზე, აპარტეიდითა და სხვა არაჰუმანური ქმედებით, რომლებიც სე-

რიოზულ ზიანს აყენებს ადამიანის ფიზიკურ ან/და ფსიქიკურ მდგომარეობას. *(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 408)*

**დამატებული ღირებულების გადასახადი, დღგ** – დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი ოპერაცია; დასაბეგრი იმპორტი.

**დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციები:** საქართველოს საგადასახადო კოდექსის 239-ე ან 240-ე მუხლის მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული საქონლის/ მომსახურების მიწოდება, მათ შორის, უსასყიდლოდ (გარდა, საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათავისუფლებული მიწოდებისა); დღგ-ით შეძენილი საქონლის/მომსახურების გამოყენება არაეკონომიკური საქმიანობისათვის, თუ ამ საქონელზე/მომსახურებაზე გადამხდელმა მიიღო დღგ-ის ჩათვლა; გადამხდელის მიერ საქონლის/მომსახურების მიწოდება თავისი თანამშრომლებისათვის კომპენსაციით ან მის გარეშე; დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში საქონლის ნაშთი, რომელზედაც გადამხდელს მიღებული ან მისაღები აქვს ჩათვლა, განიხილება როგორც დღგ-ის დასაბეგრი მიწოდება; საქონლის ექსპორტი. *(საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 225)* იხ. გადასახადი

**დღგ** – იხ. დამატებული ღირებულების გადასახადი

**დენადი დანაშაული** – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული დანაშა-

ული, რომლის ჩადენა იწყება მოქმედებით ან უმოქმედობით და რომელიც შემდეგ უწყვეტად ხორციელდება. დენადი დანაშაული დამთავრებულია ქმედების შეწყვეტის მომენტიდან. *(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 13)* იხ. დანაშაული

**დისციპლინური გადაცდომა** – სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება, დაწესებულებისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების ბრალეული შექმნა ან ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ ან მოხელისა და დაწესებულების დისკრედიტიციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი (ბრალეული ქმედება), განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ. *(საქართველოს კანონი "საჯარო სამსახურის შესახებ", მუხ. 78)* იხ. ადმინისტრაციული სამართალდარღვევა (გადაცდომა)

**დასაიდუმლოება** – "სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ცნობებთან დაშვებისა და მათი გავრცელების შეზღუდვები. *(საქართველოს კანონი "სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ", მუხ. 1)* იხ. სახელმწიფო საიდუმლოება

**დაპატიმრება** – წინასწარი პატიმრობა. *(საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 44)*

დაცვის მხარე – ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი, დამცველი, ბრალდებულის მშობელი ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი, სამოქალაქო მოპასუხე და მისი წარმომადგენელი. *(საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 44)*

დელიმიტაცია – დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის ტერიტორიული ზღვის, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ან კონტინენტური შელფის გამყოფი ხაზის დადგენა შეთანხმების საფუძველზე. *(საქართველოს კანონი "საზღვაო სივრცის შესახებ", მუხ. 67)*

დროშა სახელმწიფო (საქართველოსი) – მართკუთხა თეთრი ფერის ქსოვილი, რომლის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია დროშის ოთხივე გვერდთან დაკავშირებული სწორკუთხა წითელი ფერის დიდი ჯვარი; ჯვრის ვერტიკალურ-ჰორიზონტალური მკლავებით გამოყოფილ ოთხკუთხედებში გამოსახულია ოთხი იმავე ფერის, ბოლნურ-კაცხური ჯვარი. საქართველოს სახელმწიფო დროშა მუდმივად აღიმართება: საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციის შენობაზე, საქართველოს პარლამენტის შენობაზე, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულების შენობაზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შენობაზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს შენობაზე, საქართველოს ეროვნული ბანკის შენობაზე, საქართველოს კონტროლის პალატის შენობაზე, საქართვე-

ლოს სახალხო დამცველის აპარატის შენობაზე, საქართველოს გენერალური პროკურატურის შენობაზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობაზე, სხვა ადმინისტრაციული ორგანოების შენობებზე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების შენობებზე, აგრეთვე იმ შენობებზე, სადაც ტარდება ამ ორგანოთა სესიები – სესიების მთელ პერიოდში, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შენობებზე, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა შენობებზე, აგრეთვე იმ შენობებზე, სადაც ტარდება ამ ორგანოთა სხდომები – სხდომების მთელ პერიოდში, საზღვარგარეთ არსებული საქართველოს საელჩოებისა და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლობების შენობებსა და საზღვაო გემებსა და საზღვაო მიმოსვლის სხვა საშუალებებზე, რომელთა მიწერის ადგილი საქართველოს ტერიტორიაა. *(საქართველოს ორგანული კანონი "სახელმწიფო დროშის შესახებ", მუხ. 3)*

**"დე-მინიმის" იმპორტი** – არაკომერციული დანიშნულების მქონე მცირე რაოდენობის საქონელი, რომელიც მოთავსებულია მგზავრის ბარგში ან იგზავნება მცირე კონტეინერით. *(საქართველოს კანონი "ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავში-*

*რებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ", მუხ. 2)*

დივიდენდი – მოგების ნაწილი, რომელსაც იურიდიული პირი სამეურნეო წლის (სამეურნეო წლების) შედეგების მიხედვით ანაწილებს პარტნიორთა შორის, აგრეთვე იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ან აქციების გამოსყიდვისას („მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 531 მუხლის შესაბამისად) ქონების განაწილებით მიღებული შემოსავალი, გარდა საწესდებო და საემისიო კაპიტალის ქონებისა ან/და იმ ქონებისა, რომელიც პარტნიორმა ადრე განახორციელა შენატანის სახით. *(საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 12)*

* * *

# ე

**ემისია** – ფულის ან ფასიანი ქაღალდების გაშვება მიმოქცევაში. *(საქართველოს ორგანული კანონი "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", მუხ. 75)*

**ემიგრაცია** – სხვა სახელმწიფოში მუდმივად საცხოვრებლად გამგზავრება. *(საქართველოს კანონი "ემიგრაციის შესახებ", მუხ. 1)*

**ევთანაზია** – უკურნებელი სენით დაავადებული, სიკვდილისწინა სტადიაში მყოფი ავადმყოფის სიცოცხლის განზრახ შეწყვეტა მისივე თხოვნით. *(საქართველოს კანონი "ჯანმრთელობის შესახებ", მუხ. 3)*

**ემისიის პროსპექტი** – წერილობითი შეტყობინება ან შეტყობინება ელექტრონული თუ ბეჭდვითი საინფორმაციო საშუალებებით, რომლის მიზანია ფასიანი ქაღალდის გასაყიდად შეთავაზება. *(საქართველოს კანონი "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ", მუხ. 2)*

**ემიტენტი** – პირი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით უშვებს ფასიან ქაღალდებს. *(საქართველოს კანონი "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ", მუხ. 2)*

**ექსპროპრიაციის უფლება** – საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლითა და "აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქა-

რთველოს კანონით განსაზღვრული აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის ერთჯერადი უფლება სათანადო კომპენსაციის უზრუნველყოფით. *(საქართველოს კანონი "აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ", მუხ. 1)*

**ეროვნული უშიშროების საბჭო** – საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანო, რომელიც შექმნილია სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციის, ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის, სტაბილურობისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფის სტრატეგიულ საკითხებზე, აგრეთვე ქვეყნის უსაფრთხოების სფეროში უმაღლესი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად. *(საქართველოს ორგანული კანონი "ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ", მუხ. 1)*

**ერთიანი ეროვნული გამოცდა** – პროცედურა, რომელიც ადგენს აბიტურიენტის მზაობას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ასათვისებლად. *(საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", მუხ. 2)*

**ელექტრონული თვალთვალი** – სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება და ჩაწერა, ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხებიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურო აპარატურა-

სთან მიერთებით) ელექტრონული, მექანიკური ან სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

**შეთანხმებული** ელექტრონული თვალთვალი – ელექტრონული თვალთვალი, განხორციელებული სატელეფონო ან სხვა სახის ელექტრონული კავშირის ერთ-ერთი მონაწილე მხარის წერილობითი თანხმობით. *(საქართველოს კანონი "კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ", მუხ. 2)*

**ექსკლუზიური უფლებამოსილება** – თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილება, რომელსაც იგი ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. *(საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", მუხ. 1)*

**ეროვნული საარქივო ფონდი** – საქართველოს ტერიტორიაზე არსებული იმ დოკუმენტების (განურჩევლად მათი მატარებლის სახეობისა) ერთობლიობა, რომლებსაც აქვთ ისტორიული, რელიგიური, მეცნიერული, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ღირებულება. ეროვნულ საარქივო ფონდს აგრეთვე მიეკუთვნება სხვა სახელმწიფოებში დაცული დოკუმენტები, რომლებიც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების თანახმად უნდა დაუბრუნდეს ან გადმოეცეს საქართველოს. ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტი, განურჩევლად მისი შე-

ქმნის ადგილისა და დროისა, შენახვის ადგილისა, საკუთრების ფორმისა და მატარებლის სახეობისა, ინახება მუდმივად. *(საქართველოს კანონი "ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ", მუხ. 3)*

**ეკონომიკური საქმიანობა** – ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, მიუხედავად ასეთი საქმიანობის შედეგებისა, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. *(საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 13)*

**ეკოციდი** – ატმოსფეროს, მიწის, წყლის რესურსის მოწამვლა, ცხოველთა ან მცენარეული სამყაროს მასობრივი განადგურება, ანდა სხვა ქმედება, რასაც შეეძლო ეკოლოგიური კატასტროფა გამოეწვია. *(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 409)*

**ეჭვმიტანილი** – პირი, რომლის მიმართ არსებობს გონივრული ეჭვის საფუძველი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული, მაგრამ ამგვარი ეჭვი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ პირის მიმართ წაყენებულ იქნეს ბრალდება. პირი ეჭვმიტანილად ითვლება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დაკავებისთანავე ან პირის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანისთანავე. *(საქართველოს სისხლის სამართლის*

*საპროცესო კოდექსი, მუხ. 44)*

**ეკლესიის ოფიციალური ტერმინოლოგია** – ეკლესიის ოფიციალური ტერმინოლოგიაა შემდეგი სიტყვები: "საქართველოს სამოციქულო"; "ავტოკეფალური"; "მართლმადიდებელი"; "კათალიკოს-პატრიარქი"; "წმიდა სინოდი". *(საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება, ტერმინთა განმარტებანი)*

**ექსტერნატი** – იმ პირის მიერ ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მიღების წესი, რომელმაც დამოუკიდებლად აითვისა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები. *(საქართველოს კანონი "ზოგადი განათლების შესახებ" მუხ. 2)*

**ექიმი სპეციალისტი** – პირი, რომელმაც გაიარა რეზიდენტურის კურსი ერთ-ერთ საექიმო სპეციალობაში და მიიღო ამ დარგში დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი. *(საქართველოს კანონი "საექიმო საქმიანობის შესახებ", მუხ. 5)*

**ერთი სარკმლის პრინციპი** – ადმინისტრაციული წარმოების წესი, რომლესაც ლიცენზიის ან ნებართვის გამცემი თავად უზრუნველყოფს დამატებითი სალიცენზიო ან სანებართვო პირობების სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადასტურებას. დამატებითი სალიცენზიო ან სანებართვო

პირობების დადასტურება დაკავშირებული უნდა იყოს ლიცენზიის ან ნებართვის გაცემის ადმინისტრაციულ წარმოებასთან. ამ პირობების დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებების მოპოვება უშუალოდ უნდა ემსახურებოდეს ლიცენზიის ან ნებართვის მიღების მიზანს. *(საქართველოს კანონი "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ", მუხ. 3)*

* * *

# ვ

ვეტერინარია (ვეტერინარული მედიცინა) – სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობა, რომლის მიზანია ყველა სახის ცხოველის, ფრინველის, თევზის, ფუტკრის, წყალ-ხმელეთის ძუძუმწოვარი ცხოველების, ამფიბიების, ემბრიონების, ცხოველთა კვერცხუჯრედების, საინკუბაციო კვერცხის, განაყოფიერებული ქვირითის (შემდგომში – ცხოველები) სნეულებების პროფილაქტიკა და მათი მკურნალობა, ვეტერინარულ-სანიტარიული თვალსაზრისით სრულფასოვანი და კეთილსაიმედო მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება და ცხოველებისა და ადამიანის საერთო სნეულებებისაგან მოსახლეობისა და ქვეყნის ტერიტორიის დაცვა. *(საქართველოს კანონი "ვეტერინარიის შესახებ", მუხ. 1)*

ვალდებულება – კრედიტორის უფლებამოსილება მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 316)*

ვაუჩერი – სახელმწიფოს მიერ მოსწავლისათვის გადაცემული, მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც შეიძლება გამოშვებული იქნეს როგორც მატერიალიზებული, ისე არამატერიალიზებული ფორმით და რომელიც განკუთვნილია მოსწავლის მიერ ზოგადი გა-

ნათლების მიღების და-საფინანსებლად. *(საქართველოს კანონი "ზოგადი განათლების შესახებ", მუხ. 2)*

ვიზა – დადგენილი ფორმის აღნიშვნა სამგზავრო დოკუმენტში, რომელიც ადასტურებს უცხოელის უფლებას შემოვიდეს და იმყოფებოდეს საქართველოში ან ტრანზიტით გადაკვეთოს მისი ტერიტორია. *(საქართველოს კანონი "უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ", მუხ. 2)*

ვიტის ვინიფერა – ვაზისებრთა ოჯახში შემავალი სახეობა, რომელიც მოიცავს ევროპული და აზიური ვაზის კულტურულ ჯიშებს. *(საქართველოს კანონი "ვაზისა და ღვინის შესახებ", მუხ.*1)

* * *

# ზ

**ზოგადი განათლება** – განათლება, რომლის მიზანია საქართველოს მოქალაქის აღზრდა და მომზადება ზოგადი განათლების შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. საქართველოში სრული ზოგადი განათლება მოიცავს 12 წელს. *(საქართველოს კანონი "ზოგადი განათლების შესახებ", მუხ. 2)*

**ზეგავლენით ვაჭრობა** – საკუთარი ან სხვა პირის ინტერესებისათვის, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის დაპირება, შეთავაზება ან მინიჭება იმ პირისათვის, რომელიც ამტკიცებს ან ადასტურებს, რომ მას შეუძლია არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენა მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე, მიუხედავად იმისა, განხორციელდა თუ არა ასეთი ზეგავლენის ან/და მიღებულ იქნა თუ არა ამ ზეგავლენის სასურველი შედეგი. *(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 3391)*

**ზივერტი** – ეფექტური დოზის ერთეული, რომელიც უჩვენებს ადამიანის სხეულის მიერ შთანთქმული რადიოაქტიური დასხივების ენერგიის სიდიდეს მისი რადიომგრძნობელობის გათვალისწინებით. *(საქართველოს კანონი "ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ" მუხ. 4)*

# თ

**თხოვება** – ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად გამნათხოვრებელი კისრულობს ვალდებულებას გადასცეს მონათხოვრეს ქონება დროებით უსასყიდლო სარგებლობისათვის. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 615)*

**თამასუქი** – ფასიანი ქაღალდი, დოკუმენტი, რომლითაც მისი გამცემი პირი კისრულობს უპირობო ვალდებულებას გადაიხადოს თამასუქში ნაჩვენები თანხა პირადად ან ან სხვა პირს ავალებს მის გადახდას *(საქართველოს კანონი "თამასუქის შესახებ", ზოგადი განმარტებანი)*

**თავდებობა** – ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად თავდები კისრულობს ვალდებულებას, თავდებად დაუდგეს კრედიტორის წინაშე მესამე პირს ამ უკანასკნელის ვალდებულების შესასრულებლად. თავდებობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე სამომავლო და პირობითი ვალდებულებებისათვის. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 891)*

**თვითმმართველი ერთეული** – დასახლება (თვითმმართველი ქალაქი) ან დასახლებათა ერთობლიობა (მუნიციპალიტეტი), რომელსაც ჰყავს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება, შემოსავლები, ბიუჯეტი და ადმინისტრაციული

ცენტრი და დამოუკიდებელი იურიდიული პირია. *(საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", მუხ. 1)*

**თვითმმართველი ქალაქი** – ქალაქის კატეგორიის დასახლება, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად აქვს თვითმმართველი ერთეულის სტატუსი. *(საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", მუხ. 1)*

**თაღლითობა** – მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით. *(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 180)*

**თვითნებობა** – ნამდვილად თავისი ან თავისად დაგულებული უფლების დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ განხორციელება, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი. *(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 360)*

**თბილისის მერია** (თბილისის მთავრობა, მისი რაიონებისა და დაბა წყნეთის გამგეობები, რაიონებში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულების ორგანოები) - სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის თვითმმართველობის აღმასრულებელგანმკარგულებელ საქმიანობას. *(საქართველოს კანონი "საქართველოს დედაქალაქის _ თბილისის შესახებ", მუხ. 4)*

**თბილისის საკრებულო** – ქალაქ თბილისის თვითმმართველობის წა-

რმომადგენლობითი ორგანო, რომელსაც ირჩევს საარჩევნო უფლების მქონე თბილისის მოსახლეობა პროპორციული წესით, პირდაპირი, თავისუფალი, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე. *(საქართველოს კანონი "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ", მუხ. 11)*

**თავდაცვის დაგეგმვა** — ძალთა, შეიარაღების, რესურსების, ლოგისტიკის, მართვისა და კონტროლის დაგეგმვა, აგრეთვე კრიზისული და საგანგებო ან/და საომარი მდგომარეობის დროს და სხვა განსაკუთრებული სიტუაციების პირობებში თავდაცვის დაგეგმვა მოკლე-, საშუალო- და გრძელვადიანი პერიოდებისათვის. *(საქართველოს კანონი "თავდაცვის დაგეგმვის შესახებ", მუხ. 1)*

* * *

# ი

ინდოსამენტი – ჩეკზე წარწერა გადაცემის შესახებ *(საქართველოს კანონი "ჩეკის შესახებ", ზოგადი განმარტებები)*

იძულებით გადაადგილებული პირი (დევნილი) – საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო ან "იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში. *(საქართველოს კანონი "იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ", მუხ. 1)*

ინვესტიცია – ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში. *(საქართველოს კანონი*

*"საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ", მუხ. 1)*

**ინვესტორი** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს ინვესტირებას საქართველოში.

**უცხოელი ინვესტორი** – ინვესტორი, რომელიც არის უცხოეთის სახელმწიფო მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც არ ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს მოქალაქე, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საზღვარგარეთ და იურიდიული პირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს საზღვრებს გარეთ. *(საქართველოს კანონი "საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ", მუხ. 2)* იხ. ინვესტიცია

**იურიდიული პირი** – განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ. იურიდიული პირი შეიძლება იყოს კორპორაციულად ორგანიზებული, წევრობაზე დაფუძნებული, წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული ან მისგან დამოუკიდებელი და მისდევდეს ან არ მისდევდეს მეწარმეობას. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 24)*

**იპოთეკა** – უძრავი ნივთი შეიძლება მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული), რომ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთიდან. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 286)*

**იჯარა** – ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად მეიჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძღოლის შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საიჯარო ქირის განსაზღვრის სხვა საშუალებებზედაც. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 581)*

**იმპიჩმენტი** – საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის, სახელმწიფოს ღალატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის ჩადენისათვის საქართველოს პრეზიდენტის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მთავრობის წევრის, გენერალური პროკურორის, კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის თანამდებობიდან გადაყენების წესი. იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის

ალძვრის საფუძველია თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევა, სახელმწიფოს ღალატი ან სისხლის სამართლის სხვა დანაშაული. *(საქართველოს კანონი "იმპიჩმენტის შესახებ", მუხ. 1, 2)*

**ინტერესთა შეუთავსებლობა** – საჯარო სამსახურში თანამდებობის პირის ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესების დაპირისპირება სახელმწიფო სამსახურის ინტერესებთან. *(საქართველოს კანონი "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ", მუხ. 3)*

**იარაღი** – მოწყობილობა ან საგანი, რომელიც კონსტრუქციულად განკუთვნილია ცოცხალი ან სხვა ობიექტის დაზიანებისა და განადგურებისათვის.

**ცეცხლსასროლი იარაღი** – იარაღი, რომელშიც ჭურვი ბიძგს იღებს ფეთქებადი ნივთიერების აფეთქების შედეგად წარმოქმნილი აირის მოქმედებით და რომელიც განკუთვნილია ობიექტის მანძილიდან მექანიკური დაზიანებისა და განადგურებისათვის.

**ცივი იარაღი** – იარაღი, რომლის მოქმედება ხორციელდება ადამიანის ფიზიკური ძალით და რომელიც განკუთვნილია უშუალო შეხების საშუალებით ობიექტის დაზიანებისათვის.

**გაზის იარაღი** – იარაღი, რომელიც განკუთვნილია ცრემლმდენ ან გამაღიზიანებელ ნივთიერებათა საშუალებით ცოცხალი ობიექტის დროებით დაზიანებისათვის. *(საქართველოს კანონი "იარაღის შესახებ", მუხ. 2)*

**ინსტიტუტი (უმაღლესი სკოლა)** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც აქვს ერთ ან რამდენიმე დარგში აკადემიური ხარისხების მინიჭების უფლება და რომლის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების სასწავლო კურსების 70% მაინც შეიცავს ბაკალავრიატის, სპეციალური უმაღლესი განათლების ან/და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებს. *(საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", მუხ. 2)*

**ინფრასტრუქტურა** – საინჟინრო-ტექნიკური და სოციალური მომსახურების, ასევე საკომუნიკაციო ობიექტების, ნაგებობებისა და ქსელების ერთობლიობა. *(საქართველოს კანონი "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ", მუხ. 2)*

**იძულებითი შრომა** – ნებისმიერი სამუშაო ან მომსახურება, რომელიც მიიღება პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულებით, მის მიმართ მუქარის, შანტაჟის ან მისი უმწეო მდგომარეობის გამოყენებით. *(საქართველოს კანონი "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ", მუხ. 3)*

**იუსტიციის უმაღლესი სკოლა** – კანონის საფუძველზე საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის დანიშნულებაა საერთო სასამართლოების სისტემის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტების მიზნით უზრუნველყოს მოსამართლედ გასამწესებელი პირის – იუსტიციის მსმენელის პროფესიული მომზა-

დება. სკოლის ფუნქციას წარმოადგენს უზრუნველყოს იუსტიციის მსმენლის თეორიული ცოდნის გაღრმავება და პრაქტიკული მუშაობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება, აგრეთვე იუსტიციის მსმენლის მიერ მომავალი პასუხისმგებლობის და კანონით დადგენილ ფარგლებში მოქმედების თავისუფლების შეცნობა, ხელი შეუწყოს იუსტიციის მსმენლის თანდათანობით ინტეგრაციას იმ სოციალურ გარემოში, რომელშიც მას, როგორც მოსამართლეს, მომავალში მოუწევს საქმიანობა. სკოლის დანიშნულებაა ასევე მოქმედი მოსამართლის პროფესიული სრულყოფის მიზნით მისი გადამზადება. *(საქართველოს კანონი "იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ", მუხ. 1)*

**ინკლუზიური სწავლება** – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად. *(საქართველოს კანონი "ზოგადი განათლების შესახებ" მუხ. 2)*

* * *

# კ

**კომანდიტური საზოგადოება (კს)** – საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას, თუ ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება (კომანდიტები), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის (პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები - კომპლემენტარები). *(საქართველოს კანონი "მეწარმეთა შესახებ", მუხ. 34)*

**კოოპერატივი** – წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე. *(საქართველოს კანონი "მეწარმეთა შესახებ", მუხ. 60)*

**კომისიონერი** – პირი, რომელიც საქონლის ან უფლებების რეალიზაციის ურთიერთობებში გამოდის საკუთარი სახელით, ოღონდ სხვისი ხარჯით. კომისიონერი ანგარიშვალდებულია იმ საწარმოს წინაშე, რომლისთვისაც

იგი მოქმედებს: ვალდებულია შეთანხმებულ ვადებში, ხოლო თუ შეთანხმება არ არსებობს - ყოველი კვარტლის ბოლოს, კერძოდ კვარტალის დამთავრებიდან ათი დღის ვადაში, წერილობით წარუდგინოს საწარმოს ცნობები ყოველი შესრულებული საქმის შესახებ და პროვიზიის (მომსახურების საზღაური) ან კომისიის (კომისიონერის საზღაური) ანგარიში. *(საქართველოს კანონი "მეწარმეთა შესახებ", მუხ. 11)*

**კრედიტი** – დაბრუნებადობის, ფასიანობის, უზრუნველ-ყოფადობის და ვადიანობის საწყისებზე ფულადი სახსრების გაცემასთან დაკავშირებული ნებისმიერი ვალდებულება. *(საქართველოს ორგანული კანონი "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", მუხ. 75)*

**კლირინგი, საკლირინგო ხელშეკრულება** – უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა, რომელიც ემყარება მოთხოვნებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლას და გამოიყენება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ანგარიშსწორებაში. *(საქართველოს ორგანული კანონი "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", მუხ. 75)*

**კომერციული ბანკი** – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც იღებს დეპოზიტებს და მათი გამოყენებით თავისი სახელით აწარმოებს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას. *(საქართველოს კანონი "კომერციული ბანკების შესახებ", მუხ. 1)*

კოდექსი – განსაზღვრულ (ერთგვაროვან) საზოგადოებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმათა სისტემატიზებული კანონი. *(საქართველოს კანონი "ნორმატიული აქტების შესახებ", მუხ. 9)*

კურორტი – ტერიტორია, რომელიც შეიცავს ბუნებრივ სამკურნალო რესურსებს, ვარგისია მიზნობრივი ექსპლუატაციისათვის და არ აქვს შესაბამისი შენობა-ნაგებობანი და რომელზეც განლაგებულია სამკურნალო და გამაჯანსაღებელი დაწესებულება, ნაგებობა და ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტები. *(საქართველოს კანონი "ტურიზმისა და კურორტის შესახებ", მუხ. 2)*

კონცესია – უცხოური კაპიტალის დაბანდება (ინვესტიციის) მიზნით სახელმწიფოს მიერ გაფორმებული გრძელვადიანი საიჯარო ხელშეკრულება განახლებადი და განუახლებადი ბუნებრივი რესურსების ექსპლოატაციასა და მასთან დაკავშირებულ სხვა სამეურნეო საქმიანობაზე. *(საქართველოს კანონი "საზღვარგარეთის ქვეყნებისა და კომპანიებისათვის კონცესიების გაცემის წესის შესახებ", მუხ. 629)*

კარანტინი – შემზღუდავ ღონისძიებათა სისტემა მცენარეთა, ცხოველთა და ადამიანთა ინფექციებისა და მავნებლების გავრცელების თავიდან ასაცილებლად. სასოფლო-სამეურნეო კარანტინი _ ფიტოსანიტარიულ და ვეტერინარულ სახელმწიფო საკარანტინო ღონისძიებათა სისტემა. *(საქართველოს კანონი "სა-*

*სოფლო-სამეურნეო კარანტინის შესახებ"; მუხ. 1)*

**კონტოკორენტი** – შეთანხმება, რომლის მიხედვით მხარეები კისრულობენ პასუხისმგებლობას, საქმიანი კავშირებიდან წარმოშობილი მოთხოვნები და გადახდები შეიტანონ ანგარიშზე და ანგარიშის დახურვამდე მიიჩნიონ ხელშეუხებლად. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 906)*

**კორუფცია** – საჯარო სამსახურში თანამდებობის პირის მიერ თანამდებობის ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობის გამოყენება კანონით აკრძალული ქონებრივი ან სხვა სიკეთის მიღების მიზნით, აგრეთვე მისთვის ამ სიკეთის გადაცემა ან მის მიღებასა და დაკანონებაში ხელის შეწყობა. *(საქართველოს კანონი "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ", მუხ. 3)*

**კასაცია** – სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ საკასაციო სასამართლოში. *(საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ. 364)*

**კლირინგი** – მოთხოვნისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლაზე დაფუძნებული საშინაო და საერთაშორისო უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა სავაჭრო და სხვა ოპერაციებისათვის. *(საქართველოს კანონი "სასაქონლო ბირჟებისა და*

*საბირჟო ვაჭრობის შესახებ", მუხ. 2)*

**კულტურული მემკვიდრეობა** – კულტურის ის ნაწილი, რომელმაც საზოგადოების განვითარების პროცესში დაიმკვიდრა, შეინარჩუნა ან აღიდგინა ფასეულობის მნიშვნელობა და რომელიც გადაეცემა თაობიდან თაობას. კულტურული მემკვიდრეობა ქვეყნის სულიერი და მატერიალური განვითარების მატიანეს, ერის თვითშეგნების ჩამოყალიბებისა და თვითმყოფადი ეროვნული კულტურის უწყვეტობის წინაპირობასა და კაცობრიობის საერთო საგანძურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. *(საქართველოს კანონი "კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ", პრეამბულა, მუხ. 3)*

**კონკურენცია (ეკონომიკური)** – მეტოქეობა, რომლის დროსაც ეკონომიკური აგენტები ცდილობენ თავიანთი სამეწარმეო საქმიანობა კონკურენტებზე უფრო წარმატებით განახორციელონ, სთავაზობენ რა მომხმარებლებს უკეთეს პირობებს ფასებთან, ხარისხთან, შეფუთვასთან, მომსახურების სტანდარტებთან და სხვა ეკონომიკურ მახასიათებლებთან დაკავშირებით. *(საქართველოს კანონი "თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ", მუხ. 2)*

**კონტრდაზვერვითი საქმიანობა** – საქართველოს სპეციალური სამსახურების მიერ არასამართალდაცვითი მიზნებისათვის განხორციელებული სპეციალური (ოპერატიული, ოპერატიულ-ტექნიკური) ღონისძიებების სისტემა,

რომელიც მიმართულია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა სადაზვერვო ან/და ტერორისტული ქმედებების გამოსავლენად და თავიდან ასაცილებლად. *(საქართველოს კანონი "კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ", მუხ. 2)*

კანონის ანალოგია – თუ არ არსებობს სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონი ან საპროცესო ნორმა, რომელიც არეგულირებს სასამართლო წარმოების დროს წარმოშობილ ურთიერთობას, სასამართლო იყენებს კანონს, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას. *(საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ. 7)*

კასაცია – საჩივარი, რომლითაც მხარეებსა და მესამე პირებს უფლება აქვთ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ საკასაციო სასამართლოში. *(საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ. 391)*

კამერალური საგადასახადო შემოწმება – გადასახადის გადამხდელის საქმიანობის ადგილზე გაუსვლელად, ადგენს საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების, საგადასახადო დეკლარაციების, ცნობების, დასკვნების, გაანგარიშებების, საგადასახადო ორგანოში არსებული სხვა დოკუმენტებისა და მონაცემების, აგრეთვე

გადასახადის გადამხდელისაგან მიღებული ახსნა-განმარტებისა და საალრიცხვო დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების შესაბამისობას საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. *(საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 112)*

**კიბერტერორიზმი** – კანონით დაცული კომპიუტერული ინფორმაციის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება, მისი გამოყენება ან გამოყენების მუქარა, რაც ქმნის მძიმე შედეგის საშიშროებას და ხელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახელმწიფოს სტრატეგიულ, პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ინტერესს, ჩადენილი მოსახლეობის დაშინების ან/და ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზნით. *(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 3241)* იხ. ტერორისტული აქტი

**კონტრაფაქციული პროდუქცია** – ნებისმიერი საქონელი, მათ შორის, შესაფუთი საქონელი, რომელზედაც უნებართვოდაა მოთავსებული იმ სასაქონლო ნიშნის იდენტური სასაქონლო ნიშანი, რომელიც კანონიერად არის რეგისტრირებული ამ საქონელთან დაკავშირებით ან არსებითად არ განსხვავდება აღნიშნული სასაქონლო ნიშნისაგან, და, აქედან გამომდინარე, არღვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლებებს. *(საქართველოს კანონი "ინტელექტუ-*

*ალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ", მუხ. 2)*

**კულტურის სფერო** – ისტორიულ-კულტურული ტერიტორიები და ობიექტები, შენობანაგებობები, კულტურის უძრავი და მოძრავი ძეგლები, ფოლკლორი, მხატვრული სუვენირი, ხალხური რეწვა და ხელობა, პროფესიული ხელოვნება და ლიტერატურა, სახელოვნებო განათლება და მასთან დაკავშირებული პედაგოგიკა, სამეცნიერო კვლევა და მეთოდიკა, ტექნოლოგიები, კულტურული და შემოქმედებითი მოღვაწეობის პოპულარიზაცია და გაშუქება, კულტურულ-გასართობი შემეცნებითი პროგრამები და შოუ ბიზნესი. *(საქართველოს კანონი "კულტურის შესახებ", მუხ. 5)*

**კულტურული მემკვიდრეობა** – საუკუნეების მანძილზე შექმნილი და ერის მიერ შემონახული კულტურული ფასეულობანი. *(საქართველოს კანონი "კულტურის შესახებ", მუხ. 5)*

**კულტურული ფასეულობანი** – ნებისმიერი მასალითა და საშუალებებით, ნებისმიერ ისტორიულ ეპოქაში შექმნილი კულტურული და შემოქმედებითი მოღვაწეობის ნიმუშები, ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოლოგიური, მემორიალური, რელიგიური, ესთეტიკური, მხატვრული, მეცნიერული, ტექნიკური, ტექნოლოგიური თუ სხვა ფასეულობები. *(საქართველოს კანონი "კულტურის შესახებ", მუხ. 5)*

**კათალიკოს-პატრიარქი, სრულიად საქართველოსი** – წმინდა სი-

ნოდის (საქართველოს ეკლესიის მმართველი და საკანონმდებლო ორგანოს) თავმჯდომარე და საპატრიარქოს ხელმძღვანელი. *(საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება, ტერმინთა განმარტებანი)*

* * *

# ლ

**ლიზინგი** – ლიზინგის საგნის გამცემის მიერ (შემდგომში - გამცემი) ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ლიზინგის საგნის მესაკუთრისაგან ან მწარმოებლისაგან ლიზინგის საგნის შეძენა (ან მისი დამზადება) ლიზინგის საგნის მიმღებისათვის (შემდგომში - მიმღები) დროებით ფასიან სარგებლობაში გადაცემის მიზნით, მისი გამოსყიდვის უფლებით ან ვალდებულებით. ლიზინგის სახეებია: პირდაპირი ლიზინგი, როდესაც გამცემი თვითონ არის ლიზინგის საგნის მესაკუთრე ან მწარმოებელი, კომპენსაციური ლიზინგი, როდესაც მიმღები ლიზინგის საზღაურს იხდის პროდუქციით (საქონელი, სამუშაო, მომსახურება), სერვისული ლიზინგი, როდესაც ლიზინგის ხელშეკრულება ითვალისწინებს გამცემის ან მის მიერ მოწვეული პირის მიერ ლიზინგის საგნის მართვას, დაზღვევას, საგარანტიო მომსახურებას, რემონტს და ა.შ., სუფთა ლიზინგი, როდესაც ლიზინგის ხელშეკრულება არ ითვალისწინებს გამცემის მიერ ლიზინგის საგნის რაიმე სახით მომსახურებას. *(საქართველოს კანონი "სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ" მუხ. 1, 2)*

**ლტოლვილი** – საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი, რომლისთვისაც საქართველო

არ არის მისი წარმოშობის ქვეყანა და რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მოქალაქეობის ან მუდმივად საცხოვრებელი ქვეყანა, რადგანაც იდევნებოდა რასის, რელიგიის, ეროვნული კუთვნილების, რომელიმე სოციალური ჯგუფის წევრობის ან პოლიტიკური შეხედულების გამო და არ შეუძლია ან არ სურს ისარგებლოს იმ ქვეყნის მფარველობით ასეთი საშიშროების გამო. *(საქართველოს კანონი "ლტოლვილთა შესახებ", მუხ. 1)*

**ლობისტური საქმიანობა** – საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების მიზნით წარმომადგენლობით ან აღმასრულებელ ორგანოზე ლობისტად რეგისტრირებული პირის (ლობისტის) ისეთი ზემოქმედება, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით. *(საქართველოს კანონი "ლობისტური საქმიანობის შესახებ", მუხ. 2)*

**ლეგალიზაცია** – სათანადო უფლებამოსილების მქონე საჯარო მოსამსახურის მიერ საბუთის ხელმოწერის ნამდვილობისა და საბუთის ხელმოწერის მომენტისათვის ამ საჯარო მოსამსახურის მიერ შესაბამისი თანამდებობის კანონიერად დაკავების ნამდვილობის სახელმწიფოებრივი დადასტურება. *(საქართველოს კანონი "სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ", მუხ. 3)*

**ლატარია** – ნებაყოფლობითი ჯგუფური ან მასობრივი თამაშობა, რომლის დროსაც ლატარიის ორგანიზატორი საჯაროდ გამოქვეყნე-

ბული, დადგენილი წესისა და პირობების დაცვით ათამაშებს საპრიზო ფონდს. მოგების დამთხვევა ლატარიის რომელიმე ბილეთზე დამოკიდებული არ არის ლატარიის ორგანიზატორის ან სხვა სუბიექტის ნებასურვილსა და მოქმედებაზე, წარმოადგენს შემთხვევითობას და არ შეიძლება იყოს სპეციალურად მოწყობილი. ლატარიის სახეებია ტირაჟიანი ლატარია და მომენტალური ლატარია. *(საქართველოს კანონი "ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ", მუხ. 3)*

**ლოტი** – ერთი შესყიდვის ფარგლებში გამოცალკევებული შესყიდვის ობიექტი, რომელიც შემდგომ დაყოფას არ ექვემდებარება. პრეტენდენტმა სატენდერო წინადადება შეიძლება წარადგინოს მისთვის სასურველ ერთ ან მეტ ლოტზე, ხოლო გამარჯვებული უნდა გამოვლინდეს ყოველ ლოტზე ცალ-ცალკე. *(საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", მუხ.3)*

**ლურჯი ხაზები, განაშენიანების სავალდებულო ხაზები** – მიწის ნაკვეთისათვის (ნაკვეთებისათვის) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტით დადგენილი წარმოსახვითი მიჯნა, რომელზედაც უნდა განთავსდეს შენობა-ნაგებობები; მიწის ნაკვეთისათვის (ნაკვეთებისათვის) შეიძლება დადგინდეს ერთი ან რამდენიმე ლურჯი ხაზი. *(საქართველოს კანონი "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ", მუხ. 2)*

**ლიცენზია** – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე პირისათვის კანონით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე მინიჭებული განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების უფლება. არსებობს სარგებლობისა და საქმიანობის ლიცენზიები. *(საქართველოს კანონი "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ", მუხ. 3)*

* * *

# მ

მომხმარებელი – პირადი საჭიროებისათვის საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) გამოყენებული, შემძენი, შემკვეთი, ან ასეთი განზრახვის მქონე მოქალაქე. *(საქართველოს კანონი "მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ", პრეამბულა)*

მანიფესტაცია – მოქალაქეთა დემონსტრაცია, მასობრივი საჯარო გამოსვლა, ქუჩაში მსვლელობა სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით, ან მსვლელობა პლაკატების, ლოზუნგების, ტრანსპარანტების და სხვა სახვითი საშუალებების გამოყენებით. *(საქართველოს კანონი "შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ", მუხ.3)*

მაგისტრატი მოსამართლე – რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. მაგისტრატი მოსამართლეების რაოდენობა და სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების საფუძველზე. *(საქართველოს ორგანული კანონი "საერთო სასამართლოების შესახებ", მუხ. 14)*

მინდობა (საკუთრებისა) – ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად საკუთრების მიმნდობი გადასცემს ქონებას მინდობილ მესაკუთრეს, რომელიც იღებს და მართავს მას საკუთრების მიმნდობის ინტერესების შესაბამისად. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 724)*

მიბარება – ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად შემნახველი კისრულობს შეინახოს მიმბარებლის მიერ მისთვის ჩაბარებული მოძრავი ნივთი. მიბარება უსასყიდლოა, თუ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ შემნახველი ახორციელებს შენახვას სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, მაშინ საზღაური დუმილითაც შეთანხმებულად ჩაითვლება. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 763, 764)*

მეურვეობა – წესდება ბავშვზე, რომელსაც არ მიუღწევია შვიდი წლის ასაკისათვის ან პირზე, რომელიც სასამართლოს მიერ აღიარებულია ქმედუუნაროდ სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 1276)*

მზრუნველობა – წესდება არასრულწლოვანზე შვიდი წლის ასაკიდან თვრამეტ წლამდე. მზრუნველობა წესდება აგრეთვე სრულწლოვან ქმედუნარიან პირზე მისი თხოვნით, თუ მას თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობანი. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 1277)*

**მემკვიდრეობა** – გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლა სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე), რომელიც ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ანდა ორივე საფუძვლით. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 1306)*

**მოხელე** – პირი, რომელიც ინიშნება ან აირჩევა საჯარო დაწესებულების საშტატო (შტატით გათვალისწინებულ) თანამდებობაზე. მოხელეები იყოფიან სახელმწიფო მოხელეებად და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებად. *(საქართველოს კანონი "საჯარო სამსახურის შესახებ", მუხ. 6)*

**მოსაკრებელი** – აუცილებელი გადასახდელი ბიუჯეტში, რომელსაც ფიზიკური და იურიდიული პირები იხდიან სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ მათთვის კანონით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების ან/და სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის, აგრეთვე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ გარკვეული მომსახურების გაწევისათვის. *(საქართველოს კანონი "მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ", მუხ. 1)*

**მობილიზაცია** – ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ითვალისწინებს შექმნილი სამობილიზაციო რესურსებისა და რეზერვების, საომარი ან/და საგანგებო მდგომარეობის საჭიროებისათვის გამოყენებას. მობილიზაცია შეიძლება იყოს როგორც სა-

ერთო, ისე ნაწილობრივი *(საქართველოს კანონი "მობილიზაციის შესახებ", მუხ. 1)*

მომიჯნავე უფლებები – შემსრულებლის, ფონოგრამის, ვიდეოგრამის დამამზადებლისა და მაუწყებლობის ორგანიზაციის საავტორო უფლებების მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებული ურთიერთობები. *(საქართველოს კანონი "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ", მუხ. 1)*

მავნე ზეგავლენა – იმ ფილმების ჩვენებით, ნაბეჭდი პროდუქციის, ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს მოხმარება-გასაღებით, აზარტულ თამაშობებში მონაწილეობით მიღებული ზემოქმედება, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს არასრულწლოვნის ფსიქიკურ ან/და ფიზიკურ ჯანმრთელობას, მის მორალურ და სოციალურ განვითარებას. *(საქართველოს კანონი "მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ", მუხ. 3)*

მინისტრი – სამინისტროს ხელმძღვანელი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას მისი კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე. *(საქართველოს კანონი "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ", მუხ. 20)* იხ. სამინისტრო

მედია – მასობრივი კომუნიკაციის ბეჭდვითი ან ელექტრონული საშუალება, მათ შორის, ინტერნეტი. *(საქართველოს კანონი "სიტყვისა და გამოხატვის შესახებ", მუხ. 1)*

მშენებლობა – შენობა-ნაგებობის აგების (მათ შორის, რეკონსტრუქციის) პროცესი, რომელიც მოიცავს სამშენებლო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოებს. *(საქართველოს კანონი "მშენებლობის ნებართვის შესახებ", მუხ. 2)*

მაგისტრატურა – უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხური; სასწავლო პროგრამების ერთობლიობა, რომელიც აუცილებლად შეიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევრის მომზადებას, აგრეთვე ამზადებს პირს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.

მაგისტრი – მფლობელი იმ უმაღლესი აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის – მაგისტრატურისათვის დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად ენიჭება. *(საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", მუხ. 2)*

მაუწყებელი – ლიცენზიის მფლობელი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ტელე- ან რადიოპროგრამების გავრცელებას სახმელეთო გადამცემებით, საკაბელო ქსელის ან თანამგზავრის მეშვეობით, სადენით ან ჰაერით, კოდირებული ან არაკოდირებული ფორმით. *(საქართველოს კანონი "მაუწყებლობის შესახებ", მუხ. 2)*

მკაცრი აღრიცხვის ფორმა – განსაზღვრული შინაარსის, ფორმისა და ზომის ბლანკი, ბილეთი ან საბუთი, რო-

მელიც გამიზნულია სხვადასხვა სფეროში საქმიანობასთან (საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება, მომსახურების გაწევა და სხვა) დაკავშირებული ანგარიშსწორების, ანგარიშგების, იურიდიული ან სხვა ფაქტის დაფიქსირებისათვის, რომელსაც შეიმუშავებს ერთი ან რამდენიმე სამართალსუბიექტი დარგობრივი ნიშნით და რომელიც შემოღებულია სამოქმედოდ ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით. *(საქართველოს კანონი "მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ", მუხ. 2)*

მუნიციპალიტეტი – დასახლებათა ერთობლიობა, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად აქვს თვითმმართველი ერთეულის სტატუსი. *(საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", მუხ. 1)*

მერია – ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო. *(საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", მუხ. 19)* იხ. თბილისის მერია, გამგეობა

მომხმარებელი – სურსათის საბოლოო მომხმარებელი, რომელიც არ გამოიყენებს სურსათს სხვა პროდუქციის საწარმოებლად. *(საქართველოს კანონი "სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ", მუხ. 3)*

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნები – საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრების არჩევნები ერთმანდატიანი ან მრავალმანდა-

ტიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით. *(საქართველოს ორგანული კანონი _ საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხ. 3)* იხ. არჩევნები

**მრავალმანდატიანი ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი** – საარჩევნო ოლქი, რომელიც იქმნება საქართველოს დედაქალაქის – თბილისის თვითმმართველობის ორგანოს – საკრებულოს წევრების მაჟორიტარული წესით ასარჩევად. *(საქართველოს ორგანული კანონი _ საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხ. 3)* იხ. საარჩევნო ოლქი

**მართლზომიერი რისკი** – საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მისაღწევად გამართლებული რისკის პირობებში სამართლებრივი სიკეთის დაზიანება. რისკი გამართლებულია, თუ ეს მიზანი არ შეიძლებოდა მიღწეულიყო რისკის გარეშე ქმედებით და თუ პირმა მიიღო ყველა ზომა სამართლებრივი სიკეთის დაზიანების თავიდან ასაცილებლად. *(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 31)*

**მეკობრეობა** – წყლის ხომალდზე ან სხვა მცურავ საშუალებაზე თავდასხმა სხვისი ნივთის დასაუფლებლად, მისი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით. *(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 228)*

**მიკროკრედიტი** – მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადიანობის, დაბრუნება-

დობის, ფასიანობის და მიზნობრიობის პირობების შესაბამისად მსესხებელზე ან მსესხებელთა ჯგუფზე გაცემული ფულადი თანხა. *(საქართველოს კანონი "მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ", მუხ. 5)*

**მიკროსაფინანსო ორგანიზაცია** – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელიც მისი განაცხადის საფუძველზე რეგისტრირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და ახორციელებს ამ კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას ეროვნული ბანკის ზედამხედველობით. *(საქართველოს კანონი "მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ", მუხ. 3)*

**მიკროლიზინგი** – ლიზინგი, რომლის ღირებულება განისაზღვრება მიკროკრედიტის დადგენილი ზღვრით. *(საქართველოს კანონი "მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ", მუხ. 2)*

**მოგების გადასახადი** – სხვაობა გადასახადის გადამხდელის ერთობლივ შემოსავალსა და საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის. *(საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 170)* იხ. გადასახადი

**მსჯავრდებული** – პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი. *(საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 44)*

მაღალმთიანი რეგიონი – ჰიფსომეტრიული სიმაღლის მიხედვით, დასახლებული ტერიტორია, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე და მის ზევით, მაგრამ სხვადასხვა პარამეტრების (მთის ფერდობების და ზეგნების დახრილობა, გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი გარემო, ეთნოგრაფიული და ეკონომიკური თავისებურებები, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სიმცირე და სიმწირე. დემოგრაფიული ტევადობა, გამწვავებული მიგრაციული პროცესები, დაცლილი ტერიტორიების ეკონომიკური თვალსაზრისით დაკარგვის საფრთხე) გათვალისწინებით მისი ქვედა ზღვარი კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე განლაგებულ რაიონებში და აჭარაგურიის მთიანეთში მცირდება 1000 მეტრამდე (გამონაკლის შემთხვევაში - 800 მეტრამდეც კი), ხოლო სამხრეთ საქართველოს მთიან რაიონებში რჩება 1500 მეტრი. ჰიფსომეტრიული სიმაღლის მიუხედავად "მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედება ვრცელდება მთლიანად მხოლოდ მთიულეთზე და გუდამაყრის ხეობაზე, ფშავხევსურეთზე და თუშეთზე, რომლებიც დემოგრაფიული რეაბილიტაციის მწვავე ზონებად ითვლება. *(საქართველოს კანონი "მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ", მუხ. 4, 5)*

მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესია – საეკლესიო კანონიკური ნორმით არსებულ ადგილობრივ (ავტოკეფალურ) მართლმადიდებელ ეკლესიათა სულიერი ერთობა, რაც ხორციელდება (გამოხატულია) საეკლესიო საიდუმლოებების ურთიერთცნობით და ეკლესიის მეთაურთა მიერ წირვა-ლოცვის დროს ურთიერთმოხსენიებით. *(საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება, ტერმინთა განმარტებანი)*

მონასტერი – ეპისკოპოსის კურთხევით დაარსებული ბერ-მონოზონთა სავანე, რომელიც ეპისკოპოსის მიერ დადგენილი ტიპიკონით (ცხოვრების წესი) ხელმძღვანელობს. *(საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება, ტერმინთა განმარტებანი)*

* * *

# ნ

**ნოტარიატი** – საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის ამოცანაა პირებს შორის სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფარგლებში სამართლებრივ ურთიერთობათა და იურიდიული ფაქტების დადასტურება. *(საქართველოს კანონი "ნოტარიატის შესახებ", მუხ. 1)*

**ნოტარიუსი** – სპეციალურად უფლებამოსილი პირი, რომლის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს საქართველოს მოქალაქემ, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, გავლილი აქვს სტაჟირება ან აქვს ნოტარიუსად, ნოტარიუსის მდივნად ანდა კონსულტანტად მუშაობის არანაკლებ ერთი წლის სტაჟი და ჩაბარებული აქვს ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა. *(საქართველოს კანონი "ნოტარიატის შესახებ", მუხ. 12)*

**ნოტარიუსთა პალატა** – თვითმმართველობის პრინციპზე აგებული ნოტარიუსების გაერთიანება და ემყარება ნოტარიუსთა სავალდებულო წევრობას. ნოტარიუსები ნებაყოფლობით საწყისებზე შეიძლება იყვნენ ნოტარიუსთა სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებებში. ნოტარიუსთა პალატა წარმოადგენს და იცავს ნოტარიუსთა ინტერესებს, უწევს მათ დახმარებას სანოტარო საქმიანობაში, ორგანიზაციას უკეთებს ნოტარიუსობის კანდიდატთა სტაჟირებას, ზრუნავს ნოტარიუსთა კვა-

ლიფიკაციის ამაღლებაზე. *(საქართველოს კანონი "ნოტარიატის შესახებ", მუხ. 4)*

**ნორმატიული აქტი** – უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს. *(საქართველოს კანონი "ნორმატიული აქტების შესახებ", მუხ. 2)*

**ნასყიდობა** – ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 477)*

**ნასყიდობა განვადებით** – ნასყიდობა, რომლის დროსაც გამყიდველი ვალდებულია გადასცეს ნივთი მყიდველს ფასის გადახდამდე. ნივთის ფასის გადახდა მყიდველის მიერ ხდება ნაწილ-ნაწილ დროის განსაზღვრულ შუალედებში. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 505)*

**ნარდობა** – ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. თუ ნარდობა ითვალისწინებს რაიმე ნაკეთობის დამზადებას და მენარდე მას ამზადებს

თავის მიერ შექმნილი მასალით, მაშინ იგი შემკვეთს გადასცემს საკუთრებას დამზადებულ ნაკეთობაზე. თუ დამზადებულია გვაროვნული ნივთი, მაშინ გამოიყენება ნასყიდობის წესები. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 629)*

**ნოუ-ჰაუ** – საწარმოო-კომერციულ საიდუმლოება, რომელიც წარმოადგენს განსაკუთრებული მნიშვნელობის ტექნოლოგიურ, ორგანიზაციულ ან კომერციულ ინფორმაციას, რაც დასტურდება მისი საიდუმლოდ შენახვისათვის გაწეული აუცილებელი და საკმარისი ღონისძიებით, განსაკუთრებული უფლება აქვს ამ ინფორმაციაზე. ნოუ-ჰაუზე განსაკუთრებული უფლების დაცვა ხორციელდება ამ კოდექსითა და სამრეწველო საკუთრების შესახებ სხვა საკანონმდებლო აქტებით. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 1105)*

**ნდობის ჯგუფი** – საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების სპეციალური პროგრამებისა და საიდუმლო საქმიანობის საბიუჯეტო კონტროლის მიზნით საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრთაგან შექმნილი ჯგუფი. ნდობის ჯგუფი შედგება 5 წევრისაგან, რომელთაგან ერთი არის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ორი – უმრავლესობის წევრი, ერთი – მაჟორიტარული წესით არჩეულ პარლამენტის წევრთა შეთანხმებით წარდგენილი მაჟორიტარი პარლამენტის წევრი და

ერთი – იმ ფრაქციის წევრი, რომელიც შედგება საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნოზღურბლგადალახული პარტიის/საარჩევნო ბლოკის პარტიული სიით არჩეული პარლამენტის წევრებისაგან და არ შედის უმრავლესობის შემადგენლობაში. *(საქართველოს კანონი "ნდობის ჯგუფის შესახებ", მუხ. 1, 2)*

**ნარკოტიკული საშუალება** – ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერება, ამ ნივთიერების შემცველი მცენარე ან პრეპარატი, რომელიც გაეროს კონვენციების შესაბამისად შეტანილია საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალებების სიაში. *(საქართველოს კანონი "ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ", მუხ. 2)*

**ნარკოტიკული საშუალების ანალოგი** – ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის უცნობი ნივთიერება, რომელიც შეტანილი არ არის სიებში, მაგრამ თავისი ფსიქოაქტიური მოქმედებით ნარკოტიკული საშუალების მსგავსია. *(საქართველოს კანონი "ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ", მუხ. 2)*

**ნარკომანია** – დაავადება, რომელიც ხასიათდება ნარკოტიკული საშუალებების მიღებისადმი მზარდი, დაუძლეველი სურვილით მათ მიმართ ჩამოყალიბებული ფსიქიკური ან/და ფიზიკური დამოკიდებულების გამო. *(საქართველოს კა-*

*ნონი "ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ", მუხ. 2)*

ნებართვა – ამ კანონით გათვალისწინებული, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით ქმედების განხორციელების უფლება, რომელიც უკავშირდება ობიექტს და ადასტურებს ამ განზრახვის კანონით დადგენილ პირობებთან შესაბამისობას. შესაძლებელია ნებართვის გადაცემა სხვა პირისთვის, თუ ეს კანონით არ არის აკრძალული ან ნებართვა არსობრივად არ არის დაკავშირებული მის მფლობელთან. *(საქართველოს კანონი "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ", მუხ. 3)*

* * *

# ო

**ოფერტი** – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიზნებისათვის: წინადადება ხელშეკრულების დადების შესახებ. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 329)*

**ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა** – კანონით დადგენილი სახელმწიფო ორგანოების სპეციალური სამსახურების მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ღია თუ ფარული მეთოდით ჩატარებული ღონისძიებების სისტემა, რომლის მიზანია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების, საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა დანაშაულებრივი და სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. *(საქართველოს კანონი "ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ", მუხ. 1)*

**ოფციური გარიგება** – მომავალში კონტრაქტების დადების უფლების ყიდვასთან დაკავშირებული გარიგება, რომლის თანახმადაც ერთ-ერთ მხარეს კონტრაქტით დადგენილი ფასით და დროის განსაზღვრულ მონაკვეთში საქონლის ყიდვა-გაყიდვის უფლება ენიჭება. *(საქართველოს კანონი "სასაქონლო ბირჟებისა და საბირჟო ვაჭრობის შესახებ", მუხ. 2)*

**ოფშორული ზონა** – ქვეყანა ან ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი, სადაც მოქმედებს შეღავათიანი საგადასახადო

რეჟიმი ან/და სადაც მოთხოვნები გარიგების მონაწილე პირების იდენტიფიკაციის მიმართ არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და რომელიც ასეთად აღიარებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. *(საქართველოს კანონი "უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ", მუხ. 2)*

# პ

**პოლიცია** – აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი სამართალდამცავი, სპეციალური, პოლიციური და გასამხედროებული დაწესებულებების სისტემა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. *(საქართველოს კანონი "პოლიციის შესახებ", მუხ. 1)*

**პროკურა** – გენერალური სავაჭრო მინდობილობა, რომელიც რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში. პროკურა იძლევა უფლებამოსილებას სასამართლოსა და სხვა ურთიერთობებში განხორციელდეს ყველა იმ სახის საქმიანობა და სამართლებრივი მოქმედება, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან. *(საქართველოს კანონი "მეწარმეთა შესახებ", მუხ. 10)*

**პლებისციტი** – კენჭისყრით: საერთო-სახალხო გამოკითხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე საქართველოს ამომრჩეველთა ან მისი ნაწილის აზრის გასაგებად. *(საქართველოს კანონი "რეფერენდუმის შესახებ", მუხ. 81)*

**პროფესიული კავშირი** – საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსა-

ზღვრული წესით შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, საქმიანობის მიხედვით – საერთო საწარმოო, პროფესიული ინტერესებით დაკავშირებულ პირთა (მუშაკთა) ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი გაერთიანება (ორგანიზაცია), რომლის მიზანია თავისი წევრების შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვა და წარმომადგენლობა. *(საქართველოს კანონი "პროფესიული კავშირების შესახებ", მუხ. 2)*

**პრივატიზება** – ფიზიკური და იურიდიული პირების ან მათი გაერთიანებების მიერ სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლების შეძენა, რის შედეგად სახელმწიფო კარგავს პრივატიზებული ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის, ხოლო სახელმწიფო ორგანოები - მისი მართვის უფლებებს. *(საქართველოს კანონი "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ", მუხ. 1)*

**პირგასამტეხლო** – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა - მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 417)*

**პირადობის მოწმობა** – დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის საქართველოს მოქალაქეობას, მის ვინაობას და საცხოვრებელ ადგილს. *(საქართველოს კანონი "საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხო-*

*ელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ", მუხ. 12)*

**პასპორტი** – საქართველოს მოქალაქის პირადობის და მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ. პასპორტი საქართველოს სახელმწიფოს კუთვნილებაა. *(საქართველოს კანონი "საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ", მუხ. 201)*

**პარტია (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება)** – საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი მოქალაქეთა ნებაყოფლობითი დამოუკიდებელი გაერთიანება,რომელიც რეგისტრირებულია ამ კანონით დადგენილი წესით და თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ფარგლებში. პარტია არის არასამეწარმეო იურიდიული პირი. *(საქართველოს ორგანული კანონი "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ", მუხ. 3, 4)*

**პალიატიური მკურნალობა** – სამედიცინო მომსახურება, რომლითაც რადიკალურად არ უმჯობესდება პაციენტის მდგომარეობა, არ იცვლება არაკეთილსაიმედო პროგნოზი და რომლის მიზანია პაციენტის მდგომარეობის

დროებითი შემსუბუქება. *(საქართველოს კანონი "პაციენტის უფლებების შესახებ", მუხ. 4)*

**პაციენტი** – ნებისმიერი პირი, რომელიც, მიუხედავად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა, სარგებლობს, საჭიროებს ან აპირებს ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მომსახურებით. *(საქართველოს კანონი "პაციენტის უფლებების შესახებ", მუხ. 4)*

**პოლიტიკური რეპრესია** – იძულების სხვადასხვა ფორმა – სიცოცხლის ხელყოფა, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება, გასახლება, სახელმწიფოდან გაძევება, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებით მოთავსება, მოქალაქეობის ჩამორთმევა, შრომაში იძულებით ჩაბმა, ქონების ჩამორთმევა და განადგურება, თანამდებობიდან ან სხვა სამუშაო ადგილებიდან უკანონო დათხოვნა, საცხოვრებლად გამწესება სპეციალური დასახლების ადგილებში, საცხოვრებელი სადგომიდან გამოსახლება, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული ადამიანის უფლებების ან თავისუფლებების სხვაგვარი შეზღუდვა, რომელიც სახელმწიფომ განახორციელა პოლიტიკური მოტივით სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან ან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის გაწევასთან მშვიდობი-

ანი საშუალებებით, სოციალურ, წოდებრივ ან რელიგიურ კუთვნილებასთან, აგრეთვე "საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლში ჩამოთვლილი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული იძულების ფორმები. *(საქართველოს კანონი "საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ", მუხ. 2)*

**პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლი** – პირი, რომელმაც უშუალოდ განიცადა პოლიტიკური რეპრესია, აგრეთვე პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის მეუღლე, შვილი (ნაშვილები), მშობელი და პირდაპირი ხაზის სხვა ნათესავი, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, გადასახლებაში, გასახლებაში, სპეციალური დასახლების ადგილას. *(საქართველოს კანონი "საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ", მუხ. 3)* _ იხ. "პოლიტიკური რეპრესია"

**პარლამენტის წევრის სტატუსი** – ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში არჩეული პირის კანონით განსაზღვრული პოლიტიკურ-სამართლებრივი მდგომარეობა, რაც მოიცავს დეპუტატის უფლებამოსილებას, პასუხისმგე-

ბლობას, საქმიანობის წესსა და გარანტიებს. *(საქართველოს კანონი "პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ", მუხ. 3)*

პატენტი – საქართველოს საპატენტო კანონის შესაბამისად გაცემული დამცავი დოკუმენტი. *(საქართველოს საპატენტო კანონი, მუხ. 2)*

პატენტრწმუნებული – სამრეწველო საკუთრების სფეროში სხვისი სახელით მოქმედი "საქპატენტში" რეგისტრირებული პირი. *(საქართველოს საპატენტო კანონი, მუხ. 2)*

პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა – დროებითი, საგანგებო ღონისძიება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საკრებულოს დათხოვნის, საქმიანობის შეჩერების, მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ან საქართველოს კანონით დადგენილი წესით საკრებულოს აურჩევლობის შემთხვევაში, მოსახლეობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, უზრუნველყოფს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში სახელმწიფო ინტერესების დაცვასა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტას. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შემოღება ხდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. *(საქართველოს კანონი "პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შესახებ", მუხ. 1)*

პრეკურსორი – ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერება, რო-

მელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონოდ დამზადებისას და გაეროს კონვენციების შესაბამისად შეტანილია საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული პრეკურსორების სიაში. *(საქართველოს კანონი "ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ", მუხ. 2)*

**პროფესორი, სრული** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. *(საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", მუხ. 2)*

**პენსია** – "სახელმწიფო პენსიის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული პირობებით პირის ყოველთვიური ფულადი უზრუნველყოფა. *(საქართველოს კანონი "სახელმწიფო პენსიის შესახებ", მუხ. 4)*

**პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნები** – საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრების არჩევნები პარტიული სიების საფუძველზე. *(საქართველოს ორგანული კანონი - საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხ. 3)* იხ. არჩევნები

**პრობაციის ბიურო** – პირობით მსჯავრდებულის ყოფაქცევის კონტროლისა და მისი დახმარების განმახორციელებელი ორგანო, რომელიც თვალყურს ადევნებს პირის მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, ხოლო მისი შეუსრულებლობის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს სასამართლოს. *(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 66)*

**პროკურორი** – გენერალური პროკურორი, მისი პირველი მოადგილე და მოადგილე, უფროსი თანაშემწე და თანაშემწე, ავტონომიური რესპუბლიკის, ქ. თბილისის, საოლქო, რაიონული (საქალაქო), სპეციალიზებული პროკურატურის პროკურორი, საგანგებო მნიშვნელობის საქმეთა პროკურორი, უფროსი პროკურორი და პროკურორი, პროკურორ-კრიმინალისტი, პროკურორ-სტაჟიორი, აგრეთვე პროკურატურის იმ დეპარტამენტის, სამმართველოს, განყოფილების და მათთან გათანაბრებული სტრუქტურული დანაყოფის უფროსი და მისი მოადგილე, რომელიც უშუალოდ ახორციელებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფუნქციებს, ასევე ცალკეულ შემთხვევაში პროკურატურის ის მუშაკი, რომელიც უშუალოდ არ ახორციელებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფუნქციებს, მაგრამ ჩაბარებული აქვს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა და გენერალური პროკურორის გადაწყვეტილებით დაკისრებული

აქვს პროკურორის უფლებამოსილება. *(საქართველოს ორგანული კანონი "პროკურატურის შესახებ", მუხ. 49)*

პროკურატურის გამომძიებელი – განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა უფროსი გამომძიებელი, განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა გამომძიებელი, უფროსი გამომძიებელი, გამომძიებელი, სტაჟიორ-გამომძიებელი. *(საქართველოს ორგანული კანონი "პროკურატურის შესახებ", მუხ. 49)*

* * *

# რ

**რეფერენდუმი** – საერთო-სახალხო გამოკითხვა კენჭისყრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების საბოლოოდ გადასაწყვეტად. *(საქართველოს კანონი "რეფერენდუმის შესახებ", მუხ. 1)*

**რეაბილიტაცია, საწარმოსი** – "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მიზნებისათვის: ეკონომიკური, ფინანსური და სხვა ღონისძიებების ერთობლიობას, რომელიც მიზნად ისახავს მოვალის ფინანსური სიძნელეების დაძლევას, მისი საწარმოს ლიკვიდურობის აღდგენას და ლიკვიდაციის თავიდან აცილებას. *(საქართველოს კანონი "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ", მუხ. 251)*

**რეაბილიტაცია, მსჯავრდებულისა** – უკანონოდ ან დაუსაბუთებლად მსჯავრდებულის, ბრალდებულის ან იძულებითი მკურნალობისათვის გაგზავნილის უფლებების აღდგენა, თუ დადგინდება მისი უდანაშაულობა ან იძულებითი მკურნალობისათვის გაგზავნის უსაფუძვლობა. *(საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 219)*

**რატიფიკაცია** – საქართველოს მიერ მისთვის საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობის გამოხატვის ფორმა. იგივეა: დამტკიცება, შეერთება. *(საქართველოს კანონი "საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ", მუხ. 3)*

**რეციპიენტი** – პაციენტი, რომლისათვისაც გადანერგვის მიზნით განკუთვნილია დონორისაგან აღებული ორგანოები, ორგანოთა ნაწილები ან ქსოვილები. *(საქართველოს კანონი "ჯანმრთელობის შესახებ", მუხ. 3)*

**რეკლამა** – საქონელზე,მომსახურებასა და სამუშაოზე (შემდგომში-საქონელზე), ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის და ემსახურება ფიზიკური და იურიდიული პირების, საქონლის, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას. *(საქართველოს კანონი "რეკლამის შესახებ", მუხ. 3)*

**კომერციული რეკლამა** – რეკლამა საფასურის ან სხვა ეკონომიკური სარგებლის სანაცვლოდ, რომელიც ემსახურება მეწარმის, საქონლის, მომსახურების, სამუშაოს, კომერციული იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, მომსახურების, სამუშაოს, კომერციული იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას. *(საქართველოს კანონი "მეწარმეობის შესახებ", მუხ. 2)*

**სოციალური რეკლამა** – საზოგადოებრივი სიკეთის ხელშეწყობისა და საქველმოქმედო მიზნების მიღწევისაკენ მიმართული რეკლამა, რომელიც არ არის არც კომერციული

და არც წინასაარჩევნო რეკლამა და არ შეიცავს კერძო სამართლის იურიდიული პირის ან სამთავრობო დაწესებულების, აგრეთვე მათ მიერ გაწეული მომსახურების რეკლამას. *(საქართველოს კანონი "მაუწყებლობის შესახებ", მუხ. 2)*

**წინასაარჩევნო რეკლამა** – რეკლამა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, გამგებლისა და მერის არჩევის ხელშეწყობას. *(საქართველოს კანონი "მაუწყებლობის შესახებ", მუხ. 2)*

**არაკეთილსინდისიერი რეკლამა** – რეკლამა, რომელიც შეიცავს რეკლამირებადი საქონლის არაკორექტულ შედარებებს სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საქონელთან, კონკურენტის ან მესამე პირის სახელის, ღირსებისა და რეპუტაციის შემლახავ გამოთქმებს, ახდენს იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა დისკრედიტირებას, რომლებიც არ სარგებლობენ რეკლამირებადი საქონლით, აგრეთვე რომელსაც ფიზიკურ პირთა ნდობის ანდა მათი ცოდნისა და გამოცდილების უკმარისობის ბოროტად გამოყენებით შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი რეკლამირებადი საქონლის თვისებების შესახებ. *(საქართველოს კანონი "რეკლამის შესახებ", მუხ. 3)*

**არასარწმუნო რეკლამა** – რეკლამა, რომელიც შეიცავს სინამდვილესთან შეუსაბამო მონაცემებს რეკლამის დამკვეთის, საქონლის თვისებების, შემადგენლობის, დამზადების ადგილის, წესის, თარიღის, დანი-

შნულების, სამომხმარებლო თვისებების, გამოყენების პირობების, სერტიფიკატის ნიშნების, სახელმწიფო სტანდარტებთან შესაბამისობის, რაოდენობის, ბაზარზე საქონლის არსებობის, მისი აღნიშნული რაოდენობით მითითებულ ადგილზე და ვადაში შეძენის შესაძლებლობის, რეკლამის გავრცელებისას საქონლის ღირებულების (ფასის), ანაზღაურების დამატებითი პირობების, საქონლის მიტანის, დაბრუნების, შეკეთების, საგარანტიო ვალდებულებების, ვარგისიანობის ვადის, სახელმწიფო სიმბოლიკის (დროშა, გერბი, ჰიმნი) გამოყენების უფლების,ოფიციალური აღიარების (მადლობის, პრიზების, დიპლომებისა და სხვა ჯილდოების მიღება), გამოკვლევისა და გამოცდის შედეგების, საქონელზე მოთხოვნის ფაქტობრივი მოცულობის შესახებ. *(საქართველოს კანონი "რეკლამის შესახებ", მუხ. 3)*

**არაეთიკური რეკლამა** – რეკლამა, რომელიც ფიზიკურ პირთა ეროვნების, რასის, პრო-ფესიის, სოციალური კუთვნილების, ასაკის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და ფილოსოფიური მრწამსის მიმართ შეურაცხმყოფელი სიტყვებისა და შედარებების გამოყენებით არღვევს საყოველთაოდ აღიარებულ ჰუმანურ და ზნეობრივ ნორმებს, ხელყოფს ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ საგანძურში შემავალ ხელოვნების ობიექტებს, ისტორიულ და არქიტექტურულ ძეგლებს, ბღალავს სახელმწიფო სიმბოლიკას (დროშა, გერბი, ჰიმნი), საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს ერო-

ვნულ ვალუტას, რელიგიურ სიმბოლოებს, ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, მათ საქმიანობას, პროფესიას ან საქონელს. *(საქართველოს კანონი "რეკლამის შესახებ", მუხ. 3)*

**რეესტრი, სამოქალაქო** – საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ფიზიკურ პირთა რეგისტრაციის, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის, ბინადრობის მოწმობისა და პასპორტის გაცემის რეგისტრაციის მონაცემთა სისტემური ერთობლიობა. *(საქართველოს კანონი "სახელმწიფო რეესტრის შესახებ", მუხ. 3)*

**რეესტრი, კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების** – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების შესახებ მონაცემთა სისტემური ერთობლიობა. *(საქართველოს კანონი "სახელმწიფო რეესტრის შესახებ", მუხ. 4)*

**რეესტრი, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების)** – მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) შესახებ მონაცემთა სისტემური ერთობლიობა. *(საქართველოს კანონი "სახელმწიფო რეესტრის შესახებ", მუხ. 5)*

**რეესტრი, ლიცენზიებისა და ნებართვების** - საქართველოს ტერიტორიაზე სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის გაცემული ლიცენზიებისა და ნებართვების და მათი მფლობელების შესახებ მონაცემთა სისტემური

ერთობლიობა. ლიცენზიებისა და ნებართვების რეესტრში შედის ლიცენზიების რეესტრი და ნებართვების რეესტრი. *(საქართველოს კანონი "სახელმწიფო რეესტრის შესახებ", მუხ. 6)*

**რეესტრი, მაკონტროლებელ ორგანოთა** – სამეწარმეო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელი ორგანოების შესახებ მონაცემთა სისტემური ერთობლიობა. *(საქართველოს კანონი "სახელმწიფო რეესტრის შესახებ", მუხ. 7)*

**რეესტრი, საჯარო** – უძრავ ნივთებზე საკუთრებისა და სხვა სანივთო უფლებების, უძრავი ქონების საკადასტრო მონაცემების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 215-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ბინის მესაკუთრეთა შორის დადებული შეთანხმებების, აგრეთვე მოძრავ ნივთებზე სარგებლობის, საგარანტიო და სხვა უფლებების რეგისტრაციის მონაცემთა სისტემური ერთობლიობა. საჯარო რეესტრში შედის უძრავი ნივთების რეესტრი და მოძრავი ნივთების რეესტრი. *(საქართველოს კანონი "სახელმწიფო რეესტრის შესახებ", მუხ. 8)*

**რეესტრი, ნორმატიული აქტების** – „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული ნორმატიული აქტების შესახებ მონაცემთა სისტემური ერთობლიობა. *(საქართველოს კანონი "სახელმწიფო რეესტრის შესახებ", მუხ. 9)*

**რეესტრი, ფასიანი ქაღალდების** – რეესტრი,

რომელსაც აწარმოებს ემიტენტი ან ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი და რომელშიც აღნიშნულია რეგისტრირებული მფლობელებისა და მათ მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, კლასი და მათთან დაკავშირებული, კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია. *(საქართველოს კანონი "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ", მუხ. 2)*

**რეკონსტრუქცია** – შენობანაგებობის გაბარიტების შეცვლის, გადაკეთების, აღდგენა-რეაბილიტაციის ან/და რეგენერაცია-ადაპტაციის მიზნით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც იწვევს მისი კონსტრუქციული ელემენტების ცვლილებებს. კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლისა და ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის მიმართ რეკონსტრუქციის ცნება განისაზღვრება „კულტურული მემ- კვიდრეობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით. *(საქართველოს კანონი "შენებლობის ნებართვის შესახებ", მუხ. 2)*

**რექტორი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე. *(საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", მუხ. 2)*

**რეკეტი** – შემოსავლის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის სისტემატურად მიღების მიზნით წარმოებული არაერთჯერადი და ორგანიზებული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია განზრახი დანაშაულის ჩადენასთან (თუ ნასამართლობა არ არის გაქარწყლებული

ან მოხსნილი), თუ იგი განხორციელდა ორჯერ მაინც ხუთი კალენდარული წლის განმავლობაში, რომელშიც არ შედის რეკეტირის დაპატიმრებისა და სასჯელის მოხდის ვადა.

**რეკეტული დაჯგუფება** – თავისი საქმიანობით რეკეტთან დაკავშირებული იურიდიული პირი, აგრეთვე ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირთა ნებისმიერი გაერთიანება.

**რეკეტირი** – პირი, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა პირთან (პირებთან) ერთად წარმართავს რეკეტული დაჯგუფების საქმიანობას, ან სხვაგვარად მონაწილეობს რეკეტული დაჯგუფების საქმიანობაში და მისთვის ცნობილია, რომ ეს დაჯგუფება რეკეტული დაჯგუფებაა, აგრეთვე უკანონოდ წყვეტს რეკეტულ დაჯგუფებებს ან რეკეტულ დაჯგუფებასა და სხვა პირთა შორის დავებს ან მონაწილეობს ასეთი დავების გადაწყვეტაში. *(საქართველოს კანონი "ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ", მუხ. 2)*

**რკინიგზა** – მგზავრთა გადასაყვანად, ტვირთის, ბარგის, ტვირთ-ბარგისა და ფოსტის გადასაზიდად საჭირო ყველა ტექნიკური საშუალებით აღჭურვილი, კომპლექსური საწარმო, რომლის მომსახურებას უზრუნველყოფენ ამ საშუალებების ექსპლუატაციისა და გადაყვანა-გადაზიდვის ორგანიზების განმახორციელებელი სპეციალისტები და რომლის საქმიანობა რეგულირდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა სამართლებრივი აქტებით. *(საქართველოს სარკინიგზო კოდექსი, მუხ. 2)*

**რეზიდენტი** – რეზიდენტი ფიზიკური პირი ან რეზიდენტი იურიდიული პირი (საქართველოს საწარმო ან საქართველოს ორგანიზაცია). *(საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 12)*

**როიალტი** – სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და ტექნოგენური წარმონაქმნების გადამუშავების პროცესში წიაღით სარგებლობის უფლების საფასური; საავტორო უფლებების, პროგრამული უზრუნველყოფის, პატენტის, ნახაზის, მოდელის, სავაჭრო ნიშნის ან სხვა ინტელექტუალური საკუთრების გამოყენებისათვის ან გამოყენების უფლების სხვა პირზე გადაცემისათვის მიღებული შემოსავალი; სამრეწველო, სავაჭრო ან სამეცნიერო-კვლევითი მოწყობილობის გამოყენებისათვის ან გამოყენების უფლების სხვა პირზე გადაცემისათვის მიღებული შემოსავალი; ნოუ-ჰაუს გამოყენებისათვის მიღებული შემოსავალი; კინოფილმების, ვიდეოფილმების, ხმის ჩანაწერების ან ჩაწერის სხვა საშუალებათა გამოყენებისათვის ან გამოყენების უფლების სხვა პირზე გადაცემისათვის მიღებული შემოსავალი; საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ უფლებებთან დაკავშირებით ტექნიკური დახმარების გაწევისათვის ან ამ უფლებათა გამოყენებაზე უარის თქმით მიღებული შემოსავალი. *(საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 12)*

**რეციდივი (დანაშაულისა)** – წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ

განზრახი დანაშაულის ჩადენა. *(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 17)* იხ. დანაშაული, განზრახი დანაშაული

**რეგლამენტი, საქართველოს პარლამენტისა** – კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტი, რომლის მომზადება და მიღება ხდება საქართველოს კანონის მომზადებისა და მიღებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით განისაზღვრება პარლამენტის უფლებამოსილება, შინაგანი სტრუქტურა, მუშაობისა და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ურთიერთობის წესი. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტს ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე. *(საქართველოს კანონი "ნორმატიული აქტების შესახებ", მუხ. 9)*

**რესტრუქტურიზაცია, საწარმოსი (ორგანიზაციისა)** – საწარმოს (ორგანიზა-ციის) საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მიმართული სამართლებრივი, ორგანიზაციული, ტექნიკური, ტექნოლოგიური და სხვა სახის ღონისძიებების ერთობლიობა. *(საქართველოს კანონი "საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ", მუხ. 1)*

**რესტრუქტურიზაცია, ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანებებისა** – ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანებების, ჯარიმებისა და მათზე დარიცხული სა-

ურავების გაყინვა ან/და გადავადება ამ კანონით დადგენილი წესით. *(საქართველოს კანონი "საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ", მუხ. 1)*

**რადიაქტიური ნარჩენი** – ბირთვული და რადიაციული ობიექტების ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი, ნებისმიერ აგრეგატულ მდგომარეობაში მყოფი ნივთიერებები, აგრეთვე მასალები, მოწყობილობები, დანადგარები, ნაკეთობები, ბიოლოგიური ობიექტები, გამომუშავებული ბირთვული საწვავი და რესურსამოწურული ან დაზიანებული მაიონებელი გამოსხივების წყაროები, რომლებშიც რადიონუკლიდების შემცველობა აღემატება ნორმატიული აქტებით რეგლამენტირებულ დონეს, რომელთა გამოყენება დღეისათვის არსებული სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების დონეზე შეუძლებელია და რომლებსაც არა აქვს არავითარი სამომხმარებლო ღირებულება.

* * *

# ს

საქართველოს მოქალაქეობა – პირის პოლიტიკურ-სამართლებრივი კავშირი საქართველოს სახელმწიფოსთან, რაც გამოიხატება ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობათა ერთიანობით, ემყარება ადამიანის ღირსების პატივისცემას, მისი უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებას. *(საქართველოს ორგანული კანონი "საქართველოს მოქალაქეობის შესახებ", პრეამბულა)*

სავაჭრო მაკლერი – პირი, რომელიც სამეწარმეო საქმიანობის სახით სხვა პირთათვის კისრულობს საქონლის ან ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის, დაზღვევის, ტვირთის გადაზიდვის, გემების ქირავნობის ხელშეკრულებათა დადების ან სავაჭრო საქმიანობის სხვა საგნების შუამავლობას ისე, რომ ეს მათგან არა აქვს ხელშეკრულებით მუდმივად დავალებული. ზემოთ ჩამოთვლილ გარიგებათა გარდა, სხვა გარიგებების, კერძოდ, უძრავი ნივთების გამო გარიგების შუამავლობის მიმართ, არ გამოიყენება ამ მუხლის წესები, მაშინაც კი, როცა შუამავლობა ხორციელდება სავაჭრო მაკლერის მეშვეობით. *(საქართველოს კანონი "მეწარმეთა შესახებ", მუხ. 12)*

სააქციო საზოგადოება (სს) – საზოგადოება, რომლის საწესდებო კაპიტალი დაყოფილია ერთი და იმავე ნომინალური ღირებულების

მქონე აქციებად. *(საქართველოს კანონი "მეწარმეთა შესახებ", მუხ. 51)*

**სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს)** – საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე ფიზიკური პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით, ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას და პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები - უშუალოდ, პირდაპირ, მთელ ვალდებულებებზე, შეუზღუდავად მთელი თავისი ქონებით. *(საქართველოს კანონი "მეწარმეთა შესახებ", მუხ. 20)*

**საფირმო სახელწოდება, ფირმა** – სახელი, რომლითაც საქმიანობს საწარმო. ინდივიდუალური მეწარმე საფირმო სახელწოდებად იყენებს თავის სახელსა და გვარს. დამატებები დაიშვება 'მეწარმეთა შესახებ~ საქართველოს კანონის 6.6 მუხლის პირობების დაცვით. *(საქართველოს კანონი "მეწარმეთა შესახებ", მუხ. 6)* იხ. საწარმო

**საქართველოს ეროვნული ბანკი** – საქართველოს ცენტრალური ბანკი, ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი. *(საქართველოს ორგანული კანონი "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", მუხ. 1)*

**სასესხო ვალდებულება** – ფასიანი ქაღალდი ან სხვა რაიმე სავალო ინსტრუმენტი ან დოკუმენტი, რომელიც

ადასტურებს ფულადი სახსრების პროცენტით ან უპროცენტოდ მიღება-გაცემის უფლებას ან ვალდებულებას. *(საქართველოს ორგანული კანონი "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", მუხ. 75)*

**სპოტური ოპერაცია** – ნაღდი სავალუტო ოპერაცია ან სხვა სახის გარიგების სწრაფი ანგარიშსწორება დაუყოვნებლად. *(საქართველოს ორგანული კანონი "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", მუხ. 75)*

**საქართველოს პარლამენტი** – ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს. *(საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 48)*

**საქართველოს პრეზიდენტი** – საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში, რომელიც წარმართავს და ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას. უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას კონსტიტუციის შესაბამისად. *(საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 69)*

**საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოს** – საკონსტიტუ-

ციო კონტროლის სასამართლო ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციურ კანონიერებას და ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. *(საქართველოს ორგანული კანონი "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ", მუხ. 1)*

**სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური** – საქართველოს პრეზიდენტის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების გასამხედროებული დაწესებულება, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს კანონით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით. *(საქართველოს კანონი "სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ", მუხ. 1)*

**საბანკო კრედიტი** – დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე ფულადი თანხების გაცემასთან დაკავშირებული ნებისმიერი ვალდებულება. *(საქართველოს კანონი "კომერციული ბანკების შესახებ", მუხ. 1)*

**სტანდარტი** – "მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მიზნებისთვის: სტანდარტი, სანიტარული ნორმები და წესები, სამშენებლო ნორმები და წესები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრავს (ადგენს) პროდუქციის ხარისხისადმი სავალდებულო მოთხოვნებს *(საქართველოს კანონი "მო-*

*მხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ", პრეამბულა)*

**სავალდებულო სერთიფიკაცია** – სტანდარტის სავალდებულო მოთხოვნებთან პროდუქციის შესაბამისობის დადასტურება სათანადო რწმუნების მქონე ორგანოს მიერ *(საქართველოს კანონი "მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ", პრეამბულა)*

**სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი** – საჯარო რეესტრში სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთად რეგისტრირებული მიწა, რომელიც გამოიყენება მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისათვის-მასზე არსებული სამეურნეო და დამხმარე ნაგებობებით ან მათ გარეშე. *(საქართველოს კანონი "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ", მუხ. 3)*

**საქართველოს სახალხო დამცველი** – ზედამხედველობას უწევს საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, ავლენს მათი დარღვევის ფაქტებს, ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას. *(საქართველოს ორგანული კანონი "სახალხო დამცველის შესახებ", მუხ. 3)*

**სახელმწიფო საიდუმლოება** – ინფორმაციის სახეობა, რომელიც მოიცავს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ცნობებს თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობების, დაზვერვის, სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში, რომელთა

გამჟღავნებას ან დაკარგვას შეუძლია ზიანი მიაყენოს საქართველოს სუვერენიტეტს, კონსტიტუციურ წყობილებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს, რაც ამ კანონით დადგენილი წესით ალიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად და ექვემდებარება სახელმწიფო დაცვას. *(საქართველოს კანონი "სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ", მუხ. 1)*

**სამართლებრივი აქტი** – უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) შესასრულებლად სავალდებულო აქტი. სამართლებრივი აქტი ორი სახისაა - ნორმატიული და ინდივიდუალური. *(საქართველოს კანონი "ნორმატიული აქტების შესახებ", მუხ. 2)*

**საქართველოს კანონმდებლობა** – საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების ერთობლიობა. *(საქართველოს კანონი "ნორმატიული აქტების შესახებ", მუხ. 5)*

**საქართველოს კონტროლის პალატა** – სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანო, ზედამხედველობს სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას, ემსახურება ეროვნული სიმდიდრის და სახელმწიფო ქონების დაცვას, აკონტროლებს და აანალიზებს სახელმწიფო მატერიალური და ფულადი რესურსე-

ბის გამოყენების კანონიერებას, მიზნობრიობასა და ეფექტიანობას. საქართველოს კონტროლის პალატა არის დამოუკიდებელი თავის საქმიანობაში და ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. *(საქართველოს კანონი "საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ", მუხ. 1, 2)*

**სადაზღვევო შემთხვევა** – მოვლენა, რომლის დადგომისას სადაზღვევო ხელშეკრულება ითვალისწინებს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდას. *(საქართველოს კანონი "დაზღვევის შესახებ", მუხ. 2)*

**სახელმწიფო ქონება** – საწარმოები, ამ საწარმოთა ქვედანაყოფები, რომელთა გამოყოფა შეიძლება დამოუკიდებელ საწარმოებად, ლიკვიდირებას დაქვემდებარებული ან უკვე ლიკვიდირებული საწარმოების ან მათი ქვედანაყოფების შენობები, ნაგებობები, მოწყობილობები, სხვა მატერიალური და არამატერიალური აქტივები, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციები, წილი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, რომლებზედაც განთავსებულია სახელმწიფო ქონება, სახელმწიფო საკუთრებაში ნებაყოფლობით გადაცემული საცხოვრებელი სახლები და ბინები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად სახელმწიფო საკუთრებაში გადასული უმკვიდრო ქონება (მათ შორის, საცხოვრებელი სახლები და ბინები), აგრეთვე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობა და გა-

ნკარგვა და რომლებით სარგებლობა შეუძლია სახელმწიფოს. *(საქართველოს კანონი "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ", მუხ. 1)*

**საპროცესო შეთანხმება** – სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველი, რომელიც წარმოადგენს შეთანხმებას ბრალზე ან სასჯელზე. საპროცესო შეთანხმების შეთავაზება შეუძლია როგორც ბრალდებულს (განსასჯელს), ისე პროკურორს. საქმის არსებითი განხილვისას სასამართლო კამათის დაწყებამდე სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია მხარეებს შესთავაზოს ამ თავით გათვალისწინებული წერილობითი საპროცესო შეთანხმების დადება. სასჯელზე შეთანხმებისას ბრალდებული (განსასჯელი) არ ეწინააღმდეგება წაყენებულ ბრალდებას, თუმცა ეთანხმება პროკურორს სასჯელის ზომაზე ან მისგან სრულად განთავისუფლებაზე. სასჯელზე შეთანხმების შედეგია პირის ნასამართლობა. ბრალზე შეთანხმებისას ბრალდებული (განსასჯელი) აღიარებს დანაშაულს. საპროცესო შეთანხმება იდება ზემდგომ პროკურორთან წინასწარი წერილობითი შეთანხმებით. *(საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 679¹)*

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო** – საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანო, რომლის მიზანია სასამართლო რეფორმის გასატარებლად წინადადებების

შემუშავება, მოსამართლეთა თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატურების შერჩევა, წარდგენა, მოსამართლეთა თანამდებობიდან განთავისუფლება, საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზება და კანონით დადგენილი სხვა ამოცანების შესრულება. *(საქართველოს ორგანული კანონი "საერთო სასამართლოების შესახებ", მუხ. 60)*

**საცხოვრებელი ადგილი (ფიზიკური პირისა)** – ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს. პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი. არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილად ითვლება მშობლის უფლების მქონე მშობლების საცხოვრებელი ადგილი, ხოლო სამეურვეო პირისა - მეურვის საცხოვრებელი ადგილი. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 20)*

**საკუთრება** – პირის უფლება, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 170)*

**სერვიტუტი** – მიწის ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება შეიძლება სხვა მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესა-

კუთრის სასარგებლოდ ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული), რომ ამ მესაკუთრეს უფლება ჰქონდეს ცალკეულ შემთხვევებში ისარგებლოს ამ ნაკვეთით, ან აიკრძალოს ამ ნაკვეთზე ზოგიერთი მოქმედების განხორციელება ანდა გამორიცხოს დატვირთული ნაკვეთის მესაკუთრის ზოგიერთი უფლების გამოყენება სხვა ნაკვეთის მიმართ. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 247)*

**სესხი** – ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. (*საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 623)*

**სამომხმარებლო კოოპერაცია** – ნებაყოფლობით შექმნილი მრავალდარგოვანი სამომხმარებლო კოოპერატივებისა და მათი კავშირების ერთობლიობა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულ საქმიანობას წარმართავს თავისი წევრებისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ამ მიზნით სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციები ახორციელებენ საცალო და საბითუმო ვაჭრობას, კვებითი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების მომსახურებას, სახალხო მოხმარების საქონლისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას, აგრეთვე აღნიშნული პროდუქციის შესყიდვას, გადამუშავებას და რეალიზაციას. *(საქართველოს კანონი "სამო-*

*მხმარებლო კოოპერაციის შესახებ", მუხ. 1)*

**საკონსულო დაწესებულება** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფი, რომელიც ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან საკონსულო ურთიერთობისას და იმ სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობისას, სადაც დიპლომატიური წარმომადგენლობა არ არის დაფუძნებული, წარმოადგენს საქართველოს. ს.დ.-ებია: გენერალური საკონსულო, საკონსულო, ვიცე-საკონსულო, საკონსულო საagენტო და დიპლომატიური წარმომადგენლობის საკონსულო სამსახური. მათი მიზანია საზღვარგარეთ საქართველოს, საქართველოს მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა. *(საქართველოს კანონი "დიპლომატიური სამსახურის შესახებ", მუხ. 2; საქართველოს კანონი "საკონსულო დაწესებულებათა შესახებ", მუხ. 1, 3)*

**საელჩო** – სხვა სახელმწიფოში განლაგებული საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა. *(საქართველოს კანონი "დიპლომატიური სამსახურის შესახებ", მუხ. 6)* _ იხ. დიპლომატიური წარმომადგენლობა

**საპარლამენტო ფრაქცია** – საქართველოს პარლამენტში საქმიანობის კოორდინაციის მიზნით საერთო პოლიტიკური შეხედულებებისა და ინტერესების მქონე პარლამენტის წევრთა ნებაყოფლობითი გაერთიანება. *(საქართველოს კანონი "საპარლამენტო ფრაქციის შესახებ", მუხ. 1)*

**საგანგებო მდგომარეობა** – დროებითი ღონისძიება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ცხადდება საქართველოს მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის ომიანობის თუ მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალებისა თუ შეიარაღებული ამბოხების, ეკოლოგიური კატასტროფების და ეპიდემიების დროს, სტიქიურ უბედურებათა, დიდი ავარიების, ეპიზოოტიების ან სხვა შემთხვევებში, როცა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებულნი არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მიზანია ვითარების უსწრაფესი ნორმალიზაცია, კანონიერებისა და მართლწესრიგის აღდგენა. *(საქართველოს კანონი "საგანგებო მდგომარეობის შესახებ", მუხ. 1)*

**საომარი მდგომარეობა** – საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განსაკუთრებული წესების გამოცხადება, რაც შეესაბამება ქვეყნის თავდაცვის ინტერესებს. საომარი მდგომარეობა ცხადდება საქართველოს კონსტიტუციისა და "საომარი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით და მიზნად ისახავს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფო უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფას. *(საქართველოს კანონი "საომარი მდგომარეობის შესახებ", მუხ. 1)*

**სამისდღეშიო რჩენა** – ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად პირი, რომელიც კისრულობს სამისდღეშიო სარჩოს გადახდას (მარჩენალი), მოვალეა გადაუხადოს იგი სარჩოს მიმღებს (სარჩენს) მთელი სიცოცხლის მანძილზე, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. სამისდღეშიო სარჩო შეიძლება დადგინდეს ფულადი ან ნატურალური სახით (ბინით, კვებით, მოვლით და სხვა აუცილებელი დახმარებით). (*საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 941)*

**საერთაშორისო ხელშეკრულება** – საქართველოს მიერ უცხო სახელმწიფოსთან (სახელმწიფოებთან) ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ორგანიზაციებთან) წერილობითი ფორმით დადებული შეთანხმება, რომელიც რეგულირდება საერთაშორისო სამართლის ნორმებით, განურჩევლად იმისა, წარმოდგენილია იგი ერთი თუ რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული დოკუმენტით და მიუხედავად მისი კონკრეტული სახელწოდებისა. *(საქართველოს კანონი "საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ", მუხ. 3)*

**საჯარო სამსახური** – საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში. *(საქართველოს კანონი "საჯარო სამსახურის შესახებ", მუხ. 1)*

**სახელმწიფო თანამდებობა** – სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს პირველადი სტრუქტუ-

რული ერთეული, რომელიც განსაზღვრავს მოქალაქის ადგილსა და სოციალურ შრომით როლს საჯარო სამსახურის სისტემაში, მის უფლებებსა და მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. *(საქართველოს კანონი "საჯარო სამსახურის შესახებ", მუხ. 1)*

**საჯარო მოსამსახურე** – საქართველოს მოქალაქე, რომელიც "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში. *(საქართველოს კანონი "საჯარო სამსახურის შესახებ", მუხ. 4)*

**სახაზინო დაწესებულება** – სახელმწიფო ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის სახსრებზე შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითადი ამოცანა საჯარო ხელისუფლების განხორციელებაა. იგივეა: საბიუჯეტო დაწესებულება. *(საქართველოს კანონი "საჯარო სამსახურის შესახებ", მუხ. 2)*

**საექიმო საიდუმლო** – ექიმის და სხვა სამედიცინო პერსონალის მიერ პროფესიული საქმიანობის პროცესში პაციენტის ფიზიკური, ფსიქიკური მდგომარეობის, მისი საზოგადოებრივი ან სამსახურებრივი საქმიანობის, ოჯახური ან პირადი ცხოვრების შესახებ მიღებული ინფორმაცია; მოიცავს ექიმისათვის მიმართვის

ფაქტსაც, აგრეთვე, სიკვდილის გარემოებებს. *(საქართველოს კანონი "ჯანმრთელობის შესახებ", მუხ. 3)*

**სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა** – საპროცესო მოქმედების წარმოებისას წამოჭრილი სამედიცინო-ბიოლოგიური საკითხების დადგენის პროცესი. *(საქართველოს კანონი "ჯანმრთელობის შესახებ", მუხ. 3)*

**საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახური** – საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში შემავალი სამართალდაცვის სპეციალურ გასამხედროებულ დაწესებულებათა სისტემა, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას საშინაო და საგარეო საფრთხისაგან. საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურის სისტემა მოიცავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტებს და სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებს. *(საქართველოს კანონი "საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურის შესახებ", მუხ. 1)*

**სახელმწიფო ვალი** – საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მისი გარანტიით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადებული ხელშეკრულებებით აღებული, ეროვნული ვალუტით გამოსახული, სახელმწიფო საშინაო და საგარეო ვალის ჯამური თანხა.

**საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალი** – ეროვნული ვალუტით გამოსახული საქართველოს სახელმწიფო ვალის შემა-

დგენელი ნაწილი;წარმოადგენს იმ ძირითადი თანხების ერთობლიობას, რომლებიც წარმოიქმნა საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული შეუსრულებელი პირდაპირი ვალდებულებებით.

**საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი** – უცხოური კონვერტირებადი ვალუტით გამოსახული საქართველოს სახელმწიფო ვალის შემადგენელი ნაწილი; წარმოადგენს იმ ძირითადი თანხების ერთობლიობას, რომლებიც წარმოიქმნა საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მისი გარანტიით ეროვნული ბანკის მიერ დადებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული შეუსრულებელი პირდაპირი ვალდებულებებით. *(საქართველოს კანონი "სახელმწიფო ვალის შესახებ", მუხ. 1)*

**სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი** – სახელმწიფო ვალის ფორმა, მოკლევადიანი, საშუალოვადიანი ან გრძელვადიანი პროცენტიანი, უპროცენტო, მიზნობრივი ვალის შესახებ სასესხო ვალდებულება (ხელშეკრულება) გამოსახული ეროვნული ან სხვა კონვერტირებადი ვალუტით, ერთი მხრივ, საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, როგორც ვალის ამღებისა, და, მეორე მხრივ, რეზიდენტ და/ან არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, როგორც კრედიტორებს, შორის. *(საქართველოს კანონი "სახელმწიფო ვალის შე-*

*სახებ", მუხ. 1)* _ იხ. აგრეთვე "ფასიანი ქაღალდი"

**სახელმწიფო ბაჟი** – საქართველოს ბიუჯეტებში შენატანი, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები სახელმწიფოს მიერ მათი ინტერესების შესაბამისი იურიდიული მოქმედებების შესრულებისათვის და სათანადო საბუთების გაცემისათვის. *(საქართველოს კანონი "სახელმწიფო ბაჟის შესახებ", მუხ. 1)*

**სამხედრო მოსამსახურე** – საქართველოს მოქალაქე, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი, ან უცხო ქვეყნის მოქალაქე ("სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლით დადგენილ შემთხვევაში), რომელიც სამხედრო სამსახურს გადის საქართველოს სამხედრო ძალებში ან სამხედრო ძალების რეზერვის პირველ თანრიგში. *(საქართველოს კანონი "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ", მუხ. 1)*

**საკრებულოს წევრის სტატუსი** – მისი კანონით განსაზღვრული სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც მოიცავს საკრებულოს წევრის უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობას, საქმიანობის წესსა და გარანტიებს. *(საქართველოს კანონი "ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს _ საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ", მუხ. 2)*

**სახელმწიფო საზღვარი** – საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შე-

საბამისად საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით და იგი შედგება ყოფილი სსრკ-ის საკანონმდებლო აქტებით დადგენილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ადმინისტრაციული საზღვრისა და ყოფილი სსრკ-ის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებული სახელმწიფო საზღვრისაგან, რომელიც განსაზღვრავდა ყოფილი სსრკ-ის სახელმწიფო საზღვარს საქართველოს ნაწილში. *(საქართველოს კანონი "სახელმწიფო საზღვრის შესახებ", მუხ. 1)*

**სამოქალაქო აქტები** – მოქალაქეთა სამოქალაქო და საოჯახო-სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები (დაბადება, ქორწინება, განქორწინება, მამობის დადგენა, შვილად აყვანა, სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლა, მოქალაქეობის შეცვლა, გარდაცვალება), რომლებიც ექვემდებარება სახელმწიფოს სახელით სავალდებულო რეგისტრაციას და წარმოადგენს მოქალაქეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის საფუძველს. *(საქართველოს კანონი "სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ", მუხ. 3)*

**საფონდო ბირჟა** – ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზარი, რომელიც უზრუნველყოფს მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის შესახებ წინადადებების შეგროვება,

უზრუნველყოფს ვაჭრობის ორგანიზებას დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად და ავრცელებს დადებულ გარიგებათა შესახებ და ფასებთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციას. *(საქართველოს კანონი "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ", მუხ. 2)*

**სასაქონლო ნიშანი** – სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისა ან/და მომსახურებისაგან. *(საქართველოს კანონი "სასაქონლო ნიშნების შესახებ", მუხ. 3)*

**სადაზვერვო საქმიანობა** – საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული უცხო ქვეყნების, ორგანიზაციათა და პირთა მოქმედებების, გეგმების, მიზნების, რეალური და პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენა ინფორმაციის მოპოვებითა და მისი ანალიზით, აგრეთვე საგარეო კონტრდაზვერვითი საქმიანობის მეშვეობით. *(საქართველოს კანონი "სადაზვერვო საქმიანობის შესახებ", მუხ. 1)*

**საქართველოს უზენაესი სასამართლო** – საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლო. უზენაეს სასამართლოში შექმნილია: სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა, ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა, სისხლის სამართლის საქმეთა პა-

ლატა, დიდი პალატა, პლენუმი და სადისციპლინო პალატა. *(საქართველოს ორგანული კანონი "საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ", მუხ. 1, 7)*

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი** – შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას. *(საქართველოს კანონი "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ", მუხ. 2)*

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია** – საქართველოს უმაღლესი თვითმართვადი სამეცნიერო სახელმწიფო დაწესებულება, ქვეყანაში ფუნდამენტურ მეცნიერებათა პრიორიტეტული მიმართულებების განმსაზღვრელი და სამეცნიერო-კვლევითი სა-

მუშაოების კოორდინატორი, საქართველოს ხელისუფლების მეცნიერული მრჩეველი. *(საქართველოს კანონი "საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ", მუხ. 5)*

**სახელმწიფო ტყის ფონდი** – საქართველოს სახელმწიფო ტყის, საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მიკუთვნებული მიწებისა და მისი რესურსების ერთობლიობა. *(საქართველოს ტყის კოდექსი, მუხ. 5)*

**საქპატენტი** – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი. *(საქართველოს საპატენტო კანონი, მუხ. 2)*

**საავტორო უფლებები** – იმ საავტორო ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებთან დაკავშირებულ ურთიერთობები, რომლებიც წარმოიშობა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისას და გამოყენებისას. *(საქართველოს კანონი "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ", მუხ. 1)*

**სასაქონლო ბირჟა** – საბირჟო ვაჭრობის მოწყობისა და რეგულირების მიზნით შექმნილი ორგანიზებული საბითუმო ბაზარი, სადაც ვაჭრობა ხორციელდება საჯაროდ, წინასწარ დადგენილი წესით, განსაზღვრულ ადგილზე და ვადაში. *(საქართველოს კანონი "სასაქონლო ბირჟებისა და საბირჟო ვაჭრობის შესახებ", მუხ. 3)*

**საბროკერო კომპანია** – სავაჭრო შუამავალი (იურიდიული პირი), სასაქონლო ბირჟაზე გამყიდველსა და მყიდველს შორის გარი-

გებათა დადებისას, რომელიც მოქმედებს კლიენტის დავალებითა და კლიენტის ხარჯით, აგრეთვე თავისი სახელით და კლიენტის ხარჯით, ან კლიენტის სახელით და თავისი ხარჯით. *(საქართველოს კანონი "სასაქონლო ბირჟებისა და საბირჟო ვაჭრობის შესახებ", მუხ. 2)*

**სტანდარტი** – უფლებამოსილი ორგანოს მიერ რეგისტრირებული საყოველთაო და მრავალჯერადი გამოყენებისათვის განკუთვნილი დოკუმენტი, რომელიც პროდუქციისთვის და მასთან დაკავშირებული წარმოების მეთოდებისთვის ადგენს წესებს, ზოგად პრინციპებს და მახასიათებლებს. სტანდარტების გამოყენება სავალდებულო არ არის. სტანდარტი ასევე შეიძლება მოიცავდეს ტერმინოლოგიის, სიმბოლოების, შეფუთვის, ნიშანდების, ეტიკეტირებისადმი პროცესის ან წარმოების მეთოდებისადმი არსებულ მოთხოვნებს.

**საქართველოს სტანდარტი** – საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგისტრირებული სტანდარტი.

**საერთაშორისო სტანდარტი** – სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიღებული სტანდარტი, რომელიც ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის.

**უცხო ქვეყნის სტანდარტი** – სტანდარტი, რომელიც მიღებული ან აღიარებულია სხვა ქვეყნის მიერ. *(საქართველოს კანონი "სტანდარტიზაციის შესახებ", მუხ. 2)*

**საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა** – კორპორაციულად

ორგანიზებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც აერთიანებს საქართველოს და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობათა შესაბამისად შექმნილ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და რეგიონულ სავაჭრო-სამრეწველო პალატებს და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებს. სხვა იურიდიული და ფიზიკური პირები საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში ერთიანდებიან ნებაყოფლობით, საწევრო საწყისებზე. *(საქართველოს კანონი "საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ", მუხ. 1)*

**სამედიცინო–სოციალური ექსპერტიზა** – დისციპლინათაშორისი საქმიანობის სფერო და მოიცავს სამედიცინო–ბიოლოგიურ, სოციოლოგიურ, სოციალურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ და სხვა ასპექტებს. სამედიცინო–სოციალური ექსპერტიზის ძირითადი ამოცანაა ადამიანის ქმედობაუნარიანობის შეზღუდვის ხარისხის განსაზღვრა და აქედან გამომდინარე შესაძლებლობის შეზღუდვის გამომწვევი მიზეზის, გადამოწმების ვადისა და მომდინარეობის დროის დადგენა, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის სხვადასხვა სახის განსაზღვრა. *(საქართველოს კანონი "სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ", მუხ. 4)*

**სომატონარკომანი** – ტკივილის სინდრომით მიმდინარე რომელიმე სომატური ავადმყოფობით დაავადებული პირი, რომელსაც კანონიერად დაენიშნა ნარკოტიკული საშუალება და მის მიმართ ჩამოყალიბებული აქვს ფსიქიკური ან/და ფიზიკური დამოკიდებულება. *(საქართველოს კანონი "ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ", მუხ. 2)* იხ. ნარკომანია

**საქართველოს საბიუჯეტო სისტემა** – საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ვალდებულებათა შესრულების მიზნით ფინანსური რესურსების მობილიზაციისა და გამოყენების მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების, საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის, საბიუჯეტო პროცესისა და შესაბამისი ბიუჯეტების ერთობლიობა. *(საქართველოს კანონი "საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ", მუხ. 2)*

**სამსახურებრივ-საშტატო იარაღი** – იარაღი, რომლის ტარების უფლება აქვთ ამ მუხლით განსაზღვრულ პირებს მათ მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად. *(საქართველოს კანონი "იარაღის შესახებ", მუხ. 9)* იხ. იარაღი

**სამხედრო-საბრძოლო იარაღი** – იარაღი, რომელიც განკუთვნილია საქართველოს თავდა-

ცვის, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის, სამხედრო და მათთან გათანაბრებული მოსამსახურეების მიერ სახელმწიფო თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, საბრძოლო და ოპერატიულ-სამსახურებრივი მიზნების განხორციელებისათვის. *(საქართველოს კანონი "იარაღის შესახებ", მუხ. 11)* იხ. იარაღი

**საქართველოს მთავრობა** – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლების, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებას. მთავრობა თავისი საქმიანობით პასუხისმგებელია საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე. *(საქართველოს კანონი "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ", მუხ. 1)*

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი** – მთავრობის ხელმძღვანელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი. *(საქართველოს კანონი "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ", მუხ. 8)* იხ. საქართველოს მთავრობა

**საქართველოს მთავრობის კანცელარია** – მთავრობის საქმიანობის

ორგანიზაციული უზრუნველყოფის, ანალიტიკური, ინფორმაციული და სხვა მასალების მომზადების, აგრეთვე მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის ხელშემწყობი დაწესებულება. (*საქართველოს კანონი "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ", მუხ. 13)* იხ. საქართველოს მთავრობა

**სამინისტრო** – კანონის საფუძველზე შექმნილი დაწესებულება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად. (*საქართველოს კანონი "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ", მუხ. 14)*

**საპარლამენტო მდივანი** – საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, საქართველოს მთავრობის კანცელარიის ან სამინისტროს თანამდებობის პირი, რომელიც ახორციელებს "საპარლამენტო მდივნის შესახებ" საქართველოს კანონითა და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს. (*საქართველოს კანონი "საპარლამენტო მდივნის შესახებ", მუხ. 2, 3, 4)*

**საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი** – საქართველოს პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში. იგი ხელს უწყობს პრეზიდენტს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული პარლამენტთან ურთიერთობების განხორციელებაში. საქა-

რთველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი. *(საქართველოს კანონი "საპარლამენტო მდივნის შესახებ", მუხ. 2, 3, 4)*

**საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი** – საქართველოს მთავრობის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში. საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანს საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. საპარლამენტო მდივნის დანიშვნა და განთავისუფლება ფორმდება პრემიერ-მინისტრის ბრძანებით. *(საქართველოს კანონი "საპარლამენტო მდივნის შესახებ", მუხ. 2, 3, 4)*

**სადისერტაციო საბჭო** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტზე არსებული ორგანო, რომელიც ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს. *(საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", მუხ. 2)*

**სტუდენტი** – პირი, რომელიც ამ კანონითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დიპლომირებული სპეციალისტის, ასევე დოქტორანტურის პროგრამის გასავლელად. *(საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", მუხ. 2)*

**საარჩევნო კამპანია** – საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განსაზღვრული საარჩევნო კამპანიის ჩატარების პროცედურა. *(საქართველოს კანონი "მაუწყებლობის შესახებ", მუხ. 2)*

**საზოგადოებრივი მაუწყებლობა** – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ქონების საფუძველზე ტელერადიომაუწყებლობისათვის შექმნილი, საჯარო დაფინანსებით მოქმედი, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის, რომელიც არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას (შემდგომში – საზოგადოებრივი მაუწყებელი), მიერ განხორციელებული მაუწყებლობა, რომლის მიზანია პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამების მიწოდება საზოგადოებისათვის. *(საქართველოს კანონი "მაუწყებლობის შესახებ", მუხ. 2)*

**საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური** – "უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ამ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს. *(საქართველოს კანონი "უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშე-*

*წყობის შესახებ", მუხ. 2)*

სამორინე – სპეციალური სათამაშო დაწესებულება, სადაც სათამაშო ბორბლის (რულეტის), ბანქოს, სათამაშო მაგიდების, კამათლების, სათამაშო აპარატებისა და სხვა ინვენტარის საშუალებით ხორციელდება ფულადი მოგების გათამაშება. *(საქართველოს კანონი "ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ", მუხ. 3)*

სკოლა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება – საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და სრულად მოიცავს ზოგადი განათლების ერთ საფეხურს მაინც.

კერძო სკოლა – კერძო სამართლის იურიდიული პირის სახით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება.

საჯარო სკოლა – საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება. *(საქართველოს კანონი "ზოგადი განათლების შესახებ", მუხ. 2)*

სახელმწიფო შესყიდვა – შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა.

ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვა – განსაკუთრებული სახის შესყიდვა,

რომლის ობიექტია ინტელექტუალური და სხვა სახის საკონსულტაციო მომსახურება – მომსახურება სასწავლო-საგანმანათლებლო სფეროში, მომსახურება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, მომსახურება ტელე- და რადიომაუწყებლობის სფეროში, მომსახურება არქიტექტურის, საინჟინრო გამოკვლევისა და მასთან დაკავშირებული ტექნიკური დარგების სფეროში, მმართველობითი მომსახურება, მეცნიერული კვლევები და ექსპერიმენტები, საპროექტო სამუშაოები და სხვა საქმიანობის სახეები, რომლებიც მიეკუთვნება ინტელექტუალურ მომსახურებას. *(საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", მუხ. 3)*

**საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღება** – საჯარო ინფორმაციის დედნიდან ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების გარეშე ინფორმაციის ზუსტად გადატანა (ჩაწერა, გადაღება) ინფორმაციის მატარებელზე (ფურცელი, კომპაქტური დისკი, დისკეტა, აუდიო- და ვიდეოკასეტა). *(საქართველოს კანონი "საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ", მუხ. 2)* იხ. საჯარო ინფორმაცია

**სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა** – სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა, რომელიც გამოიყენება მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისთვის, მასზე არსებული სამეურნეო და დამხმარე ნაგებობებით ან მათ გარეშე. *(საქართველოს*

*კანონი "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ", მუხ. 3)*

**სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზება** – სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საქართველოს მოქალაქისათვის ან საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის სასყიდლიანი ფორმით, ხოლო საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის უსასყიდლოდ, კერძო საკუთრებაში გადაცემა. *(საქართველოს კანონი "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ", მუხ. 3)* იხ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა

**სოფელი** – დასახლება, რომლის საზღვრებშიც მოქცეულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის გათვალისწინებული მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები ან/და რომლის ინფრასტრუქტურა ძირითადად ორიენტირებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე. *(საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", მუხ. 1)*

**საკრებულო** – ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო. *(საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", მუხ. 19)* იხ. თბილისის საკრებულო

**სასაზღვრო ზონა** – სახელმწიფო საზღვრის ხაზიდან ან სანაპირო ზოლიდან საქართვე-

ლოს ტერიტორიის სიღრმეში შემავალი არა უმეტეს 5 კილომეტრის სიგანის სახმელეთო ზოლი, აგრეთვე საერთაშორისო აეროპორტის (აეროდრომის), რკინიგზის სადგურის, საერთაშორისო სამდინარო და საზღვაო პორტის ტერიტორიის ნაწილი, სადაც ხორციელდება საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული სასაზღვრო კონტროლი. *(საქართველოს კანონი "უხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ", მუხ. 2)*

**სურსათი, სასურსათო პროდუქტი** – ადამიანის საკვებად განკუთვნილი ნებისმიერი პროდუქტი, გადამუშავებული ან გადაუმუშავებელი. სურსათი მოიცავს ასევე ყველა სახის სასმელს, საღეჭ რეზინს და ყოველ ნივთიერებას დაფასოებული და სურსათში გამოსაყენებელი წყლის ჩათვლით, რომელიც მიზანმიმართულადაა დამატებული სურსათის შემადგენლობაში მისი წარმოებისა და გადამუშავების დროს. სურსათი არ მოიცავს ცხოველის საკვებს, ფარმაცევტულ პრეპარატებს ან სამკურნალო პროდუქტებს, საერთო მოხმარების საგნებს, თამბაქოს და თამბაქოს პროდუქტებს, ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ საშუალებებს, სხვადასხვა ნარჩენებსა და დამაბინძურებლებს. *(საქართველოს კანონი "სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ", მუხ. 3)*

**საქართველოს სასაზღვრო პოლიცია** – სამართალდამცავი ორგანო სპეციალური სამსახურის ფუნქციებითა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გა-

მგებლობაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სტატუსით. სასაზღვრო პოლიცია პასუხისმგებელია საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე. *(საქართველოს კანონი "საქართველოს სასაზღვრო პოლიცის შესახებ", მუხ. 2)* იხ. პოლიცია, სახელმწიფო საზღვარი

**საქართველოს ეროვნული არქივი** – საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც მართავს საარქივო საქმეს და უზრუნველყოფს საქმისწარმოების სრულყოფასა და ეროვნული საარქივო ფონდის განვითარებას. *(საქართველოს კანონი "ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ", მუხ. 6)* იხ. ეროვნული საარქივო ფონდი

**საარჩევნო უფლება** – აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება.

**აქტიური საარჩევნო უფლება** – მოქალაქის უფლება, ხმის მიცემის მეშვეობით მონაწილეობა მიიღოს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ხალხის წარმომადგენელთა ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებულ საყოველთაო არჩევნებსა და რეფერენდუმში.

**პასიური საარჩევნო უფლება** – მოქალაქის უფლება, კენჭი იყაროს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად. *(საქართველოს ორგანული კანონი – საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხ. 3)*

**საერთო არჩევნები** – მორიგი ან რიგგარეშე საყოველთაო არჩევნები, რომელიც ტარდება საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს ან საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის ასარჩევად, და რომელში მონაწილეობის უფლებაც აქვს შესაბამისად ამ წარმომადგენლობითი ორგანოს ან თანამდებობის პირის საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილ ყველა ამომრჩეველს.

**მორიგი არჩევნები** – საერთო არჩევნები, რომელიც იმართება საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს ან საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებითა და სათანადო კანონებით დადგენილ ვადებში.

**რიგგარეშე არჩევნები** – საერთო არჩევნები, რომელიც ტარდება საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს ან საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო. *(საქართველოს ორგანული კანონი – საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხ. 3)*

**საარჩევნო ოლქი** – საოლქო საარჩევნო კომისიის/კომისიების სამოქმედო ტერიტორია/ტერიტორიები, რომელიც/რომლებიც განისაზღვრება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის გათვალისწინებით. *(საქართველოს ორგანული კანონი - საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხ. 3)*

**საჯარო ინფორმაცია** – ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია. *(საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 2)*

**საიდუმლო ინფორმაცია** – საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას. *(საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 2)*

**სანიტარიული ნორმები** – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული ნორმატიული აქტები (სანიტარიული წესები, სანიტარიული ნორმები, ჰიგიენური ნორმატივები, სანიტარიული წესები და ნორმები, დებულებები და ინსტრუქციები) რომლებითაც განსაზღვრულია ფიზიკური ან/და იურიდიული პირის (საკუთრების, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად) მიერ შესასრულებლად სავალდებულო სანიტარიულ-ჰი-

გიენური და სანიტა-რიულ-ეპიდსაწინა-აღმდეგო მოთხოვნები. *(საქართველოს სანიტა-რული კოდექსი, მუხ. 4)*

**საჰაერო ხომალდი** – ნებისმიერი აპარატი, რომელიც ატმოსფეროში მდებარეობას ჰაერთან ურთიერთქმედების შედეგად ინარჩუნებს, დედამიწის ზედაპირიდან არეკლილ ჰაეროვან ურთიერთქმედების გამოკლებით, საჰაერო ხომალდებია: თვითმფრინავი, შვეულმფრენი, პლანერი და სხვა საშუალებები. *(საქართველოს საჰაერო კოდექსი, მუხ. 1)*

**სამოქალაქო ავიაცია** - ავიაცია, რომელიც გამოყენების მიზნის მიხედვით, იყოფა სატრანსპორტო და საერთო დანიშნულების ავიაციად.

**სატრანსპორტო ავიაცია** – სამოქალაქო ავიაცია, რომელიც გამოიყენება საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების განსახორციელებლად.

**საერთო დანიშნულების ავიაცია** – სამოქალაქო ავიაცია, რომელიც არ გამოიყენება სატარნსპორტო ავიაციის მიზნებისათვის. *(საქართველოს საჰაერო კოდექსი, მუხ. 1)*

**სამართლის ანალოგია** – თუ სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონის ან საპროცესო ნორმის მსგავსი ნორმა არ არსებობს, სასამართლო ემყარება საქართველოს კანონმდებლობის ზოგად პრინციპებს. *(საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ. 7)* იხ. კანონის ანალოგია

**საგადასახადო დავალიანება** – სხვაობა გა-

დასახადის გადამხდელის/ საგადასახადო აგენტის ჯამურ საგადასახადო ვალდებულებასა და მის მიერ ცალკეული გადასახადების ან/და სანქციების მიხედვით ზედმეტად გადახდილი თანხების ჯამს შორის. *(საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 12)*

**საემისიო კაპიტალი** – სხვაობა საწარმოს მიერ აქციების პირველადი განთავსებიდან მიღებულ ან მისაღებ თანხასა და ამ აქციების ჯამურ ნომინალურ ღირებულებას შორის, აგრეთვე სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნებისას არაფულადი შესატანის ღირებულების მეტობა დათქმულ თანხაზე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 3.3 პუნქტის შესაბამისად. *(საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 12)*

**საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა** – სასაქონლო კლასიფიკაციის კოდების სისტემა, რომელიც მიღებულია „საქონლის აღწერილობისა და კოდირების სისტემის ჰარმონიზაციის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის შესაბამისად. *(საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 12)*

**საგადასახადო დავალიანება** – სხვაობა გადასახადის გადამხდელის/ საგადასახადო აგენტის ჯამურ საგადასახადო ვალდებულებასა და მის მიერ ცალკეული გადასახადების ან/და სანქციების მიხედვით ზედმეტად გადახდილი თანხების ჯამს შორის. *(საქა-*

*რთველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 12)*

**საქველმოქმედო საქმიანობა** – დახმარების უშუალოდ ან მესამე პირთა მეშვეობით, ნებაყოფლობით და უანგაროდ გაწევა იმ პირებისათვის, რომლებიც ამ დახმარებას საჭიროებენ, აგრეთვე ორგანიზაციების მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობის განხორციელება შემდეგ სფეროებში: ადამიანის უფლებების დაცვა, გარემოს დაცვა, დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, კულტურა, განათლება, მეცნიერება, ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური დაცვა, ფიზიკური აღზრდა და სამოყვარულო სპორტი, ხელოვნება. *(საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 14)*

**საწარმო** – წარმონაქმნი, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას ან შექმნილია ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად: საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირები, უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კორპორაციები, კომპანიები, ფირმები და სხვა მსგავსი წარმონაქმნები, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა იურიდიული პირის სტატუსი, აგრეთვე უცხოური საწარმოს მუდმივი დაწესებულება, გაერთიანებები, ამხანაგობები და სხვა მსგავსი წარმონაქმნები. საწარმოს არ განეკუთვნება ინდივიდუალური საწარმო. *(საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 25)*

**საგადასახადო აგენტი** – პირი, რომელმაც საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ შემთხვევაში და დადგენილი წესით უნდა შეასრულოს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულება. საგადასახადო აგენტი უფლებათა და მოვალეობათა თვალსაზრისით გათანაბრებულია გადასახადის გადამხდელთან საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის. *(საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 38)* იხ. გადასახადის გადამხდელი

**საგადასახადო ვალდებულება** – გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის, სხვა ვალდებული პირის ვალდებულება, გადაიხადოს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დაწესებული და შემოღებული გადასახადი, აგრეთვე საქართველოს საგადასახადო კოდექსით დაწესებული და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტით შემოღებული გადასახადი, ასევე დაკისრებული საგადასახადო სანქცია. *(საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 57)*

**საგადასახადო პერიოდი** – დროის მონაკვეთი, რომლითაც განისაზღვრება გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის, სხვა ვალდებული პირის საგადასახადო ვალდებულება (გადასახადის კუთვნილი თანხის გადახდა) კონკრეტული გადასახადის მიმართ. *(საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 64)*

**საგადასახადო მოთხოვნა** – საგადასახადო ორგანოს ადმინისტრაციული აქტი, რომელიც წარედგინება გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს. საგადასახადო მოთხოვნის შესრულება სავალდებულოა საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. *(საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 80)*

**საგადასახადო დეკლარაცია** – გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის წერილობითი ანგარიშგება მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების, შემოსავლის წყაროების, გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტების, საგადასახადო შეღავათების, გამოანგარიშებული გადასახადის თანხის ან/და გადასახადის გამოანგარიშებასა და გადახდასთან დაკავშირებული სხვა მონაცემების შესახებ. *(საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 95)*

**საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა** – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების ფაქტი. *(საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 248)*

**სასჯელის სახეები** – სასჯელის სახეებია: ჯარიმა, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი

სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა, თავისუფლების შეზღუდვა, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, უვადო თავისუფლების აღკვეთა და ქონების ჩამორთმევა. *(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 40)*

საბოტაჟი – საქართველოს დასუსტების მიზნით სახელმწიფო ან სხვა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ან სამსახურის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე საქართველოს დასუსტების მიზნით საწარმოს, სატრანსპორტო, კავშირგაბმულობის ან მასობრივი მაუწყებლობის საშუალების, გზის, ნაგებობის, ტექნიკის, დოკუმენტის, დიდი რაოდენობით სტრატეგიული ნედლეულის, მასალის ან პროდუქციის, აგრეთვე მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის დაწესებულების ან ორგანიზაციის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი, საზოგადოებრივი უშიშროების ან წესრიგის დაცვისათვის განკუთვნილი ან სხვა განსაკუთრებული დანიშნულების ობიექტის დაზიანება, მწყობრიდან გამოყვანა ან განადგურება. *(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. მუხ. 318)*

სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება – მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. *(საქართვე-*

*ლოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 333)*

**სამსახურებრივი გულგრილობა** – მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია. *(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 342)*

**საშემოსავლო გადასახადი** – სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის. *(საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 165)* იხ. გადასახადი

**საბაჟო გადასახადი** – იმ საქონლის საბაჟო ღირებულება, რომელიც გადაკვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. *(საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 2702)* იხ. გადასახადი

**საბაჟო დეკლარაცია** – დოკუმენტი, რომლითაც პირი საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი ფორმისა და საშუალების შესაბამისად აცხადებს საქონლის მიმართ საბაჟო რეჟიმის გამოყენების განზრახვას. *(საქართველოს საბაჟო კოდექსი, მუხ. 7)*

**საბაჟო გადასახდელები** – არსებობს ორი სახის:

იმპორტის და ექსპორტის.

**იმპორტის გადასახდელი** – საბაჟო მოსაკრებელი, საბაჟო გადასახადი, აქციზი ან/და დამატებული ღირებულების გადასახადი, რომლის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან დაკავშირებით.

**ექსპორტის გადასახდელი** – საბაჟო მოსაკრებელი ან/და გადასახადი, რომლის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანასთან დაკავშირებით. *(საქართველოს საბაჟო კოდექსი, მუხ. 7)*

**საქონელი** – საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილებული ნებისმიერი მატერიალური ქონება, მათ შორის, ფული, ფასიანი ქაღალდები, ელექტრო- და თბოენერგია, გაზი და წყალი.

**იდენტური საქონელი** – საქონელი, რომელიც შესაფასებელ საქონელთან შედარებით ყოველმხრივ, ფიზიკური მახასიათებლების, ხარისხისა და რეპუტაციის (სავაჭრო ნიშნის) ჩათვლით, ერთნაირია, აგრეთვე აქვს ერთი და იგივე წარმოშობის ქვეყანა და მწარმოებელი პირი (ან სხვადასხვა მწარმოებელი პირი, თუ არ მოიპოვება მონაცემები შესაფასებელი საქონლის მწარმოებელი პირის მიერ წარმოებულ იდენტურ საქონელზე). უმნიშვნელო გარეგნული განსხვავებები არ უნდა უშლიდეს ხელს საქონლის იდენტურად მიჩნევას, თუ სხვა მაჩვენებლებით იგი შეესაბამება მოცემულ განსაზღვრებას. იდენტურ საქონლად

არ ჩაითვლება ისეთი საქონელი, რომლის ინჟინერია, დამუშავება, მხატვრული დიზაინი, ნახაზები და ესკიზები დამზადებულია საქართველოში.

**მსგავსი საქონელი** – საქონელი, რომელიც არ არის ზუსტად შესაფასებელი საქონელი და აქვს ერთი და იგივე წარმოშობის ქვეყანა და მწარმოებელი პირი (ან სხვადასხვა მწარმოებელი პირი, თუ არ მოიპოვება მონაცემები შესაფასებელი საქონლის მწარმოებელი პირის მიერ წარმოებულ იდენტურ საქონელზე), მსგავსი ფიზიკური მახასიათებლები და შემადგენელი მასალები, რომელთა საფუძველზედაც ამ საქონელს შეუძლია შეასრულოს იგივე ფუნქციები და იყოს კომერციული თვალსაზრისით ჩანაცვლებადი. მსგავს საქონლად არ მიიჩნევა ისეთი საქონელი, რომლის ინჟინერია, დამუშავება, მხატვრული დიზაინი, ნახაზები და ესკიზები დამზადებულია საქართველოში.

**იმავე კლასის ან ტიპის საქონელი** – საქონელი, რომელიც ძირითადი ფიზიკური მახასიათებლებით ერთგვაროვანია შესაფასებელ საქონელთან მიმართებით. იგი მაქსიმალურად მიახლოებული უნდა იყოს იმპორტირებული საქონლის მახასიათებლებთან და მიეკუთვნებოდეს შესაფასებელი საქონლის სახეობის ვიწრო ჯგუფს, რიგსა და ნომენკლატურას. ამასთანავე, იმავე კლასის ან ტიპის საქონლად შეიძლება ჩაითვალოს საქონელი, რომლის შემოტანა ხორციელდება როგორც შესაფასებელი საქონლის ქვეყნიდან, ისე სხვა ქვეყნებიდან.

**გადაუმუშავებელი საქონელი** – საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში ან საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონელი, რომელიც არ არის გადამუშავებული ამ რეჟიმში. *(საქართველოს საბაჟო კოდექსი, მუხ. 7)*

**საქონლის გაშვება** – მოქმედება, რომლითაც საბაჟო ორგანო უზრუნველყოფს დეკლარანტის მიერ საქონლის განკარგვის ან/და საქონლით სარგებლობის შესაძლებლობას მის მიმართ გამოყენებული საბაჟო დამუშავების ოპერაციის პირობების შესაბამისად. *(საქართველოს საბაჟო კოდექსი, მუხ. 7)*

**საბაჟო ორგანო** – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, მისი სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული ორგანო, ტერიტორიული ორგანოს სტრუქტურული ერთეული ან სხვა ქვედანაყოფი, რომლის ფუნქციაა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანასთან დაკავშირებული პროცედურების, საბაჟო ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის განხორციელება. ამასთანავე, აღნიშნული ორგანოების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში საბაჟო ორგანოდ აგრეთვე ჩაითვლება რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შედეგად შექმნილი ნებისმიერი დაწესებულება, ამ დაწესებულების ტერიტორიული ორგანო ან სხვა

ქვედანაყოფი, რომელსაც შეიძლება მიენიჭოს უფლებამოსილება, შეასრულოს საბაჟო ორგანოს ფუნქციები. *(საქართველოს საბაჟო კოდექსი, მუხ. 7)*

**საბაჟო პროცედურები** – საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენა და დათვალიერება, სათანადო დოკუმენტების არსებობის დადგენა, ზოგადი დეკლარირება, საბაჟო დეკლარაციის წარდგენა და რეგისტრაცია, საბუღალტრო და სხვა დოკუმენტაციის შემოწმება, საბაჟო გადასახდელების გადახდა, საქონლის, სატრანსპორტო საშუალებისა და მგზავრის პირადი ნივთების შემოწმება, აგრეთვე საბაჟო ორგანოების ან მათი უფლებამოსილი პირების ოფიციალური მოთხოვნა ან/და ქმედება, რომლის მიზანია საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესრულება. *(საქართველოს საბაჟო კოდექსი, მუხ. 7)*

**საბაჟო კონტროლი** – საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესრულების უზრუნველსაყოფად საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონლის მიმართ ამ კოდექსით გათვალისწინებული საბაჟო პროცედურების განხორციელება. *(საქართველოს საბაჟო კოდექსი, მუხ. 7)*

**საბაჟო დამუშავების ოპერაცია** – საქონლის მიმართ საბაჟო რეჟიმის გამოყენება, საქონლის გადატანა თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში, საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის რეექსპორტი, სა-

ქონლის განადგურება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ ან საქონლის გადაცემა სახელმწიფო საკუთრებაში. *(საქართველოს საბაჟო კოდექსი, მუხ. 7)*

**საბაჟო რეჟიმები** - საბაჟო რეჟიმებია: საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება (იმპორტი); საქონლის ტრანზიტი; საბაჟო საწყობში საქონლის შენახვა; საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავება; საქონლის დროებითი შემოტანა; საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავება; საქონლის ექსპორტი. *(საქართველოს საბაჟო კოდექსი, მუხ. 7)*

**საბაჟო ვალდებულება** – პირის ვალდებულება, გადაიხადოს საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი საბაჟო გადასახდელები, ჯარიმები ან/და საურავები. *(საქართველოს საბაჟო კოდექსი, მუხ. 7)*

**საბაჟო დავალიანება** – სხვაობა დეკლარანტის ჯამურ საბაჟო ვალდებულებასა და მის მიერ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი ცალკეული საბაჟო ვალდებულების მიხედვით ზედმეტად გადახდილი თანხების ჯამს შორის. *(საქართველოს საბაჟო კოდექსი, მუხ. 7)*

**საქონლის გადამუშავების ოპერაციები** – საქონლის გადამუშავების ოპერაციებია: საქონლის დამუშავება, მათ შორის, მონტაჟი, აწყობა ან სხვა საქონელზე მორგება; საქონლის წარმოება; საქონლის შეკეთება, მათ შორის, აღდგენა და მუშა მდგომარეობაში მოყვანა; საქართველოს

ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული საქონლის გამოყენება, რომელიც ხელს უწყობს ან აადვილებს გადამუშავების პროდუქტის წარმოებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს საქონელი მთლიანად ან ნაწილობრივ იხარჯება გადამუშავების პროცესში. *(საქართველოს საბაჟო კოდექსი, მუხ. 7)* იხ. საქონელი

**საბრალდებო დასკვნა** – ბრალდებულისადმი წაყენებული ბრალდების მოკლე წერილობითი აღწერა და განსასჯელის სამართალში მიცემის საფუძველი. *(საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 409)*

**საკანონმდებლო ინიციატივა** – კომპეტენტური ორგანოებისა და პირების მიერ კანონპროექტების მომზადებისა და საკანონმდებლო ორგანოში შეტანის უფლება. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს საქართველოს პრეზიდენტს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, მთავრობას, პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის კომიტეტს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, არანაკლებ 30000 ამომრჩეველს. *(საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 67)*

**სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა** – გარემოსდაცვითი ხასიათის აუცილებელი ღონისძიება, რომელიც ხორციელდება საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების

პროცესში. საქმიანობა მოიცავს სამეწარმეო, სამეურნეო ან ყველა სხვა საქმიანობას, განახლებისა და განვითარების გეგმებისა და პროექტების განხორციელებას, ინფრასტრუქტურულ პროექტების, განაშენიანების და სექტორული განვითარების გეგმების, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წყლის, ტყის, მიწის, წიაღის და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვის, გამოყენებისა და სარგებლობის პროექტებისა და პროგრამების განხორციელების ჩათვლით, ასევე არსებული საწარმოების მნიშვნელოვან რეკონსტრუქციასა და ტექნიკურ და ტექნოლოგიურ განახლებას. *(საქართველოს კანონი "სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ", მუხ. 1)*

**საქართველოს სახელმწიფო რეზერვი** – განსაკუთრებული დანიშნულების მატერიალურ ფასეულობათა ხელუხლებელი მარაგი, რომელიც მიზნობრივად გამოიყენება მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით ამ კანონით დადგენილი წესით.

**საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვი** – ალნიშნულის შემადგენლობაში შედის სახელმწიფო რეზერვი და სამობილიზაციო რეზერვი, რომელიც იქმნება მშვიდობიან დროს სამობილიზაციო დავალებათა შესაბამისად, საომარი და/ან საგანგებო მდგომარეობის ან სხვა განსაკუთრებული სიტუაციების პირობებში პირველი რიგის სამუშაოების უზრუნველსაყოფად. *(საქართველოს კანონი "საქართველოს სახელმწიფო მატერი-*

*ალური რეზერვების შესახებ", მუხ. 1)*

**სამოციქულო საყდარი** – ეკლესია, რომელიც დაარსებულია ქრისტეს წმინდა მოციქულთა (ან მოციქულის) მიერ. *(საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება, ტერმინთა განმარტებანი)*

**საეკლესიო კრება** – მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ორგანო, რომელიც შედგება მღვდელმთავრებისაგან, სხვა სასულიერო პირთა დელეგატებისა და ერისკაცთა წარმომადგენლობისაგან. *(საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება, ტერმინთა განმარტებანი)* იხ. წმინდა სინოდი

**საპატრიარქო** – კათალიკოს-პატრიარქის ბრძანებითა და ლოცვა-კურთხევით დადგენილ საეკლესიო განყოფილებათა და სხვა სტრუქტურულ ერთეულთა ერთობლიობა. *(საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება, ტერმინთა განმარტებანი)*

**საეკლესიო (კანონიკური) სამართალი** – მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის კანონებისა და წესებისა ერთობლიობა (ეს გულისხმობს მოციქულთა კანონებს, მსოფლიო და ადგილობრივი კრებებისა და წმინდა მამების დადგენილებებს);

ხოლო საქართველოს ეკლესიისათვის – ასევე ადგილობრივი ეკლესიის კრებების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, საქართველოს ეკლესიის დღეს მოქმედი მართვა-გამგეობის წესდება (დებულება), საქართველოს საეკლესიო კრების, წმინდა სინოდის და კათალიკოს-პატრიარქის მიერ გამოცემული განჩინებები და სხვა (საეკლესიო) სამართლებრივი აქტები. *(საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება, ტერმინთა განმარტებანი)*

**სასულიერო პირი** – მართლმადიდებელ ეკლესიაში კანონიკური წესით ხელდასხმული (ნაკურთხი) პიროვნება (მონოზონი, დიაკონი, მღვდელი, ეპისკოპოსი), რომელიც ამ მადლს ინარჩუნებს, თუ არ მოხდა მისი განკვეთა ეპისკოპოსის ან წმინდა სინოდის დადგენილებით. *(საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება, ტერმინთა განმარტებანი)*

**საეკლესიო საგანძური** – საღვთისმსახურო და სულიერი დანიშნულების სიწმიდეები (ფერწერული, ჭედური, მინაქრის ხატი და ჯვარი; სანაწილე, ბარძიმ-ფეშხუმი, პანაღია, გარდამოხსნა), რომელთაც აქვთ ისტორიული მნიშვნელობა და მაღალმხატვრული ღირსება. *(საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ*

*მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება, ტერმინთა განმარტებანი)*

**საეკლესიო ნივთი** – სალვთისმსახურო და სულიერი დანიშნულების საგნები. *(საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება, ტერმინთა განმარტებანი)*

**სალვთისმსახურო (საეკლესიო) პროდუქცია** – ეკლესია-მონასტრები და საეკლესიო დანიშნულების ნაგებობანი (კათალიკოს-პატრიარქის ან მღვდელმთავრის რეზიდენციები, სასულიერო სასწავლებლები), - მათი პროექტირება, არქეოლოგია, მშენებლობა, რესტავრაცია-კონსერვაცია; საეკლესიო მხატვრობა; საეკლესიო-სალვთისმსახურო ნივთები (ბარძიმ-ფეშხუმი, ლახვარი, სანაწილე, ოდიკი, გარდამოხსნა, ემბაზი, ანალოღია, შანდალი, ტაკუკი, ვარსკვლავი, საცეცხლური, სასაკმევლე, კიოტი, საეკლესიო ნახშირი, სკვნილი, კვერთხი, პანაღია, სუდარა, სანათლავი, კვართი, სარტყელი, საეკლესიო სამშვენისი, ნაკურთხი წყლის, ღვინის, მიწის, ზეთისა და მირონის ჭურჭელი); ხატი, ჯვარი, საეკლესიო სანთელი, სალვთისმსახურო (სარიტუალო) ღვინო, საკმეველი, საკანდელე ზეთი, წმინდა წყალი, სეფისკვერი (სარიტუალო პური); სასულიერო პირის შესამოსელი; მომლოცველობა; სალვთისმეტყველო-სალვთისმსახურო და სასულიერო-საგანმანათლებლო

ლიტერატურა, ასევე ამ დანიშნულების ტელე-კინო-ვიდეო-აუდიო და რადიო პროდუქცია. *(საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება, ტერმინთა განმარტებანი)*

**საღვთისმსახურო ქონება** – ტაძრები, მონასტრები, საეკლესიო დანიშნულების ნაგებობანი, წმინდა ნაწილები, წმინდა რელიკვიები, საეკლესიო ნივთები. *(საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება, ტერმინთა განმარტებანი)*

**სუპერინტენდანტი** – საზღვაო მომზადების მქონე კომპანიის თანამდებობის პირი, რომელიც უშუალოდ აგებს პასუხს გემის ტექნიკურ ექსპლუატაციაზე ან/და ნაოსნობის უსაფრთხოებაზე. *(საქართველოს კანონი "მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ", მუხ. 1)*

**საავტომობილო გზა** – მყარი საფარის მქონე მაკავშირებელი სავალი ზოლი,რკინიგზებისა და ასაფრენ-დასაჯდომი მოედნების გარდა, რომელიც ღიაა საერთო მოძრაობისათვის და უმთავრესად განკუთვნილია საკუთარი თვლებით გადაადგილებადი საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებებისათვის, მათ შორის, ხიდები, გვირაბები, მზიდი კონსტრუქციები, გზათა გადაკვეთები, გზაჯვარედინები და გზათა განშტოებები. *(საქართველოს კანონი "საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ", მუხ. 1)*

# ტ

**ტრანში** – საერთაშორისო საობლიგაციო სესხის სერია და ნაწილი, რომელიც გამოშვებულია ბაზრის კონიუნქტურის გაუმჯობესებისათვის ან სხვადასხვა ქვეყნის სასესხო ბაზრებზე სესხის განთავსებისათვის. *(საქართველოს ორგანული კანონი "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", მუხ. 75)*

**ტრანსფერული ოპერაცია** – ფულის გადაგზავნა ერთი საფინანსო დაწესებულებიდან მეორეში ან ფასიანი ქაღალდების გადაცემა ერთი მფლობელიდან მეორის სახელზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. *(საქართველოს ორგანული კანონი "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", მუხ. 75)*

**ტრანსფერული აგენტი** – ტრანსფერული ოპერაციის განმახორციელებელი პირი. *(საქართველოს ორგანული კანონი "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", მუხ. 75)*

**ტრასტი** – ნდობითი ფუნქცია. *(საქართველოს კანონი "კომერციული ბანკების შესახებ", მუხ. 1)*

**ტურისტი** – ფიზიკური პირი, რომელიც ნებაყოფლობით მოგზაურობს მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ფარგლებს გარეთ, დასვენების, გაჯანსაღების, საქმიანი ან სხვა მიზნით, არანაკლებ 24 საათის და არა უმეტეს ერთი

წლის ვადით, და რომლის მოგზაურობაც არ ანაზღაურდება დროებითი ყოფნის ადგილის საფინანსო წყაროებიდან. *(საქართველოს კანონი "ტურიზმისა და კურორტის შესახებ", მუხ. 2)*

**ტრანსპლანტაცია, ორგანოთა გადანერგვა** – ადამიანის ორგანოს სხვა ადამიანისათვის გადანერგვა სიცოცხლის გადარჩენის, განკურნების, დაავადების პროგრესირების შეფერხების ან ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად. *(საქართველოს კანონი "ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ", მუხ. 3)*

**ტრეფიკინგი** – ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით. *(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 1431)*

**ტერორისტული აქტი** – აფეთქება, ცეცხლის წაკიდება, იარაღის გამოყენება ან სხვა ქმედება, რაც ქმნის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის გა-

ნხორციელების საშიშროებას და ხელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახელმწიფოს სტრატეგიულ, პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ინტერესს, ჩადენილი მოსახლეობის დაშინების ან ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზნით. *(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 323)*

ტექნოლოგიური ტერორიზმი – ბირთვული, რადიოლოგიური, ქიმიური ან ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) იარაღის ან მისი კომპონენტის, პათოგენური მიკროორგანიზმის, რადიოაქტიური ან/და ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე სხვა ნივთიერების გამოყენება ან მისი ხელში ჩაგდების ან/და გამოყენების მუქარა, მათ შორის, ბირთვული, ქიმიური ან ძლიერი ტექნოლოგიური ანდა ეკოლოგიური საშიშროების შემცველი ობიექტის ხელში ჩაგდება, რაც ხელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახელმწიფოს სტრატეგიულ, პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ინტერესს, ჩადენილი მოსახლეობის დაშინების ან ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, ხელისუფლების ორგანოზე, სახელმწიფოზე ან საერთაშორისო ორგანიზაციაზე ზემოქმედების მიზნით. *(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 324)* იხ. ტერორისტული აქტი

# უ

**უფლებაუნარიანობა (ფიზიკური პირისა)** – უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. იგი წარმოიშობა დაბადების მომენტიდან და წყდება მისი გარდაცვალებით. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 11)*

**უფლებაუნარიანობა (იურიდიული პირისა)** – უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება მისი ლიკვიდაციის დასრულების ფაქტის რეგისტრაციის მომენტიდან. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 25)*

**უძრავი ნივთი** – მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 149)*

**უზუფრუქტი** – უძრავი ნივთი შეიძლება სხვა პირს გადაეცეს სარგებლობაში ისე, რომ იგი უფლებამოსილია, როგორც მესაკუთრემ, გამოიყენოს ეს ნივთი და არ დაუშვას მესამე პირთა მიერ მისით სარგებლობა, მაგრამ მესაკუთრისაგან განსხვავებით, მას არა აქვს ამ ნივთის გასხვისების, იპოთეკით დატვირთვის ან მემკვიდრეობით გადაცემის უფლება

(უზუფრუქტი). ამ ნივთის გაქირავების ან იჯარით გადაცემისათვის საჭიროა მესაკუთრის თანხმობა. უზუფრუქტის გაუქმების შემდეგ მესაკუთრე ხდება არსებული ქირავნობის ან იჯარის ურთიერთობების მონაწილე. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 242)*

**უმაღლესი განათლება** – სრული ზოგადი განათლების შემდგომი განათლება, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული საქმიანობის სხვადასხვა დარგში კვალიფიცირებული კადრების მომზადებას რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით. *(საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", მუხ. 2)*

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება** – სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას (პროგრამებს). რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზება, სამეცნიერო კვლევების განხორციელება და შემოქმედებითი მუშაობის წარმართვა, რომელიც შედგება ძირითადი საგანმანათლებლო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან და ანიჭებს შესაბამის აკადემიურ ხარისხს (ხარისხებს). *(საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", მუხ. 2)* იხ. უნივერსიტეტი, ინსტიტუტი

**უნივერსიტეტი** – მრავალდარგოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო-სამეცნიერო დაწესებულება, რომელსაც აქვს

სამივე აკადემიური ხარისხის მინიჭების უფლება და რომლის ძირითადი ერთეულების სასწავლო კურსების 70% მაინც შეიცავს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან/და დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამებს. *(საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", მუხ. 2)*

**უკანონო შემოსავალი** – პირის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული ფულადი სახსრები, სხვა ქონება ან ქონებრივი უფლებები, რომლებიც მან მიიღო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის (მათ შორის, იარაღით ვაჭრობის, ნარკოტიკული დანაშაულების, ტრეფიკინგის, ტერორიზმის) ჩადენის შედეგად, გარდა საგადასახადო და საბაჟო სფეროებში დანაშაულების ჩადენის შემთხვევებისა.

**უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია** – უკანონო შემოსავლისათვის კანონიერი სახის მიცემა (შეძენა, გამოყენება, გადაცემა ან სხვა მოქმედება), აგრეთვე მისი ნამდვილი წარმოშობის, მესაკუთრის ან მფლობელის ან/და ქონებრივი უფლებების დამალვა ან შენიღბვა ანდა ასეთი ქმედების ჩადენის მცდელობა. *(საქართველოს კანონი "უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ", მუხ. 2)*

**უცხოელი** – პირი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე და არ არის საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, აგრეთვე პირი, რომელსაც

დოკუმენტურად არ უდასტურდება ან/და არ უდგინდება რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობისადმი კუთვნილება და მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. *(საქართველოს კანონი "უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ", მუხ. 2)*

**უიმედო საგადასახადო დავალიანება** – ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანება, რომელიც წარმოქმნილია საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებით ან/და სანქციებით, თუ გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ქონების მიმართ საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარების შედეგად დადგინდა, რომ მას არ გააჩნია ქონება ან/და აქტივები, ან რომ მისი ქონება ან/და აქტივები იმდენად მცირეა, რომ ვერ ფარავს სასამართლოს ხარჯებს. *(საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 12)*

**უიმედო ვალი** – საქონლის ან/და მომსახურების რეალიზაციის შედეგად გადასახადის გადამხდელის მიერ აღიარებული მოთხოვნა ან მისი ნაწილი, რომლის გადახდის ვადა გასულია და რომელიც არ იქნა ანაზღაურებული მიმდინარე საგადასახადო წლის ბოლომდე. *(საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 12)*

**უკიდურესი აუცილებლობა** – სხვისი დაზიანება იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრებოდა თვით დამზიანებლის ან სხვის სამართლებრივ სიკეთეს,

თუ ამ საფრთხის თავიდან აცილება არ შეიძლებოდა სხვა საშუალებით და თუ დაზიანებული სიკეთე ნაკლებმნიშვნელოვანი იყო, ვიდრე გადარჩენილი სიკეთე. *(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 30)*

უდანაშაულობის პრეზუმფცია – ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დანაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს. დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. *(საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 40)*

* * *

# ფ

ფილიალი – საწარმოს შეუძლია დააარსოს ფილიალები, რომლებიც იურიდიულ პირებს არ წარმოადგენენ. ფილიალის შექმნის შესახებ ეცნობება საგადასახადო ორგანოს საწარმოს ადგილსამყოფლის მიხედვით, რომელიც რეგისტრაციისათვის საბუთებს უგზავნის საგადასახადო ორგანოს ფილიალის ადგილმდებარეობის მიხედვით. *(საქართველოს კანონი "მეწარმეთა შესახებ", მუხ. 16)*

ფორვარდული ოპერაცია – ბირჟის გარეშე სასწრაფო სავალუტო გარიგებები, რომლებსაც ბანკები და სამრეწველო-სასაქონლო კორპორაციები ასრულებენ ტელეფონით ან ტელექსით შეთანხმების საფუძველზე. *(საქართველოს ორგანული კანონი "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", მუხ. 75)*

ფორვარდული გარიგება – საბირჟო გარიგება, რომელიც იდება როგორც რეალურ საქონელზე, ისე განსაზღვრულ ვადაში (მომავალში) დასამზადებელ საქონელზე ხელშეკრულების დადებისას შეთანხმებული და ხელშეკრულებაში მითითებული ფასის მიხედვით. *(საქართველოს კანონი "სასაქონლო ბირჟებისა და საბირჟო ვაჭრობის შესახებ", მუხ. 2)*

ფისკალური აგენტი – საგადამხდელო სისტემისა

და ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის ორგანიზებით სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის განხორციელების მხარდამჭერი პირი, სახელმწიფოს წარმომადგენელი სხვა ქვეყნის ცენტრალურ ბანკებთან და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობებში. *(საქართველოს ორგანული კანონი "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", მუხ. 75)*

ფაქტორინგი – სავაჭრო-საკომისიო ოპერაციის სახეობა, რომელიც შეხამებულია კლიენტის საბრუნავი კაპიტალის დაკრედიტებასთან, მოიცავს კლიენტის დებიტორული დავალიანების ინკასირებას, დაკრედიტებას და საკრედიტო და სავალუტო რისკის გარანტიებს. *(საქართველოს კანონი "კომერციული ბანკების შესახებ", მუხ. 1)*

ფიდუციარული ოპერაცია – ნდობითი ოპერაცია, რომელსაც ბანკი ან სატრასტო კომპანია აწარმოებს თავისი სახელით, მაგრამ კლიენტის დავალებით და მის ხარჯზე (როგორც წესი, ინვესტიციების სამართავად). მთელ რისკს კლიენტი იღებს თავის თავზე, ხოლო ბანკი – საკომისიოს. *(საქართველოს კანონი "კომერციული ბანკების შესახებ", მუხ. 1)*

ფორფეტირება – საგარეო ვაჭრობის გარიგებების დროს ექსპორტის დაკრედიტება მიმწოდებლის მიერ ბრუნვის გარეშე კომერციული თამასუქების, სხვა სავალო ვალდებულებების შეძენის გზით. ამ ოპერაციის დროს გარანტად გამოდის იმპორტიორი ქვეყნის ბანკი. *(საქართველოს კანონი "კომერციული ბანკების შესახებ", მუხ. 1)*

**ფიუჩერსული ოპერაციები** – ნედლეულის, ოქროს, საფინანსო და საკრედიტო ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვის სწრაფი გარიგებები ბირჟებზე გარიგების დადების მომენტისათვის ფიქსირებული ფასით, ოპეარციის გარკვეული დროის შემდეგ შესრულებით. გარიგების შესრულებამდე გარანტისს სახით შეიტანება გარკვეული თანხა. *(საქართველოს კანონი "კომერციული ბანკების შესახებ", მუხ. 1)*

**ფიუჩერსული გარიგება** – გარიგება საბირჟო საქონლის მიწოდების სტანდარტულ კონტრაქტებზე, საქონლის მიწოდების შესახებ კონტრაქტების ყიდვაზე, რომლის აუცილებელი პირობა ითვალისწინებს საქონლის რეალიზაციას კონტრაქტში მითითებული ფასით, გარიგების დადებიდან განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ. *(საქართველოს კანონი "სასაქონლო ბირჟებისა და საბირჟო ვაჭრობის შესახებ", მუხ. 2)*

**ფრენშაიზინგი** – გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობაა, რომლითაც დამოუკიდებელი საწარმოები ორმხრივად კისრულობენ, საჭიროების მიხედვით, სპეციფიკურ ვალდებულებათა შესრულების გზით ხელი შეუწყონ საქონლის წარმოებას, გასაღებასა და მომსახურებათა განხორციელებას. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 607)*

**ფასიანი ქაღალდი** – მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტები და უფლებები, რომელთა საჯარო შეთავაზებაც შესაძლებელია წილობრივი თუ სასესხო ფასიანი ქაღალდების სა-

ხით, ან რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას ასეთებად, ან რომლებიც არიან ასეთებზე ხელმოწერისა თუ შეძენის უფლების მატარებლები, საინვესტიციო ხელშეკრულებები და ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული სხვა ინსტრუმენტები და უფლებები. *(საქართველოს კანონი "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ", მუხ. 2)*

ფსიქოტროპული ნივთიერება – ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერება, ამ ნივთიერების შემცველი მცენარე ან პრეპარატი, რომელიც გაეროს კონვენციების შესაბამისად შეტანილია საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოტროპული ნივთიერებების სიაში. *(საქართველოს კანონი "ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ", მუხ. 2)*

ფარმაცევტული საქმიანობა – სამკურნალო საშუალებების მიმოქცევის სფეროში დაკავებული იურიდიული პირის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქმიანობა. *(საქართველოს კანონი "სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის ლიცენზირების შესახებ", მუხ. 2)*

ფაკულტეტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი აკა-

დემიური ხარისხის მინიჭებას. *(საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", მუხ. 2)*

ფასთა კოტირება – გამარტივებული საშუალება საქონლის, მომსახურებისა და მცირე სახის სამუშაოს შესყიდვისათვის, რომლის დროსაც განმსაზღვრელია ფასის კრიტერიუმი. *(საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", მუხ. 3)*

ფალსიფიკაცია – სურსათის შემადგენლობის, მახასიათებლების, ასორტიმენტის და წარმოშობის შეუსაბამობა დადგენილ მოთხოვნებთან ან თანდართულ დოკუმენტებში და ეტიკეტზე აღნიშნულ მონაცემებთან. *(საქართველოს კანონი "სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ", მუხ. 3)*

ფრახტი – ტვირთის საზღვაო გადაზიდვის შესახებ წერილობითი ხელშეკრულება, რომლის თანახმად ტვირთის გადამზიდავი ან გამფრახტველი ვალდებულებას იღებს გადაზიდოს ტვირთი და ჩააბაროს იგი მიმღებს, ხოლო გამგზავნი ან დამფრახტველი კისრულობს გადაიხადოს გადაზიდვის ღირებულება. *(საქართველოს საზღვაო კოდექსი, მუხ. 114)*

* * *

# ქ

ქმედუნარიანობა – ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. იგი წარმოიშობა სრულწლოვანების (18 წლის ასაკის) მიღწევისთანავე. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ.12)*

ქმედუუნარო – პირი, რომელიც ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო სასამართლოს მიერ ასეთად იქნება აღიარებული, აგრეთვე ბავშვი შვიდი წლის ასაკამდე. ამ პირის უფლებებს ახორციელებს მისი კანონიერი წარმომადგენელი (მეურვე). *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 12)*

ქონება – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 147)*

ქირავნობა – ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად გამქირავებელი მოვალეა დამქირავებელს სარგებლობაში გადასცეს ნივთი განსაზღვრული ვადით. დამქირავებელი მოვალეა

გამქირავებელს გადაუხადოს დათქმული ქირა. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 531)*

**ქორწინება** – ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 1106)*

**ქცევის კოდექსი** – "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის მიერ მიღებული ნორმატიული აქტი, რომელიც განსაზღვრავს ლიცენზიის მფლობელთა მიერ მომსახურების გაწევის წესებს. *(საქართველოს კანონი "მაუწყებლობის შესახებ", მუხ. 2)*

**ქალაქთმშენებლობა** – ქალაქგანვითარება (ურბანული განვითარება); დასახლებათა (მათ შორის, სასოფლო დასახლებათა) ფიზიკური გარემოსა და ინფრასტრუქტურის ფორმირებისათვის კანონმდებლობის, ამ დარგის სახელმწიფო და ადგილობრივი პოლიტიკის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების, ფიზიკური და იურიდიული პირების მოღვაწეობის ერთობლიობით განსაზღვრული პირობები და პროცესები. *(საქართველოს კანონი "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის*

*საფუძვლების შესახებ", მუხ. 2)*

**ქალაქი** – არანაკლებ 5000 მოსახლისაგან შემდგარი მსხვილი დასახლება, რომელსაც აქვს საქალაქო მეურნეობა და ეკონომიკურ-კულტურული ცენტრია. ქალაქის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, რომლის მოსახლეთა რიცხვი 5000-ზე ნაკლებია, თუ იგი არის თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრი ან აქვს შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის უახლოესი პერსპექტივა. ქალაქებს, მათთვის დაკისრებული სპეციფიკური ფუნქციებიდან და სახელმწიფო მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეიძლება მიენიჭოს სპეციალური სტატუსი. *(საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", მუხ. 1)*

**ქურდული სამყარო** – პირთა ნებისმიერი ერთობა, რომელიც მოქმედებს მათ მიერ დადგენილი/აღიარებული სპეციალური წესების შესაბამისად და რომლის მიზანია დაშინებით, მუქარით, იძულებით, დუმილის პირობებით, ქურდული გარჩევის გზით, დანაშაულებრივ ქმედებებში არასრულწლოვანთა ჩაბმით, დანაშაულის ჩადენით ან დანაშაულის ჩადენისაკენ წაქეზებით მისი წევრებისათვის ან სხვა პირებისათვის სარგებლის მიღება.

**ქურდული სამყაროს წევრი** – ნებისმიერი პირი, რომელიც აღიარებს ქურდულ სამყაროს და აქტიურად მოქმედებს ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად.

**კანონიერი ქურდი** – ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად ნებისმიერი ფორმით მართავს ან/და ორგანიზებას უწევს ქურდულ სამყაროს ან პირთა გარკვეულ ჯგუფს. *(საქართველოს კანონი "ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ", მუხ. 3)*

**ქრთამის აღება** – მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის მიღება ან მოთხოვნა, ასევე ასეთის თაობაზე შეთავაზების ან დაპირების მიღება თავის ან სხვა პირის სასარგებლოდ, რათა ამ მოხელემ ან მასთან გათანაბრებულმა პირმა თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას ქრთამის მიმცემის ან სხვა პირის სასარგებლოდ განახორციელოს რაიმე ქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისაგან ან გამოიყენოს თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტი ანალოგიური მიზნის მისაღწევად, აგრეთვე განახორციელოს სამსახურებრივი მფარველობა. *(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 338)*

**ქრთამის მიცემა** – მოხელისათვის ან მასთან გათანაბრებული პირისათვის პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის დაპირება, შეთავაზება ან მინიჭება მოხელის ან მასთან გა-

თანაბრებული პირის ან სხვა პირის სასარგებლოდ, რათა ამ მოხელემ ან მასთან გათანაბრებულმა პირმა თანამდებობრივი უფლებამოვალეობების შესრულებისას ქრთამის მიმცემის ან სხვა პირის სასარგებლოდ განახორციელოს რაიმე ქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისაგან ან გამოიყენოს თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტი ანალოგიური მიზნის მისაღწევად, აგრეთვე განახორციელოს სამსახურებრივი მფარველობა. *(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 339)*

**ქონების გადასახადი** – ადგილობრივი გადასახადი ქონებისა და მის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობისა და არამატერიალური აქტივებისა. *(საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 272)* იხ. გადასახადი

**ქიმიური ნივთიერებები** – ქიმიური ნივთიერებები – ნივთიერებები და მათი ნაერთები ბუნებრივი სახით, ან მიღებული ნებისმიერი ტექნოლოგიური პროცესის შედეგად, პროდუქტის სტაბილურობის შენარჩუნებისათვის საჭირო ნებისმიერ დანამატთან და გამოყენებული ტექნოლოგიური პროცესის შედეგად მიღებულ ყველა მინარევთან ერთად, გამხსნელის გარდა, რომელიც გამოიყოფა ნივთიერების სტაბილურობისა და შემადგენლობის შეცვლის გარეშე, აგრეთვე ამ ნივთიერებების პრეპარატები. *(საქართველოს კანონი "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ", მუხ. 2)*

# შ

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)** – საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. საზოგადოების პარტნიორი არ არის პასუხისმგებელი საზოგადოების ვალდებულებებზე, გარდა 3.4 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ასეთი საზოგადოების დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც. *(საქართველოს კანონი "მეწარმეთა შესახებ", მუხ. 44)*

**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი** – ადამიანი, რომელსაც დაავადების, ტრავმის, გონებრივი თუ ფიზიკური დეფექტის შედეგად დარღვეული აქვს ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციები ჯანმრთელობის მეტ–ნაკლებად მოშლის გამო, რაც განაპირობებს პროფესიული შრომის უნარის სრულ ან ნაწილობრივ დაკარგვას ანდა ყოფა-ცხოვრების არსებით გაძნელებას. *(საქართველოს კანონი "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ", მუხ. 2)*

**შვილობილი საწარმო** (შვილობილი ორგანიზაცია) – "კომერციული ბანკების შესახებ" საქართველოს კანონის მიზნებისათვის: იურიდიული პირი, რომელშიც სხვა იურიდიული პირი ფლობს წილის (ხმის უფლების მქონე აქციების, პაის) 50 ან მეტ პროცენტს.

*(საქართველოს კანონი "კომერციული ბანკების შესახებ", მუხ. 1)*

**შვილება** – შვილად აყვანა, დაიშვება მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვის კეთილდღეობისა და ინტერესებისათვის, თუკი მოსალოდნელია, რომ მშვილებელსა და ნაშვილებს შორის წარმოიშვას ისეთივე ურთიერთობა, როგორიცაა მშობელსა და შვილებს შორის. სრულწლოვანი პირის შვილება შესაძლებელია, თუ მშვილებელსა და შვილად ასაყვანს შორის უკვე არსებობდა მშობლისა და შვილის ფაქტობრივი ურთიერთობა,იგი არ ეწინააღმდეგება მშვილებლის ან შვილად ასაყვანის ინტერესებს და შვილება ზნეობრივად გამართლებულია. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 1239)*

**შტატგარეშე მოსამსახურე** – პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. *(საქართველოს კანონი "საჯარო სამსახურის შესახებ", მუხ. 8)*

**შრომითი გასამრჯელო (ხელფასი)** – მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში. *(საქართველოს კანონი "საჯარო სამსახურის შესახებ", მუხ. 37)*

**შემოქმედებითი კავშირი** – საჯარო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ლიტერატურისა და ხელოვნების ერთი ან რამდენიმე სფეროს არანაკლებ 5 შემოქმედი მუშაკის პროფესიულ-შემოქმედებითი გაერთიანება, რომელშიც გაწევრიანება ნებაყოფლობითია და იგი მიზნად ისახავს ლიტერატურისა და ხელოვნების ამა თუ იმ დარგის განვითარებას, მის წევრთა საერთო კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვას, სხვა არასამეწარმეო (არაკომერციული) საქმიანობის განხორციელებას. *(საქართველოს კანონი "შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ", მუხ. 3)*

**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი** – ადამიანი, რომელსაც დაავადების, ტრავმის, გონებრივი თუ ფიზიკური დეფექტის შედეგად, ჯანმრთელობის მეტ-ნაკლებად მოშლის გამო, დარღვეული აქვს ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციები, რაც განაპირობებს პროფესიული შრომის უნარის სრულ ან ნაწილობრივ დაკარგვას ანდა ყოფაცხოვრების არსებით გაძნელებას, რასაც იგი მიჰყავს ქმედობაუნარიანობის დროებით ან მუდმივ შეზღუდვამდე და სოციალური დაცვის საჭიროებამდე. *(საქართველოს კანონი "სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ", მუხ. 3)*

**შემოსავლების სამსახური** – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომლის ცალკეული სტრუქტურული ერთეულები ასრულებენ სა-

მართალდამცავი ორგანოს ფუნქციებს. *(საქართველოს კანონი "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ", მუხ. 4)*

**შეჯიბრებითობა** – პროცესი, როდესაც მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. *(საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ. 4)*

* * *

# ჩ

ჩეკი – დადგენილი ფორმის ფასიანი ქაღალდი, რომელიც შეიცავს ჩეკის გამცემის წერილობით დავალებას საბანკო დაწესებულებებისადმი გაანაღდოს ჩეკში აღნიშნული თანხა *(საქართველოს კანონი "ჩეკის შესახებ", ზოგადი განმარტებები)*

ჩუქება – ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობით. *(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 524)*

ჩარტერული (არარეგულარული) ერთჯერადი საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვა – კომერციული საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვა, რომელიც სრულდება განრიგის გარეშე და რომლის ყოველი რეისი მოითხოვს შესაბამის ნებართვას ფრენების დაგეგმვისათვის. *(საქართველოს კანონი "სამოქალაქო საავიაციო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ", მუხ. 3)*

* * *

# ც

ცესია – სხვა პირისათვის მოთხოვნის უფლების დათმობა *(საქართველოს კანონი "ჩეკის შესახებ", ზოგადი განმარტებები)*

ცილისწამება – არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება. *(საქართველოს კანონი "იტყვისა და გამოხატვის შესახებ", მუხ. 1)*

* * *

# წ

**წიაღი** – მიწის ზედაპირის, ნიადაგის და წყალსატევების ფსკერის ქვეშ არსებული ან ხმელეთის ზედაპირზე გაშიშვლებული დედამიწის ქერქის ნაწილი, რომელიც თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებებით ხელმისაწვდომია შესასწავლად და გამოსაყენებლად. *(საქართველოს კანონი "წყლის შესახებ" მუხ. 2)*

**წიაღისეული** – წიაღში არსებული ბუნებრივი წარმონაქმნები. *(საქართველოს კანონი "წყლის შესახებ" მუხ. 2)* იხ. წიაღი

**წმინდა სინოდი** – ადგილობრივი (საქართველოს) ეკლესიის მღვდელმთავართა კრება (კრებული), რომელიც იღებს ეკლესიის მართვა-გამგეობის შესახებ გადაწყვეტილებებს. წმინდა სინოდს ხელმძღვანელობს ეკლესიის მეთაური (კათალიკოს-პატრიარქი). *(საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება, ტერმინთა განმარტებანი)* იხ. საეკლესიო კრება

**წინასაარჩევნო აგიტაცია** – საქართველოს მოქალაქეებისა და საარჩევნო სუბიექტების მიერ ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ. *(საქართველოს ორგანული კანონი - საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხ. 3)*

**წინასაარჩევნო კამპანია** – საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატისა და საარჩევნო სუბიექტის მიერ არჩევნებში მონაწილეობისა და გამარჯვების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა. *(საქართველოს ორგანული კანონი – საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხ. 3)*

**წმინდა აქტივები** – სხვაობა პირის აქტივებსა და მის ვალდებულებებს შორის. *(საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 12)*

**წითელი ხაზები, განაშენიანების რეგულირების ხაზები** – მიწის ნაკვეთისათვის (ნაკვეთებისათვის) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტით დადგენილი წარმოსახვითი მიჯნა, რომლის მიღმაც უნდა განთავსდეს შენობა-ნაგებობები; მიწის ნაკვეთისათვის (ნაკვეთებისათვის) შეიძლება დადგინდეს ერთი ან რამდენიმე წითელი ხაზი. *(საქართველოს კანონი "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ", მუხ. 2)*

**წითელი ნუსხა** – საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების ჩამონათვალი. *(საქართველოს კანონი "საქართველოს "წითელი ნუსხისა" და "წითელი წიგნის" შესახებ", მუხ. 1)*

**წითელი წიგნი საქართველოს** – დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მონაცემებს საქართველოს „წითელ ნუსხაში" შეტანილი სახეობების სტატუსის, გავრცელების არეალის, ადგი-

ლსამყოფლის, რაოდენობის, გამრავლების ადგილებისა და პირობების, მათ დასაცავად მიღებული ზომებისა და დაცვისათვის აუცილებელი ღონისძიებების, აგრეთვე მათთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების შესახებ. *(საქართველოს კანონი "საქართველოს "წითელი ნუსხისა" და "წითელი წიგნის" შესახებ", მუხ. 1)*

* * *

# ხ

**ხელშემკვრელი მხარე** – სახელმწიფო, რომელმაც გამოთქვა თანხმობა საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებაზე, ხელშეკრულების ძალაში შესვლის მიუხედავად. *(საქართველოს კანონი "საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ", მუხ. 3)*

**ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური** – ხანძრის თავიდან აცილებისა და ჩაქრობის, მასთან დაკავშირებული პირველი რიგის საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების მიზნით, დადგენილი წესით, შექმნილი ხანძარსაწინააღმდეგო ფორმირებების (ძალების, საშუალებების) ერთობლიობა. *(საქართველოს კანონი "სახანძრო უსაფრთხოების შესახებ", მუხ. 1)*

**ხულიგნობა** – ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით. *(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 239)*

* * *

## ჯ

**ჯაშუშობა** – უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან მათი წარმომადგენლისათვის საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ნივთის, დოკუმენტის, ცნობის ან სხვაგვარი მონაცემის შეგროვება, შენახვა ან გადაცემა ანდა გამოძალვა ან გატაცება მათთვის გადაცემის მიზნით, აგრეთვე საქართველოს ინტერესის საზიანოდ უცხო ქვეყნის დაზვერვის ან უცხოეთის ორგანიზაციის დავალებით სხვა ინფორმაციის შეგროვება ან გადაცემა. *(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 314)*

**ჯვრისწერა** – საეკლესიო საიდუმლოებათაგან ერთ-ერთი, რომლის აღსრულების შემდეგ, საეკლესიო სწავლებით, ახალდაქორწინებულთა ოჯახი ხდება კანონიერი. *(საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება, ტერმინთა განმარტებანი)* იხ. ქორწინება

* * *

შენიშვნებისათვის